გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
შაბათი, 17 დეკემბერი, 2005 წელი.
№№292-293 (5325-5326)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

## რუსეთის ალყაში აქცევენ

იხ. მე-8 გვ.






## ზურაბ წერეთელი რუსეთის წლის მოქალაქეა

იხ. მე-6 გვ.



## თექვსმეტი ნაბიჯი დიქტატურისკენ

იხ. მე-4 გვ.

## „სტრიპსის“ ბარი თუ არ ვარგა, „ჯეობარი“ რა ხვითოა?!

იხ. მე-5 გვ.



გვინდა, დავძინოთ, რომ აღნიშნული ტელეკომპანია ადრეც გამოირჩეოდა უკიდურესი არაკომპეტენტურობით, მცდარი ინფორმაციის გავრცელებით და საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფით, რასაც შედეგად მისი ერთ-ერთი სერიალის დახურვა მოჰყვა

## ლოგინი შუა ქუჩაში



როდესაც, ამას წინათ, ეკა ხოფერიამ შოუს მონაწილეებს სპეციალური გადაცემა მიუძღვნა, საბოლოოდ მოიჭრეს თავი და ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს საზოგადოებას, რა საშიშია ასეთი ადამიანების პოპულარიზაცია.

იხ. მე-5-7 გვ.

ხალხი ამას ხედავს და სახელმწიფოს პირველი პირის ცდას შესაბამისადაც აფასებს. მაგალითად, ამერიკელები ბევრ რამეში ემადლიერებიან რონალდ რეიგანს (მარტო საბჭოთა კავშირის დაშლა რად ღირდა), თუმცა უმრავლესობა მაინც ხაზს უსვამს მისი პრეზიდენტობის პერიოდში დაახლოებით 5 მილიონი დამატებითი სამუშაო ადგილის შექმნას. ამას დიდ წარმატებად უთვლიან. და პირიქით, სულ ახლახან 5 მილიონი უმუშევრის ყოლა არ აპატიეს გერჰარდ შრიოდერს და გერმანიის კანცლერის პოსტი ამის გამოც დაატოვებინეს.

* * *

ხელისუფლება აპირებს 100 უფასო სასადილოს გახსნას და 10 000 კაცის მუქთად გამოკვებას. თუ უმუშევრობამ ამ ტემპით იმატა, 100 კი არა, 1000-ც არ გვეყოფა. ამიტომ ისევ საწარმოების ამოქმედება და ხალხის დასაქმება სჯობს!



იხ. მე-10 გვ.

## დამცირების არშინი

## ციხის უფროსს ციხეში სვამენ

იხ. მე-2 გვ.

## შე ელამოთ, არგუმენტი არ არის

იხ. მე-2-3 გვ.

◉ კვირის თვალსაწიერი

# შე ელამოო, არგუმენტი არ არის

**რას იფიქრებდა რუსი ჯარისკაცი იონოვი, რომ მისი გულწრფელი სიტყვები ასეთ ვნებათაღელვას გამოიწვევდა საქართველოში.**

არადა, რა თქვა ისეთი სამარაში სამხედრო პოლიგონზე გაწვრთნილმა ამ ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ხელმძღვანელებმა ცისფერი ჩაფხუტი დაახურეს და საქართველოში მშვიდობისმყოფლობა ანდეს 499 სხვა ჯარისკაცთან ერთად? თქვა ის, რაც უთხრეს, ჩააგონეს და თავში ჩაუტენეს მისმა მარად „ინტერნაციონალისტმა“ მეთაურებმა: მიდიხართ რუსეთის მეგობარ აფხაზეთის რუსეთის მტერ საქართველოსგან დასაცავად. აფხაზეთი მხოლოდ სულ რაღაც 40 წლის განმავლობაში იყო საქართველოს შემადგენლობაში, როგორც იქნა, თავი დაიხსნა, ახლა მოპოვებული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად იბრძვის და თუ რუსეთი არ დაეხმარა, ფაშისტური, მტაცებელი საქართველო წირვას გამოუყვანს თავისუფლებისმოყვარე, მშვიდობისმოყვარე, შრომისმოყვარე და ამაყ აფხაზ ხალხს.



რა თქმა უნდა, ამ ფაქტით საქართველოს აღშფოთება სწორია, ოღონდ საამისო საბაბი პირველია განა? აფხაზეთთან მიმართებაში ეს უკუღმართი ისტორიული წიაღსვლა უბირმა ჯარისკაცმა, როგორც ჩასძახეს, ისე ამოიძახა, მაგრამ ახლახან არ იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა, მართლა ქორმა და მძვინვარე ანტიქართველმა (ოღონდ, ამასთან ერთობ განათლებულმა და ერუდირებულმა) კონსტანტინ ზატულინმა ტელევიზიით რომ განგვიცხადა მშვიდად და დაბეჯითებით, აფხაზეთი ისტორიულად არასოდეს არ შედიოდა საქართველოში?

მისი თბილისელი მოპაექრე, საქართველოს პარლამენტის წევრი გიგა ბოკერია პატრიოტულად ანთებული კი იჯდა ეკრანთან და გარკვეულ წკიპურტებსაც ურტყამდა ხამუშ-ხამუშ და შეძლებისდაგვარად, მაგრამ ისეთ ქორთან პაექრობისას, როგორც ზატულინია, ოდენ ხამუშ-ხამუში წკიპურტები და პატრიოტული აღტკინება საკმარისი არ არის. რკინის ლოგიკით, დოკუმენტებით უნდა ურტყა. ამიტომ ასეთ გამობრძმედილ მოწინააღმდეგეს საერთაშორისო დებატებში ბატონი გიგა არ უნდა დავუსვათ (არც თვითონ არ უნდა დაუჯდეს). ბატონი გიგას სტიქია უფრო შინაურ ოპოზიციასთან პაექრობაა, სადაც ის პირდაპირ გენიალურად შეუვალი და გამაოგნებლად სიტყვაუხვია, განსაკუთრებით საჩვენებელი თითის ქნევის მომარჯვებით.

ამდენად, ზოგადად და ხატოვნად თუ ვიტყვით, ზატულინიდან სამარამდე ერთი ნაბიჯია. ამიტომ არის საჭირო ზატულინებისთვის ადგილის მიჩენა, ოღონდ არა ისე, ერთმა, მეორის არგუმენტებს რომ ვერაფერი დააკლო, შე ელამოო, ზადი მოუნახა.

ისიც ახლახან იყო, ასევე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ქალბატონმა სლისკამ რომ მსგავსი, აქამდე არსმენილი ისტორიული აღმოჩენა გააკეთა დუმაში და რუსულმა ტელეარხებმაც უმალ სიამოვნებით მოჰფინეს ქვეყანას: „ორივე ოსეთი“ — ჩრდილოეთიც და სამხრეთიც, როგორც მარად განუყოფელი ერთი მთელი, რუსეთის მფარველობაში XVII საუკუნეში შევიდაო.

რაღაც არ მახსოვს ან ზატულინის, ან სლისკას შემთხვევაში საჩივრით მიგვემართოს სტრასბურგის ან მოსკოვისთვის.

უნდა მიგვემართა კი!

თანამიმდევრულები უნდა ვიყოთ. თორემ, აფხაზეთის და „ოსეთის“ თანაბრად ახლა სამცხე-ჯავახეთის „ისტორიული ძირების“ კვლევაზე მიდგა საქმე.

მთელი ეს ახალქალაქური მიტინგები, ავტონომიის აწ უკვე მოხშირებული და ხმამაღალი მოთხოვნები, საქართველო-სომხეთის საბაჟო პუნქტის (სოფელ ჟდანოვაკანთან) დარბევა, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის პროექტის წინააღმდეგ ხმალამოწვდილი ბრძოლა აშკარად დირიჟორის ჯოხით იმართება. ძნელი მისაგნები როდია, რა ხელსაც უკავია ეს ჯოხი.

როგორც იტყვიან, კარგად ინფორმირებული წყაროები გვაცნობებენ, რომ ერევანში მაღალჩინოსან მოსკოველ მოხელეთა განუწყვეტელი მიმოსვლაა. ახლახან იქ რუსეთის ფედერაციის საბჭოს დსთ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ვადიმ გუსტოვი ბრძანდებოდა. ამ მაღალმა გვამმა იქაურ ჟურნალისტებს, მიუკიბ-მოუკიბავად, ასე წარმოუდგინა მოსკოვის თვალთახედვა რეგიონში შექმნილ ვითარებაზე: ამერიკელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა საქართველო დსთ შემადგენლობიდან ამოგლიჯონ, რადგანაც მის ტერიტორიაზე გადის ნავთობ და გაზსადენები, მაგრამ რუსეთს ვერავინ ვერაფერს ვერ უკარნახებს და ამას ყველა უნდა შეეგუოსო. როცა ქართველ პოლიტიკოსთა ბოლოდროინდელ ინიციატივას შეეხო დსთ შემადგენლობიდან გამოსვლის თაობაზე, გუსტოვმა დაჯერებულმა განაცხადა, საქართველო დსთ-დან არ გავა, ან რატომ უნდა გავიდესო.

როგორც ხედავთ, ბატონ გუსტოვის მსჯელობაში დიდი შეუსაბამობაა. დაბეჯითებით განცხადებას, საქართველო დსთდან არ გავაო, ანუ გასვლით დაიღუპებაო, მოსდევს ვირეშმაკული ვარაუდი, რატომ უნდა გავიდეს (ვითომ, აქ ყოფნას განა სხვაგან ყოფნა სჯობსო?). გეგონება, იმ დსთ-ში საქართველო ქერის ორმოზე იყო მიმდგარი.

მაგრამ მთავარი შეუსაბამობები არ არის. როდესაც ბატონი გუსტოვი ამ წიაღსვლებს აკეთებდა, ანუ საქართველოს ნართაულად აფრთხილებდა, ჯავახეთში, კერძოდ, ჟდანოვაკანში არსებულ საბაჟოსთან ამ გაფრთხილების გათვალსაჩინოება ხდებოდა — მასობრივი მუშტი-კრივი იყო გამართული.

აქედან კიდევ ერთი დასკვნა: ნებისმიერ ინციდენტს უმალ ეროვნული ელფერი ეძლევა და საქმეში ასევე უმალ ერთვებიან მოსკოველი (და ერევნელი) ეთნოპოლიტიკოსები, გაზეთები და ტელევიზია განგაშს ტეხენ „სომეხთა დისკრიმინაციის“ შესახებ და ა. შ. ბრმა უნდა იყო, ვერ დაინახო, რომ ამოქმედებულია საქართველოზე ზეწოლის ყველა, მათ შორის, სეპარატისტული ბერკეტი.

ისტერიას, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტის განხორციელება პირდაპირ ურტყამს სომხეთის ინტერესებსო, სწორედ პროვოკაციის სუნი დაჰკრავს. რუსეთის ცდას, როგორმე აეგიზგიზებინა დესტაბილიზაციის ცეცხლი ჯავახეთში (და, ამრიგად, მთელ საქართველოში), აქამდე მაინცდამაინც დიდი წარმატება არ მოჰყოლია, რადგან ამ ძალისხმევას რაიმე სწორად ასახსნელი შემხები წერტილები არ ჰქონია სომხეთის ინტერესებთან.

იხ. მე-3 გვ.

◉ ინფორმაცია

### მიწისძვრით არავინ დაზარალებულა

**გუშინ**, თბილისში, 08.02 საათზე, ორბალიანი მიწისძვრა დაფიქსირდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სეისმოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა ზურაბ ჯავახიშვილმა განუცხადა, მიწისძვრის ეპიცენტრი ჯავახეთის ზეგანზე, ფარავნის ტბის სამხრეთით იყო. რიხტერის შკალით, მიწისძვრის საერთო ამპლიტუდა 4,2 ბალით განისაზღვრა. მიწისძვრის სიძლიერე ახალქალაქში 4-5 ბალი იყო.

### მოძრაობა შეიზღუდა

**საქართველოს** საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, დიდთოვლობასთან დაკავშირებით, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის მლეთა-კობის მონაკვეთზე გადაადგილებასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვები დააწესა.

დეპარტამენტის ინფორმაციით, მლეთა-კობის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია.

საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთზე დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ზვავდამცავი გვირაბების გავლით. გზის დანარჩენ მონაკვეთში მოძრაობა თავისუფალია.

ინტერპრესნიუსი

◉ ჩემი შენ გითხარიო

# „შავი დღისთვის“ გადანახული 455 მილიონი

## ოპოზიცია ფინანსთა სამინისტროს შემოწმებას მოითხოვს

**ფინანსთა მინისტრს ოპოზიცია შეუჩნდა. ლექსო ალექსიშვილის მუშაობით უკმაყოფილება უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმაც გამოთქვა, მაგრამ მას უკან დაახევინეს (შეიძლება, დროებით). ოპოზიცია კი გაჩუმებას არ აპირებს. „დემოკრატიულმა ფრონტმა“ კონტროლის პალატისგან ფინანსთა სამინისტროს შემოწმება მოითხოვა.**

გუშინ გამართულ ბრიფინგზე ბეჟან გუნავამ აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტრომ საბიუჯეტო გეგმით გათვალისწინებული ხარჯები სრულად არ დააფინანსა და 455 მილიონი ლარი, ანუ ბიუჯეტის 20 პროცენტი არ დახარჯა. „დემოკრატიული ფრონტი“ კონტროლის პალატას მიზეზის გარკვევას და იმის დადგენას სთხოვს, თუ სად წავიდა ეს თანხა.

კობა დავითაშვილი ამ ფაქტს განსაკუთრებულად აღმაშფოთებლად მიიჩნევს მაშინ, როცა ხელისუფლება უსახსრობის მომიზეზებით უარს ამბობს საპენსიო დანამატზე. კობა დავითაშვილის თქმით, სტაჟის თითო წელზე სექტემბრიდან თითო ლარის დამატება სახელმწიფოს 40 მილიონი ლარი დაუჯდება:

— ხელისუფლება ამ თანხის გაცემაზე უარს ამბობს, 455 მილიონი ლარი კი დევს მთავრობის ანგარიშებზე და არ იხარჯება. საქართველოს ხელისუფლებას მსოფლიო ბანკიც სთხოვს პასუხს, არ ურიცხავს თანხას, სანამ ეს ფული არ დაიხარჯება და დავალიანებები არ დაიფარება.



ალექსიშვილმა იცის, „დემფრონტელები“ მისდამი კეთილგანწყობილი რომ არ არიან, ამიტომაც თავი ვერ შეიკავა და მათ 80-იან წლებში ჩარჩენილები უწოდა. მისეულ შეფასებას კობა დავითაშვილმა ღიმილით უპასუხა:

— ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო.

ეს ალექსიშვილსა და დავითაშვილს ლირიკულ გადახვევაში ჩავუთვალოთ. რაც შეეხება არგუმენტებს, ოპოზიციის საწინააღმდეგოდ, ბიუჯეტის სიმცირესთან ერთად, ინფლაციის საშიშროებაც სახელდება. საპასუხოდ კობა დავითაშვილი შოუებს იხსენებს:

— ინფლაციას არ იწვევს ტაშფანდური, მთავრობის ქეიფი და



„გრიალი“, პრეზიდენტის სეირნობანი? სწორედ ამ ყველაფერს მოახმარა მიხეილ სააკაშვილმა 62 მილიონი ლარი 10-ის ნაცვლად და 52 მილიონი გადახარჯა თავისი სარეზერვო ფონდიდან. ეს არ იწვევს ინფლაციას და საფრთხეს მხოლოდ პენსიების სტაჟისა და დამსახურების მიხედვით გაცემა ქმნის?

კობა დავითაშვილმა ყოფილი პრეზიდენტიც გაიხსენა. მისი თქმით, ედუარდ შევარდნაძის დროს არსებობდა ასეთი პრაქტიკა:

— სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე გადაიქაჩებოდა, ვთქვათ, საპენსიო თანხები, თანხა ტრიალებდა, პროცენტები იხსნებოდა. გვაინტერესებს, დღესაც ამ მიზნით ხომ არ გამოიყენება მილიონები? 455 მილიონი ლარის თუნდაც ერთი დღის პროცენტი საკმაოდ სოლიდური თანხაა.

შეკითხვაზე — რისთვის ინახავს მთავრობა 455 მილიონ ლარს — პასუხის გაცემას ოპოზიცია კონტროლის პალატისგან ელის. თუ ბრიფინგი ოფიციალურ მიმართვად არ ჩაითვლება, ივლიანე ხაინდრავას თქმით, „დემოკრატიული ფრონტი“ კონტროლის პალატას წერილობითაც მიმართავს.

**რუსუდან გახარია**

◉ პროკურატურა

# ციხის უფროსს ციხეში სვამენ

**ამ ბოლო ხანს საქართველოში ოპოზიციური თუ არასამთავრობო ორგანიზაცია არ დარჩენილა, სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ ქაოსსა და განუკითხაობაზე განგაშის ზარი არ შემოეკრა.**

გუშინ, 16 დეკემბერს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსმა ვალერი გრიგალაშვილმაც სწორედ ამ სისტემაში არსებულ უწესრიგობებსა და სასჯელთაღსრულების სფეროში მომუშავე მაღალი თანამდებობის პირებისა და რიგითი პოლიციელების დანაშაულებრივ ქმედებებზე ისაუბრა.

— საქართველოს გენერალურმა პროკურორმა და იუსტიციის სამინისტრომ ბოლო პერიოდში არაერთი დარღვევა და დანაშაულებრივი ფაქტი გამოავლინეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და მისადმი დაქვემდებარებულ სხვა დაწესებულებებში. ამ ფაქტებზე უკვე დაწყებულია გამოძიება.

სასამართლოში წარიმართა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე იმ თანამშრომელთა წინააღმდეგ, რომლებიც მათზე დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულების ნაცვლად, თვითონვე არიან დანაშაულის ხელისშემწყობნი, ზოგიერთ შემთხვევაში კი თვითონვე სჩადიან დანაშაულს, რითაც ზიანი, პირველყოვლისა, სახელმწიფოს ინტერესებს ადგება.

კერძოდ, წლეულს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და მას დაქვემდებარებული უწყებების ათი თანამშრომელი ვირის აბანოში იმიტომ გაუსტუმრებიათ, რომ ისინი ციხეებში ნარკოტიკების შეტანასა



და სხვა უკანონო ქმედებებში იღებდნენ მონაწილეობას.

16 დეკემბერს კი ვალერი გრიგალაშვილმა პრესკონფერენციაზე იმიტომ მიგვიწვია, რომ საზოგადოებისათვის სასჯელაღსრულებითი სისტემის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ემცნო.

რუსთავის სასჯელაღსრულების №1 დაწესებულების დირექტორმა ნიკოლოზ კვანტალიანმა თანამდებობაზე ყოფნის მანძილზე რამდენჯერმე მიმართა სასამართლოს წარდგინებით და მოითხოვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განსჯილ პატიმართა პირობითი განთავისუფლება.

კვანტალიანის შუამდგომლობის შედეგად განთავისუფლებულმა პატიმრებმა კი თავისუფლებაზე ყოფნის დროს კვლავ ჩაიდინეს რამდენიმე მძიმე დანაშაული.

თანამდებობრივი უფლებების არაერთგზის გადამეტების გამო ქალაქის სასამართლომ სამი თვით წინასწარი პატიმრობის ბრძანება გასცა და დამნაშავე ჩინოსანზე ძებნა 16 დეკემბრამდე გამოცხადდა.

**ჯაბა ხუბუა**

გლოვა

# „დავტირით კაცებს, რომლებიც სახე არიან ნამდვილი ქართველობისა“

**მთელი საქართველო შეძრა სატელევიზიო კადრებმა ლიახვის ხეობიდან, სოფელ ქურთიდან, სადაც ექვსი თვის წინათ გატაცებული და ნაწამები, უმოწყალოდ დახოცილი ბიძაშვილები: მამუკა, ჰამლეტ და გალაქტიონ ხაჭაპურიძეების ცხედრები გადაასვენეს.**

მათ მშობლებს და ახლობლებს აქამდე ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ ბიჭები, შესაძლოა, ცოცხლები ყოფილიყვნენ. ამ ათიოდე დღის წინათ კი, ეს იმედიც გადაეწურათ და ოსურ მხარეს, ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლებას მოუწოდეს, რომ დასატირებლად და გასაპატიოსნებლად მაინც გადმოეცათ ცხედრები. ამ მიზნით მათ გადაკეტეს ცხინვალი-ვლადიკავკაზისაკენ მიმავალი გზა, ხეობის მთელი ქართული მოსახლეობა ფეხზე დადგა და გვერდიდან არ მოშორებია ჭირისუფლებს.



ბიძაშვილი ხაჭაპურიძეებიდან უფროსი მამუკა იყო, 36 წლის. ჰამლეტი — 30 წლამდე, მათგან ყველაზე უმცროსი გალა, გალაქტიონი იყო — 20 წლისა.

**მამუკა** ობლად იზრდებოდა. მარტო ცხოვრობდა. „კამაზი“ ჰყავდა, წვრილ-წვრილად ვაჭრობდა. ზოგჯერ რუსეთშიც უწევდა რისკის ფასად გასვლა. მაგრამ რა ექნა — არსებობა ხომ უნდოდა? — ალალი ბიჭი იყო და არავის ვალი და ცოდო არ ედო. თავისი მართალი გულით შევიდა იმ საბედისწერო დღესაც ცხინვალში. პროდუქტები უნდა ეყიდათ, — იმ დღეს სწორედ მისი დაბადების დღე იყო!

ბედისწერა კი სწორედ ამ დღეს ჩასაფრებოდა.

მამუკას ცოლ-შვილი არ დარჩენია...

**ჰამლეტი** გონიერი, წესიერი და განათლებული ბიჭი გახლდათ. კარგ ოჯახში აღზრდილი. შოთა და მანანა ხაჭაპურიძეებს მის გარდა კიდევ ქალიშვილი და ორი ვაჟი ჰყავთ. ერთმანეთზე უკეთესები, ჰამლეტი გონებამახვილობით თითქოს ყველასგან გამოირჩეოდა.

ქალბატონი მანანა პედაგოგია, ქურთის საშუალო სკოლაში მუშაობდა. სანაქებო ოჯახის დედა დღეს გამწარებულია. ექვსი თვეა, თვალგახელილს სძინავს. დარდისგან დაილალნენ მშობლები.

ჰამლეტმა ცოლის მოყვანა მოასწრო. ორი ანგელოზივით შვილიც დარჩა. ახალგაზრდა დღედაღამ შრომობდა, რომ ოჯახი ერჩინა. ვაჭრობდა. კარგი ურთიერთობა ჰქონდა ოსებთანაც.

და კიდევ: ეკრანზე ხშირად უჩვენებდნენ ჰამლეტის უფროს ძმას, ლევანს, პატიოსანსა და ალალმართალ ვაჟკაცს, რომელსაც თავისი სამშობლოს ტკივილი ბეჭებზე დასწოლია, ომში გაიარა მისმა სიყმაწვილემ მისი თანატოლებივით. ძმისა და ბიძაშვილების ტრაგედიამ კი მთლიანად შესძრა მისი არსება და ამას გრძნობს თითოეული მაყურებელი, რომელიც კი ტელევიზიის ეკრანზე იხილავს ხოლმე მას ამ დაძაბულობის დღეებში.

**გალა** ყველაზე უმრწემესი იყო ბიძაშვილებს შორის. მამამისი, ვასილ ხაჭაპურიძე სიხარულით მეცხრე ცაზე ავიდა ამ ოციოდე წლის წინათ, როცა მესამე შვილიც — ვაჟი შეეძინა.

გალა დამჯერი ყმაწვილი გახლდათ. სრულიად უბოროტო და გულწრფელი. მომავალს შეჰხაროდა. დედამისი ზოგჯერ ავადმყოფობდა და ძალიან ეხმარებოდა, გვერდიდან არ შორდებოდა.

ვასო მშრომელი კაცია, მაგრამ როგორც ყველა პატიოსან ადამიანს, მასაც უჭირს ოჯახის რჩენა, სამი ვაჟკაცისათვის გზის გაკვალვა და სწავლა-განათლების მიცემა. თუმცა, მაინც შეძლო, რომ სამივენი სწორ გზაზე დაეყენებინა. წვერმოშვებული, დაღონებული კაცი, ხშირად რომ ჩნდებოდა ხოლმე ეკრანზე, სწორედ გალას გაუბედურებული მამა — ვასოა...

**გოჩა ლომიძე** სურამში ცხოვრობდა. ქურთაში ეწვია სტუმრად ახლობლებს, მანქანის ყიდვა უნდოდა ცხინვალში. ხაჭაპურიძეები დაეხმარნენ და მანქანაც აყიდვინეს. მტრები არ ჰყავდათ და გულადად შევიდნენ ცხინვალში. იქნებ არც შევიდნენ გულადად, იქნებ შიშიც ჰქონდათ, მაგრამ ამას სტუმარს როგორ აგრძნობინებდნენ!

გოჩას ნაყიდი მანქანა კი ჩავიდა სურამამდე, მაგრამ თვითონ ვერ ეღირსა ვაჟკაცს თავისი ცოლ-შვილის ნახვა — ოთხი ობოლი დარჩა საბრალოს.

იქნებ გოჩა სიცოცხლის ბოლო წუთებში იმასაც ფიქრობდა, რა მინდოდა ამ არეულ მხარეშიო, მაგრამ განა ცოცხალი ადამიანი წარმოიდგენს იმას, რომ სტუმრობა, თურმე, შეიძლება საბედსწეროც გამოდგეს?

„სად წაიყვან სადაურსაო...“ — რა მართალი ნათქვამია, ღმერთო...

* * *

**კონფლიქტის** ზონაში მცხოვრები ცხრა ქართული სოფლის მოსახლეობა უწყვეტ ნაკადად მიდის სოფელ ქურთაში და ხაჭაპურიძეების უბანში გროვდება. სამძიმარს და თანაგრძნობას არა აქვს ბოლო. შეძრულია ხეობა.

გაივლის წლები. ალბათ, დალაგდება ეს მხარეც. მშვიდობა დაივანებს ამ ტანჯულ მიწაზე. ისტორიას კი შემორჩება ხაჭაპურიძეების ხსოვნა, როგორც მშობლიური მიწის საოხად ანთებული სანთლები, მათი გარდაცვალება, როგორც გამოფხიზლება ერის, როგორც ფიქრი და გაუნელებელი დარდი, როგორც ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის...

მთელი საქართველო უსამძიმრებს დაღუპულთა ოჯახებს. სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ თქვა: „დავტირით კაცებს, სამაგალითო კაცებს, რომლებიც სახე არიან ნამდვილი ქართველობისა...“

მამუკას, ჰამლეტს, გალას და გოჩას სამშაბათს დაკრძალავენ, 20 დეკემბერს, შობის მარხვაში...

**ლია ჭიღლაძე**

კვირის თვალსაწიერი

# შე ელამოო, არგუმენტი არ არის

(მეორე გვერდიდან)

ახლა ეს „ნაკლული რგოლი“ იპოვეს — ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის პროექტი, რომელიც „სომხეთის სასიცოცხლო ინტერესებს ურტყამს!“.

ოღონდ, სავარაუდოა, რომ სომხეთის უკიდურესად რადიკალური ძალებიც კი არ წამოვლენ ამ რეგიონში კონფლიქტის სერიოზულ აფეთქებაზე, რადგან ამას შეიძლება, ობიექტურად, თუ სხვა გზა არ იქნა, სომხეთის სრული ბლოკადა მოჰყვეს.

მაგრამ, მოგეხსენებათ, „რუსეთს გონებით ვერ განჭვრეტ“, ყოველნაირად შეიძლება საქმე შემოატრიალოს. ამიტომ ამოქექა მან ნაფტალინიდან „არციხის ომის მოხალისეები“, რომელთა ხელმძღვანელებმა ამას წინათ თავხედური წერილი გამოუგზავნეს პრეზიდენტ სააკაშვილს და პირდაპირ ომით დაემუქრნენ.

რაც უფრო ძლიერდება თბილისის სუვერენიტეტი სამცხე-ჯავახეთში, მით უფრო მატულობს მასზე ზეწოლის ბერკეტების ძიება. ამიტომაც ცხადდება დღეს სომხეთი რუსეთისთვის უმცროს ძმად და ფორპოსტად. თუმცა ამ „ძმობის“ ჭეშმარიტ საფანელს გონიერი და გამჭრიახი სომეხი ხალხი მშვენივრად ხვდება.

Ne sutor supra crepidam — მეწაღევ, ფეხსაცმელზე ზევით ნუღარ აიხედავო (ნუღარ იმსჯელებო), ამბობდნენ ძველი რომაელები, როცა ვინმე დაუკრეფავში გადავიდოდა. სახელგანთქმულმა ბერძენმა მხატვარმა აპელესმა სურათი გამოფინა, რათა მნახველებს ნაკლზე მიეთითებინათ. ერთმა მეწაღემ ნახატზე ფეხსაცმელი დაიწუნა და აპელესმა შეასწორა კიდეც, მაგრამ როცა მეორე დღეს მეწაღემ უკვე წვივებზე გადაიტანა სჯა, მხატვარმა უმალ შეაწყვეტინა, იმაში ნუ ყოფ ცხვირს, რაც შენი საქმე არ არისო.

ეჰ, რამდენი „მეწაღე“ ყოფს ცხვირს ჩვენს საქმეში, რომელიც მას არ ეხება. ოღონდ, თუ აპელესს შეეძლო მეწაღისთვის ამრეზით ეთქვა, შენს ტყავში დაეტიეო, დღეს სხვა ვითარებაა. გამოვა ნებისმიერი „მეწაღე“ ტელევიზიით და გემუქრება, ან ჭკუას გასწავლის. ტელევიზორის გამორთვა საქმეს არ შველის — შენ გამორთავ და მილიონი სხვა არ გამორთავს. ასე რომ, ჩვენი ზოგიერთი პარლამენტარის „რაციონალიზატორული წინადადება“, რუსული არხები საერთოდ ხომ არ გამოვრთოთო, სწორედ რომ, არაგონივრული რამ გახლავთ.

ხუთშაბათ საღამოს „რუსთავი-2“-ს ეკა ხოფერიას გადაცემაში ყბადაღებული მოსკოველი ტელემიმომხილველი ლეონტიევი ჰყავდა მოსკოვიდან ჩართული.

ლეონტიევმა ის ილაპარაკა, რაც უნდა ელაპარაკა და რასაც საერთოდ ლაპარაკობს, ანუ ლაფი გადაგვასხა. დარბაზიდან ერთმა, — გამოურთეთ, კაცო, მაგ ლოთსო... დაახლოებით ამ სტილში (სამწუხაროდ და გასაოცრად, მაშინაც, რუსული არხების გამორთვის და ახლაც, ლეონტიევის გამორთვის წინადადებაც პარლამენტის იმავე წევრისგან, ბატონ კოტე გაბაშვილისგან მოდიოდა).

გამორთვა შველის საქმეს?

ჯერ ერთი, ხომ ვიცით, ეს ლეონტიევი რა „ფრუქტიც“ არის და რა გვრჯის, რომ მაინცდამაინც მას ვიწვევთ (რა, ვითომ ლეონტიევს ჩვენზე კარგი რამ გვინდა ვათქმევინოთ?). ხოლო თუ მოიწვიე, კიდეც უსმინე, რას გეტყვის, რადგან, როცა ის ლაპარაკობს, მისი პირით რუსი ხალხის დიდი ნაწილი ლაპარაკობს: უნტერი პრიშიბეევი, ბნელი, ლოთი, იდეოლოგიურად იოლად დასამუშავებელი და დამუშავებული „ინტერნაციონალისტი“, რომელსაც თავიდან ვერ ამოუგდია, რომ დიდი წითელი იმპერია აღარ არის, რომელსაც თვითონ არაფერი გააჩნია და გულს ასკდება, თუ სხვას რამე აქვს. არის ამ კატეგორიის ხალხი რუსეთში და მას ლეონტიევი ახმოვანებს. ამიტომ მისი იგნორირება არ შეიძლება, შენთვისვეა საზიანო. ან, მეორე ჟურნალისტმა მატვეი კანაპოლსკიმ, განათლებული, „უკეთესი“ რუსეთის რუპორმა უკეთესი გვითხრა რამე, დარბაზმა ტაში რომ დაუკრა?

მეორეც, რატომ ცდილობ, რომ ლეონტიევებს უყვარდე? კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა უყვარდე? ან — შენ თვითონ გიყვარს ისინი?

შე ელამოო, არგუმენტი არ არის. საერთოდ, მით უფრო, როცა ზატულინს, მიტროფანოვს, ჟირინოვსკის ან ლეონტიევს ელაპარაკები.

სულ ეს მინდოდა მეთქვა.

**ალეკო ასლანიშვილი**

რომც არ გვინდოდეს...

# დსთ-ს დატოვება მაინც მოგვიწევს

**დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეაზე წასასვლელად გივი თარგამაძეს ვიზა რომ არ მისცეს, აღშფოთებულმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, თანამეგობრობიდან გამოსვლაზე უნდა ვიფიქროთო. მისი აზრი უმრავლესობამაც გაიზიარა და ოპოზიციამაც. თუმცა, შემდეგ ემოციებზე წინ შედეგების განსჯამ წამოიწია. უმრავლესობა შეყოყმანდა. ოპოზიციას ეს უკანდახევა არ მოეწონა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს მიმართა. ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს წევრობის მიზანშეწონილების შესწავლასა და 1 თებერვლამდე დასკვნის წარმოდგენას ითხოვს. კოტე გაბაშვილი ვადის დაწესებამ ძალიან გააღიზიანა, მით უფრო, რომ ოპოზიცია „უფროსობდა“.**

— 1 თებერვლისთვის ან მზად არ ვიქნებით, ან დსთ-ში არ ვიქნებით, — თქვა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, თუმცა, თებერვლამდე თანამეგობრობიდან გამოსვლის ილუზია, რა თქმა უნდა, არ ჰქონია.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ჩვენი სახელმწიფო ხალხის ნების უგულებელყოფით, რუსეთის მხრივ სამხედრო და პოლიტიკური ზეწოლით გაწევრიანდა. ამდენად, ამ ორგანიზაციაში საქართველოს ყოფნის მიზანშეწონილობა ნამდვილად განსახილველია. გაბაშვილის თქმით, პარლამენტში უკვე დაწყებულია ამ საკითხის შესწავლა, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა უშიშროების კომიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიასთან ერთად გამართულ დახურულ სხდომაზეც იმსჯელა ამ თემაზე, ცნობილია პარლამენტის თავმჯდომარის პოზიციაც.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი ამ საკითხზე მუშაობის გაგრძელებას აპირებს. თუმცა, კოტე გაბაშვილის აზრით, დსთ-ში საქართველოს ყოფნა-არყოფნა ის საკითხია, რომელიც ერთობლივი მუშაობის შედეგად უნდა გადაწყდეს. პროცესში უნდა ჩაერთონ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, პრეზიდენტი, უშიშროების საბჭო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებები... კონსულტაციები უნდა შეეხოს სავაჭრო პრეფერენციებს, სამომავლო ეკონომიკურ ურთიერთობებს და სხვა მნიშ-



ვნელოვან საკითხებს. კოტე გაბაშვილი აუცილებლად მიიჩნევს, კონსულტაციები საერთაშორისო დონეზეც გაიმართოს, უპირველესად, სუამისა და ახლად შექმნილი „დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის“ ფარგლებში.

კომიტეტის სხდომას ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ, რის გამოც ისინი გაკვეწლეს. ნიკა გვარამიამ იმედი გამოთქვა, რომ მათ ხელი ობიექტურმა მიზეზმა შეუშალა. თუმცა, ისიც დასძინა, რა მიზეზი უნდა ყოფილიყო ამ საკითხზე მნიშვნელოვანიო. როგორც მოგვიანებით გავარკვიე, „დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენლებმა არც იცოდნენ, რომ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი სხდომას მართავდა და მათს ინიციატივას იხილავდა.

გვარამიამ ხაზი გაუსვა პარლამენტთან შედარებით მთავრობის კონსერვატიულობას. გაიხსენა, სამხედრო ბაზების გაყვანის შესაძლებლობას სკეპტიკურად რომ უყურებდა მთავრობა. ამდენად, მისი აზრით, სწორედ საკანონმდებლო ორგანო უნდა იქცეს თავისი აქტიურობით აღმასრულებელი ხელისუფლების სტიმულად.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი შესაბამისი სტრუქტურებიდან თებერვლის მეორე ნახევრისთვის მოელის ინფორმაციას დსთ-დან გამოსვლის შედეგების შესახებ, რაც, ძირითადად, ეკონომიკაზე აისახება. ნიკა გვარამია დარწმუნებულია, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება რუსეთის გარდა არცერთ ქვეყანასთან არ დაგვიძაბავს ურთიერთობას, თუმცა, რუსეთი ნამდვილად არ არის ის ქვეყანა, აინუნში ჩასაგდები რომ არ იყოს. ისიც უნდა ითქვას, რომ ნატოში გაწევრიანების წინ, რომც არ გვინდოდეს, დსთ-ს დატოვება მაინც მოგვიწევს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პარლამენტში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა იწყება.

**რუსუდან გახარია**

ინფორმაცია

## აქცია მერიის წინ

**თბილისის მერიის შენობის წინ, დედაქალაქში 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულთა აქცია გაიმართა.**

**აქციის მონაწილეები მერიისგან მათი ბინების გასამაგრებლად საჭირო თანხებს, ან დროებით საცხოვრებელი ფართის გადაცემას მოითხოვდნენ.**

**აქციის მონაწილეთა განცხადებით, ქალაქის მთავრობას მათთვის, წელს თბილისის ბიუჯეტში თანხები არა აქვს გათვალისწინებული.**

ინტერპრესნიუსი

## დახმარებას სთხოვენ

**აზერბაიჯანის პრესის საბჭომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიმართვა გაუგზავნა. მასში ნათქვამია, რომ თბილისის წინასწარი დაკავების იზოლატორში გაზეთ „ახალი აზრის“ თანამშრომელი გაჩარ ჰუსეინოვია დაკავებული.**

**„ჟურნალისტის ახლობლების თქმით და აზერბაიჯანის პრესის ცნობით, დაკავებულთან არ უშვებენ არც ადამინის უფლებათა დამცველებს და არც კოლეგებს.**

**აზერბაიჯანის პრესის საბჭო დარწმუნებულია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილი სათანადო ყურადღებას გამოიჩენს.**

მედიანიუსი

◉ როცა უთქმელობა დანაშაულია

# თექვსმეტი ნაბიჯი დიქტატურისკენ

**დიახ, ხალხი იოლად ტყუვდება, მაგრამ არა სამუდამოდ. უკულმართი ეკონომიკური პოლიტიკის გამო, მისი სოციალური მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. შესაბამისად, იძაბება კრიმინოგენული ვითარება, არაადეკვატურად სასტიკი და დაუნდობელი ხდება ნებისმიერი დაუმორჩილებლობის, ნამდვილი და გამოგონილი დანაშაულის აღკვეთის მეთოდები. იზრდება ხელისუფლების მოქმედებით უკმაყოფილოთა რაოდენობა...**

ხელისუფლებამ იცის, რომ მხოლოდ შიშველი პიარ-კამპანიებით, ლოზუნგებით, დაპირებებით, ძალადობრივი მეთოდებით და კანონების გასასტიკებით სასურველი შედეგი (საზოგადოების უსიტყვო მორჩილებაში შენარჩუნება), შესაძლოა, ვერ მიიღოს. რევოლუციური კადრების ბოლომდე ნდობაც ძალიან სახიფათოა. ამიტომ რეფორმების საბაბით განათლების და სასამართლო სისტემების პოლიტიზაციას ცდილობს.

სასამართლო სისტემაში ამის დანახვა საკმაოდ ადვილია. ოდესღაც პრეზიდენტის სათათბირო ორგანოდ მოაზრებული იუსტიციის საბჭო (დღეისთვის — იუსტიციის უმაღლესი საბჭო) უკვე იქცა სასამართლოების, მათ შორის, უზენაესი სასამართლოს მაკონტროლებელ, ზემდგომ ორგანოდ. ძალიან სიმპტომატურია, რომ ამ საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ყოფილი პროკურორი ვალერი ცერცვაძე. ეს სწორედ ის პროკურორია, რომლის უშუალო ძალისხმევით ქონება ჩამოერთვა და ციხეში წავიდა ათეულობით ადამიანი, რომლის ნებისმიერი ფანტასტიკური ბრალდებაც კი კანონია მოსამართლისთვის და აბსოლუტური სიზუსტით აისახება განაჩენში. ის პროკურორია, ვისი ხელითაც ხელისუფლებამ უკვე ბევრი უკანონობის ჩადენა მოასწრო. ანუ **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვალერი ცერცვაძე, უდავოდ ნიჭიერი კაცი, არის ტყვე, ბასრი და დაუნდობელი იარაღი ხელისუფლების ხელში. მას უკვე დიდი ხანია, აღარ დარჩა უკან დასახევი გზა.**

ამ კაცის პირით ხელისუფლება გვეუბნება, რომ დღევანდელი ქართველი მოსამართლეების უმრავლესობა კორუმპირებულია, არაკომპეტენტურია და საჭიროა მათი ახალი კადრებით ჩანაცვლება. ვინაიდან ამის საშუალებას საქართველოსვე კონსტიტუცია არ იძლევა, დღის წესრიგში დგება კონსტიტუციის შეცვლა ან მოსამართლეთა, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა იძულება.

ვინაიდან ვალერი ცერცვაძის სიტყვა კანონია, მოსამართლეები, ალბათ, „საკუთარი სურვილით" დაწერენ განცხადებებს გადადგომაზე. ისინი ამ აშკარა ძალადობის წინააღმდეგ გაერთიანებას ვერ გაბედავენ — მოქალაქეობრივ სიმამაცეს საკუთარი უფლებების დასაცავადაც კი ვერ გამოიჩენენ. მათ ადგილებს ხელისუფლებისთვის მისაღები პოლიტიკური მრწამსის მქონე ვინმე კოლექტიური თეა თუთბერიძე ან კობა ბექაური დაიკავებს.

ამით, დიქტატურისკენ მიმავალ გზაზე ხელისუფლება კიდევ ერთ ციხესიმაგრეს აიღებს. **თუ გავითვალისწინებთ, რომ კონტროლის პალატის, უშიშროების სამსახურის, პროკურატურის, პოლიციის ბასტიონები უკვე აღებული, „საეჭვო ელემენტებისგან" გაწმენდილი და დეზინფექცირებულია, ტრიუმფალური სვლა დიქტატურისკენ ერთობ გაიოლდება.**

ალბათ, იმის თქმა არც ღირს, რომ პოლიტიზებული, ხელისუფლების ნების უსიტყვოდ აღმსრულებელი სასამართლო ქვეყანას, საზოგადოებას ღვთის რისხვად მოევლინება. ყველაზე მეტად ეს თვითონ იმ მოსამართლეებმა იციან, რომლებსაც, ჯერჯერობით, ზოგიერთი მოპროტესტე კოლეგის გვერდით დადგომა ვერ გადაუწყვეტიათ. ჰგონიათ, რომ მათ ფილოსოფიურ (სინამდვილეში — ლაჩრულ) დუმილს ხელისუფლება დააფასებს და ტურავასულაქველიძე-გვენეტაძის (უზენაესი სასამართლოს „ამბოხებული" წევრები) ბედს არ გაიზიარებენ.

**თუმცა, ხელისუფლების მთავარი ბასტიონი მაინც ასაღები რჩება — ეს არის საღი (აკადემიური) საზოგადოებრივი აზრი.** ვითარებას ის გარემოება ართულებს, რომ ხელისუფლებისთვის ამ მრისხანე და უჩინარ მტერს ზურგს უმაგრებს მსოფლიო გამოცდილება, ცოდნის უსაზღვრო ოკეანე, გნებავთ, მსოფლიო გონი, ადამიანთა მეხსიერება და, რა თქმა უნდა, ყველაფერი ამის ფაქტობრივი წარმმართველი და მამოძრავებელი ინსტიტუტები, ზოგადად, განათლების სისტემის სახით.



**განათლების სისტემის რეფორმარეორგანიზაცია რომ აუცილებელი იყო, ამაზე, მგონი, ჩვენი ხელისუფლების ყველაზე თავგადაკლული ოპოზიციონერებიც არ დავობენ. ამ მიმართულებით, ბევრი საინტერესო და, იქნებ, პერსპექტიული ნაბიჯი რომ გადაიდგა, საკამათო ესეც არ უნდა იყოს (თუმცა, რეფორმის წარმატებებით თავის მოწონებამდე ჯერ ძალიან შორია), მაგრამ გამოიკვეთა ერთი უაღრესად საშიში ტენდენცია — განათლების სისტემის პოლიტიზაციის მცდელობა.**

ვინაიდან ამაზე დაწვრილებით მსჯელობა შორს გაგვიტყუებს, ორიოდე მაგალითით დავკმაყოფილდები.

რეფორმად თუ არა, რეფორმის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად მაინც, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში თვითმმართველობის ფაქტობრივი ლიკვიდაცია და რექტორებად ხელისუფლების ფავორიტი პიროვნებების დანიშვნა ჩაითვალა. ამას მოჰყვა ფაკულტეტების და კათედრების ხელმძღვანელთა ტოტალური ჩანაცვლებები. თითქმის ყველგან, დიდ და მცირე თანამდებობებზე „სანდო" და „ერთგული" ხალხი გამოჩნდა.

ხელისუფლების მითითებით და ახალგაზრდა „ნაცების" უშუალო ხელმძღვანელობით, ყველა სახელმწიფო (და ზოგიერთ არასახელმწიფო) უმაღლეს სასწავლებელში შეიქმნა ხელისუფლების პოლიტიკის მხარდამჭერი სტუდენტური კავშირები, გაერთიანებები, კლუბები და ა. შ.

თითქმის იგივე განმეორდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში — სადღაც გაქრა დაპირებული და კანონით გათვალისწინებული თვითმმართველობის ორგანოები (მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა თვითმმართველობები, სამეურვეო საბჭო). გათავისუფლდნენ ძველი და დაინიშნენ ახალი დირექტორები, რომლებმაც, ბუნებრივია, გადაახალისეს სკოლის ხელმძღვანელობა. მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა კარგად რეკლამირებული კამპანია სკოლის მასწავლებლებისთვის ხელფასის მომატების თაობაზე. რაც მთავარია, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი ცხოველი ინტერესი გაუჩნდათ ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივ ოფისებს და ბელადუკებს. ხელისუფლების „ყურადღება" არც მეცნიერებათა აკადემიას მოკლებია. რეფორმა-რეორგანიზაციის საბაბით, მიმდინარეობს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ხელისუფლების „ხელის ბიჭად" გადაქცევის პროცესი. პროფესორ-მასწავლებლების, აკადემიკოსების, ინსტიტუტების დირექტორებისა და მეცნიერი თანამშრომლების სოციალური მდგომარეობა სავალალოზე უარესი რჩება.

თუმცა, აკადემიური წრეებისთვის საკუთარ სავალალო საარსებო პირობებზე მნიშვნელოვანი აკადემიური აზრის ჩაკვლა-გატრიზავება უნდა იყოს. სამწუხაროდ, არ მახსენდება არც ერთი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, „მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კომპეტენტურ" (სააკაშვილის შეფასებაა) საქართველოს მთავრობას დარგის ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით რომ მიეღოს. არ მახსენდება არც ერთი მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო კანონპროექტი, პარლამენტს ან მთავრობას საჯარო განხილვისთვის რომ გამოეტანოს. ამით ხელისუფლება საზოგადოებრივი აზრის უმნიშვნელობაზე მიუთითებს.

საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფის ინიციატორი, სამწუხაროდ, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი, პრეზიდენტი სააკაშვილია. „ცელქი" მინისტრებისადმი მისი მოწოდება, ხალხში გაერიეთ, ხალხს დაუახლოვდით, ხალხის აზრი შეისწავლეთო, ფარისევლობა და ძალიან არასერიოზული საქციელია. მან კარგად იცის (ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდეს), რომ ხალხის აზრის გასაგებად თელავში, საქუაშვილის მამულში ჩასვლას ან ელიავას ბაზრობაზე მიტინგის მოწყობას ზემელზე, მეცნიერებათა აკადემიაში მისვლა და პრესაში სერიოზული ანალიტიკური სტატიების წაკითხვა სჯობს. პრეზიდენტმა ისიც უნდა იცოდეს, რომ სოფლელი დედაკაცისგან მიღებული უნიჭო ლექსები, მწვადი და ხაჭაპური ან წყევლა-კრულვა ხელისუფლებისადმი ხალხის დამოკიდებულებას არ განსაზღვრავს. ხალხი არც მიტინგზე შეკრებილი აღელვებული მრავალი ათასი ადამიანია. ხალხი არის დინჯი, აუმღვრეველი გონების ადამიანი (რაოდენობის მიუხედავად), ვისაც შექმნილი ვითარების გაანალიზება და თავისი ნაფიქრის პირუთვნელად გადმოცემა შეუძლია. სწორედ ასეთი ხალხი არის ქვეყნის და ხელისუფლების ერთგული, სანდო დასაყრდენი და არა ისეთი, ვინც რევოლუციის წინაშე თავისი არარსებული დამსახურების გამო, გიგა ბოკერიასავით, ხელისუფლებისგან ქრთამად თანამდებობას და გავლენას მოითხოვს.

**კიდევ ერთხელ გავიხსენებ საზოგადოებრივი აზრის შეუწყნარებლობის ერთ ფაქტს: ბატონმა პრეზიდენტმა საჯაროდ სინდისგარეცხილი და მექრთამე უწოდა იმ ადამიანებს, თანამედროვე ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, ვინც, ადამიანური თანაგრძნობის გამო, ხელი მოაწერეს პეტიციას სულხან მოლაშვილისთვის პატიმრობის სხვა აღმკვეთი ღონისძიებით შეცვლაზე. სააკაშვილსვე ეკუთვნის საზოგადოებრივი აზრის შეურაცხმყოფელი ასეთი „ფრთიანი გამოთქმებიც": „ვიღაცეები რაღაცეებს წკმუტუნებენ", „რაც უნდათ, ის იყიყინონ", „ამით ვერ შემაშინებენ", „მე, პრეზიდენტი, ვამბობ ამას", „ვინც რა უნდა ჩმახოს, ამას მაინც გავაკეთებ", „ჩემს აზრს არ შევიცვლი" და მრავალი სხვა.**

ზუსტად ასეთი ტონით, ოღონდ გაცილებით თავხედურად, ლაპარაკობენ პარლამენტის უმრავლესობის წევრები და ზოგიერთი მინისტრი. უფრო დაბალ რგოლებში კი საქმე გაცილებით უარესადაა — თანამდებობით განებივრებული „ოქროს ბიჭუნები" ლაპარაკის ღირსადაც არ გთვლიან, თუნდაც, ივანე ჯავახიშვილი იყო.

საზოგადოებრივი აზრის შეუწყნარებლობის ნიმუში იყო პრეზიდენტის შეხვედრა ქართველ ბიზნესმენებთან. რუსთაველის თეატრში დაბარებული ასზე მეტი კაცის წინაშე დიდაქტიკური სიტყვა წარმოთქვა და საქმის არსში გასარკვევად მისული ბიზნესმენები პირში ჩალაგამოვლებული დატოვა — სასწრაფოდ ზურგი აქცია და წავიდა.

მიკერძოებაში რომ არ ჩამეთვალოს, არ ვლაპარაკობ ხელისუფლების მიერ ქართულ ტელემედიაზე სრული კონტროლის დამყარებასა და ბეჭდური პრესის იგნორირებაზე, ტელეგადაცემების დახურვაზე, ზოგი ჟურნალისტის დაშინება-დაშანტაჟებაზე, ზოგის გადაბირებაზე, ბუნებაში არარსებული მწერლების (მაგალითად, ვინმე მამუკა ხერხეულიძის) წარმოჩენაზე... არც ე. წ. საზოგადოებრივ ტელევიზიაზე.

**შემთხვევით ამქვეყნად არაფერი არ ხდება. პრეზიდენტის და მისი ხელისუფლების ქმედებაც ლოგიკურია.**

**საზოგადოებრივი აზრის დემონსტრაციული შეუწყნარებლობით, ხელისუფლებას სურს დაგვანახოს, თითქოს ხელისუფლებისგან განსხვავებული აზრი, საერთოდ, არ არსებობდეს. საზოგადოებრივი აზრის ერთადერთი გამომხატველები, თითქოს მხოლოდ პრეზიდენტი სააკაშვილი, გიგა ბოკერია, ნიკა გვარამია და მჭევრმეტყველებით განთქმული მაია ნადირაძე ბრძანდებოდნენ. ხუთიოდე სხვაც.**

ანუ ხელისუფლება მომაკვდინებელ საფრთხეს საღი საზოგადოებრივი აკადემიური აზრის არსებობაში ხედავს და სამართლიანადაც. ამიტომაც ცდილობს განათლების სისტემის პოლიტიზებას და პრესაზე კონტროლის დამყარებას. ამიტომ ასე უხეშად და საჯაროდ უგულებელყოფს არანაცებიდან წამოსულ თითქმის ყველა წინადადებას.

**საზოგადოებრივი აზრის შეუწყნარებლობა; სასამართლო და განათლების სისტემების პოლიტიზების, მასმედიაზე კონტროლის დამყარების მცდელობებიც დიქტატურისკენ გადადგმული ნაბიჯებია.**

**თეიმურაზ ქორიძე**

(გაგრძელება იქნება)

**გაგრძელება. დასაწყისი**

იხ. „სრ" № 288-291.

◉ კრიმინალი

## უკანონოდ დანას უკეთ ხმარობენ

**ბოლო პერიოდში გახშირდა ძალადობის ფაქტები, სადაც დამნაშავეები ძირითად იარაღად დანას იყენებენ, ამან დღის წესრიგში დააყენა შემუშავება კანონისა, რომელიც ყველა მოქალაქეს აუკრძალავს მისი ტარების უფლებას. ამაზე საუბარი უკვე კანონმდებლებმაც დაიწყეს.**

ბაზრობებზე უცხოური, თუ ადგილობრივი წარმოების ნაირ-ნაირი ფორმისა და ზომის დანები სრულიად თავისუფლად იყიდება, სადაც ახალგაზრებს არჩევანის დიდი საშუალება ეძლევათ. დანის ხელში მოხვედრა კი მოზარდ თაობას ხშირად უნებლიე დანაშაულისკენ უბიძგებს.

უამრავია დაყაჩაღება ტაქსის მძღოლების თუ ქუჩაში გამვლელი მოქალაქეების, სადაც მუქარის იარაღი ძირითადად დანაა.

ამ დღეებში მთაწმინდა-კრწანისის პოლიციამ ყაჩაღობისთვის წყნეთში მცხოვრები, ადრე ნასამართლევი დიტო უფლისაშვილი აიყვანა, რომელმაც მეტროსადგურ „რუსთაველთან" ლაშა ჭინჭარაძისთვის ფულის წართმევა მოინდომა.

მან დანის მუქარით მოსთხოვა, ჩუმად, ხალხისგან შეუმჩნევლად ამოეღო საფულე და მისთვის გადაეცა, რაზეც ჭინჭარაძისაგან უარი მიიღო. შელაპარაკება პოლიციისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა და უფლისაშვილი წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

ამავე რაიონის პოლიციამ ვერის ბაღში ზურაბ მამიტოვიც გააბა, რომელმაც კახაბერ საყვარიშვილს დანის მუქარით მობილური ტელეფონი გასტაცა.

თბილისელებს არც კახელი კრიმინალები ჩამორჩებიან დანის „გამოყენებაში".

კახეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა გურჯაანელი, ადრე ნასამართლევი



თევდორე ჯობინაშვილი დააპატიმრა, რომელმაც ორ პირთან ერთად ხათუნა თათარაშვილს 360 ლარი გასტაცა.

ყაჩაღობა მოხდა ვანის რაიონშიც. სოფელ დიხაშხოში მცხოვრებმა ნოდარ და ლევან მაღლაკელიძეებმა თანასოფლელი ქეთო ლორთქიფანიძის ოჯახი გაძარცვეს.

ისინი ღამის პირველ საათზე თავს დაესხნენ დაზარალებულის ოჯახს და დანის მუქარით ოქროულობა წაართვეს.

მაღლაკელიძეებს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა უკვე შეეფარდათ. ჩადენილი დანაშაულისთვის მათ 15 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

როგორც ხედავთ, ღირს დანის ტარების აკრძალვა...

**ლელა მანაველიშვილი**

◉ მიწისქვრა ჩვენს სულებში

# „ჯეობარის“ ამბავმა შვედეთსაც მიაღწია

## „სტრიქსის“ ბარი თურმე არც შვედ მაყურებელს მოსწონს

**გაზეთმა** „საქართველოს რესპუბლიკამ“ უკვე გამცნოთ, რომ რამდენიმე ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ (მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა, მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის კავშირმა და მშობელთა გაერთიანებამ) სარჩელი შეიტანა იმ ქართული ტელეკომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც შეუსაბამო დროს აჩვენებენ ფილმებს, სარეკლამო კლიპებს, აგებულს მკვლელობის, უხამსობის, ნარკოტიკების მოხმარების, სადიზმისა და ძალადობის სცენებზე. ამ ტელეკომპანიებს შორის დაასახელეს „რუსთავი 2“, „თბილისი“, „მზე“, „იმედი“. საგანგებოდ აღინიშნა გადაცემა „ჯეობარი“, რომელიც უცხოა ქართული ეროვნული ცნობიერებისთვის.

გთავაზობთ ამონაწერს განცხადებიდან, რომლითაც ამ ორგანიზაციებმა მიმართეს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობას 2005 წლის 10 ნოემბერს:

„2005 წლის ოქტომბრის თვიდან თქვენი ტელეკომპანია აჩვენებს დღის საათებში პირდაპირი ეთერით გადაცემა „ჯეობარს“ და მის სარეკლამო კლიპებს, რომელიც არათუ მავნე ზეგავლენას ახდენს არასრულწლოვან მაყურებელზე, არამედ მიუღებელი და შეურაცხმყოფელია ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის, მეტიც — იგი წარმოადგენს უზნეობისა და გარყვნილების პროპაგანდას, აქ ხშირია შიშველი სხეულის დემონსტრირება, უხამსი და უზნეო საუბრები სიძვისა და მრუშობის შესახებ, რაც დამანგრეველ გავლენას ახდენს ახალგაზრდობის ზნეობაზე.

შეგახსენებთ, რომ ამა წლის იანვარში თქვენი ტელეკომპანია უკვე დაჯარიმდა მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მთელი რიგი მუხლების სისტემატური დარღვევისთვის. მოგიწოდებთ დაიცვათ მაუწყებლობის შესახებ კანონის მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივმართავთ საპროტესტო აქციებს სასამართლოში ლიცენზიის შეჩერების თაობაზე პროცესის წამოწყებასთან ერთად“.

არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ კომუნიკაციების კომისიის მიმართ მათი არაერთი მიმართვის მიუხედავად, წლების განმავლობაში მაინც გრძელდება დარღვევები ქართული ტელეკომპანიების მუშაო-



ბაში. ეს კი მომხმარებლის უფლებების უგულებელყოფას ნიშნავს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ამბავს საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც გამოეხმაურნენ. გთავაზობთ ინტერნეტიდან ამოღებულ მასალებს, საიდანაც ვიგებთ, რომ შვედეთში არსებობს ტელევიზია „სტრიკსი“. ეს ტელევიზია აჩვენებს „ჯეობარის“ მსგავს გადაცემას. სიტყვასიტყვით გთავაზობთ შვედეთში მცხოვრები ქართველების წერილს (სტილი დაცულია — ხ. ჩ.):

„შაბათს, 26 ნოემბერს, დღის 12.30 გაიმართება საპროტესტო აქცია შვედეთის ტელევიზია „სტრიკსის“ გადაცემა „ბარის“ წინააღმდეგ ტელეკომპანიის მთავარი ოფისის წინ, სტოკჰოლმში.

დემონსტრაცია მიმართულია იმ ქართველების მხარდასაჭერად, რომელიც გამოთქვამს პროტესტს ქართული ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მიერ წარმოდგენილი „სტრიკსის“ სერიალ „ბარის“ მიმართ.

ინფორმაცია ოფიციალურად იქნა მოწოდებული და ჩვენც ჩვენი მხრიდან ოფიციალურად მივმართავთ „რუსთავი 2“-ს შეწყვიტოს ზემოაღნიშნული გადაცემის ჩვენება.

თავად ტელეკომპანია „სტრიკსი“ დიდად ვერ გამოირჩევა კომპეტენტურობითა და საზოგადოების სიმპათიით. აღნიშნული ტელეკომპანიის ერთ-ერთი წევრი პოლიციის მიერ იქნა დაკავებული, ნარკოტიკების მოხმარებაში ეჭვმიტანილი, როცა მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დაცვის წევრს ერთ-ერთ ოფიციალურ სადილზე ორიოდე წლის წინათ.

გვინდა, დავძინოთ, რომ აღნიშნული ტელეკომპანია ადრეც გამოირჩეოდა უკიდურესი არაკომპეტენტურობით, მცდარი ინფორმაციის გავრცელებით და საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფით, რასაც შედეგად მათი ერთ-ერთი სერიალის დახურვა მოჰყვა (ლაპარაკია ტელეკომპანია „სტრიკსზე“. რედ.).

პატივცემულო ქართველებო, მოგმართავთ თხოვნით, მიიღოთ შესაბამისი ზომები.

იორან დალინი —
შვედურ-ქართული
საზოგადოების
თავმჯდომარე“.

* * *

**მოკლედ** — „ჯეობარიც“, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, უცხოელთაგან გადმოგვიღია...

სხვათა შორის, ამ წერილის კითხვისას ორიოდე წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა: ტელევიზიით აჩვენეს გადაცემა: ამერიკელები შეუდარებელი ოსტატობით ასრულებდნენ ქართული მუსიკის შედევრებს. გადაცემის ბოლოს გამოვიდა ერთი მათგანი და ასეთი რამ თქვა: „როდესაც ვუსმენ ზოგიერთ თანამედროვე ქართველ მომღერალს — გაჭირვებით რომ მღერის რეპს, როკს, ბლუზს და ა. შ., გულში ვიმეორებ: — თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასო.“ — ეს სიტყვები დამტვრეული ქართულითა და ერთგვარი ნიშნისმოგებით გვითხრა უცხო ქვეყნიდან ჩამოსულმა უცხო კაცმა, რომლის სახელი და გვარიც კი არ მახსოვს ახლა.

არადა, სიმართლე გვითხრა — სრული სიმართლე, რომელსაც წყალი არ გაუვა!

**ხათუნა ჩიგოგიძე**

*P. S. გუშინ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გაიმართა სხდომა.*

*კომისიამ ცნო, რომ მართლაც იყო დარღვევები ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის, „მზის, „თბილისის“ მუშაობაში. მათ შეუსაბამო დროს გაუშვეს ეთერში ფილმები, რომლებიც მავნე ზეგავლენას ახდენენ არასრულწლოვან მაყურებელზე. ამ ტელეკომპანიებს დაევალათ, გააკეთონ დეკლარაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. საბოლოო დასკვნა, როგორც სხდომაზე ითქვა, უახლოეს 2-3 დღეში გაკეთდება.*

*ამის შესახებ ჩვენი გაზეთი ვრცელ მასალასაც მაშინ მოგაწვდით.*

**ხ. ჩ.**

◉ ინფორმაცია

## ავტოსამრეცხაოებს შეამოწმებენ

**თბილისის** მერიის ზედამხედველობის სამსახური 15 იანვრიდან დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ავტოსამრეცხაოებს შეამოწმებს.

ზედამხედველობის სამსახურის სანიტარიული განყოფილების უფროსის დავით ავალიანის განცხადებით, თბილისში არსებული ყველა ავტოსამრეცხაოს ხელმძღვანელობას მდგომარეობის გამოსასწორებლად სპეციალური გაფრთხილებები და გეგმა-დავალებები აქვს მიცემული.

ზედამხედველობის სამსახური აქტიურ რეიდებს ახალი წლის დღესასწაულის შემდეგ დაიწყებს. სანიტარიული ნორმების და ვიზუალური მხარის მოუწესრიგებლობის შემთხვევაში ფულადი საჯარიმო სანქციები 50-დან 1500 ლარამდე გაიცემა. ზედამხედველობის სამსახურში არ გამორიცხავენ საჭიროების შემთხვევაში ავტოსამრეცხაოების დემონტაჟიც განხორციელდეს.

## აფხაზებმა მაგისტრალზე კონტროლი გააძლიერეს

**აფხაზი** სეპარატისტების სამართალდამცავი სტრუქტურები ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გაძლიერებულ რეჟიმზე გადავიდნენ. ამის შესახებ სეპარატისტების შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმირ გაიდუკოვმა განაცხადა.

მისი თქმით, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ენგურიდან ფსოუმდე შავი ზღვისპირა საავტომობილო მაგისტრალს. „ახლა ის სეზონია, როცა მოსახლეობა ციტრუსებით ვაჭრობის საშუალებით გარკვეულ თანხებს გამოიმუშავებს. გაძლიერებულ რეჟიმზე გადასვლა განპირობებულია იმით, რომ აღნიშნულ საავტომობილო გზაზე ციტრუსებით მოვაჭრეებზე თავდასხმები არ მოხდეს“. [illegible]

◉ დრომ მოიტანა

# დოლგინი შოუ ქეჩაში

## ჯეობარში პირველ ადგილზე გავა ის, ვინც ყველაზე უზნეო აღმოჩნდება

**საქართველო შოუების ციებ-ცხელებამ მოიცვა. ამას წინათ „ამტანის“ სახელწოდებით გადიოდა შოუ და მისი მონაწილენი ისეთი პოპულარები გახდნენ, თითქოს ეროვნული გმირობა ჩაედინოთ. ახლა კი „რუსთავი-2“-მა შვედური პროექტის ლიცენზირებული გადაცემა „რეალითი შოუ“ შემოგვთავაზა.**

**მათზე საზოგადოების ერთ ნაწილს მკვეთრად უარყოფითი მოსაზრებები აქვს. ბევრი მიიჩნევს, რომ ასეთი ტიპის გადაცემებზე ლაპარაკიც კი არა ღირს, მით უმეტეს გარჩევა: მათ ყურებაზე ფსიქიკურად ჯანმრთელი კაცი დროს არ დახარჯავს. ამიტომ კატეგორიულად მოითხოვენ მის აკრძალვას.**

**მე შევხვდი სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს და აზრის გამოთქმა ვთხოვე:**

**ლელა ჩხარტიშვილი, ფსიქოლოგი:** „რეალით შოუ“ არის სანახაობა, რომელიც ადამიანში აღვიძებს და აცოცხლებს მდაბალ სურვილს, უთვალთვალოს ვიღაცის კერძო, პირად ცხოვრებას, ალბათ, ტრაგედია ის არის, რომ ადამიანებს აქვთ შინაგანი მოთხოვნილება, ამ ყველაფერს უყურონ.

ხალხს აჩვევენ, ყველას თვალწინ ცხოვრებას. ხომ არ მოასწავებს ეს მზადებას იმისათვის, რომ შევეგუოთ ერთიანი მსოფლიო კონტროლის დაწესებას? რა თქმა უნდა, ნაწილობრივ, ალბათ, ასეც არის. ადამიანებს ახალ აზროვნებას უყალიბებენ. ართმევენ ინდივიდუალობას. ვითომ ადამიანთა უფლებების დაცვისათვის იბრძვიან, სინამდვილეში კი ადამიანის ყველა უფლება ფეხქვეშ ითელება.

ტელევიზია და პრესა სულ უფრო და უფრო ყვითელი ხდება. გათვლილია ინტრიგაზე, სკანდალზე, რაც გადაცემებს უფრო მომგებიანს ხდის მაყურებელთა მიზიდვის თვალსაზრისით. მონაწილეებს სურთ, ფული იშოვონ, ცდილობენ, ამ მიზნისათვის ყველა საშუალება გამოიყენონ, უფრო მეტად ვულგარული და სკანდალური იყვნენ. ერთმანეთის მიმართ კონკურენცია აგრესიასაც ამძაფრებს. თუმცა ამასაც თამაშად ასაღებენ, არადა, რეალურია აგრესია, ჭორიკნობა, დაბეზღება და ა. შ. ეს უკვე აღარ არის თამაში.

ამ ადამიანების ფსიქოლოგიას განუწყვეტლივ აკვირდება მაყურებელი, შემდეგ იწყებს მათი ქცევის განსჯას, განკითხვას, ზოგჯერ მიბაძვას და ა. შ. ეს მონაწილენი ცდის პირებს ემსგავსებიან, რაც მტკივნეული და შეურაცხმყოფელი უნდა იყოს ყველა ნორმალური ადამიანისთვის.

შოუში უფრო კარგი მაშინ ხარ, როცა უფრო ცხოველივით იქცევი, შეგიძლია, კამერის წინაშე გაშიშვლდე. ეს ძალიან დიდი საცდურია ახალგაზრდობისთვის.

სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს ქვეყანაში ზნეობრივი ადამიანების არსებობით. მთელი იმპერიები უზნეობის გამო ემხობოდნენ. უნდა შევიგნოთ, რომ ქვეყნის საყრდენი ზნეობრივი ხალხია. ეს გადაცემები კი პირიქითაა.

ძველ დროში წმინდა მამები ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ ამფითეატრული სანახაობების მიმართ. გმობდნენ მის ამორალობას, სიუხეშეს. იქ ტკბებოდნენ ბრძოლის სისასტიკით, თვრებოდნენ სისხლიანი ალტაცებით, აქ კი ბრძოლა უსისხლოა. ნეტარი ავგუსტინე „აღსარებაში“ ამგვარი სანახაობების შესახებ წერს: „შეიძლება სული, რომელიც იკვებება მტრობით და შეჯიბრით, ჯანმრთელი და მშვიდი დარჩეს?“ წმინდა მამებისთვის აქტიური ამოცანი იყო ადამიანის ზნეობრივი სისუფთავისთვის ბრძოლა.

ამ შოუების ერთგული გულშემატკივრები არ ზოგავენ ხარჯებს თავიანთი „ფავორიტებისთვის“ ხმის მისაცემად, რითაც სატელეფონო კომპანიებს დიდად შეეწევიან. არადა, ირგვლივ იმდენი უმწეო და უსახსროდ დარჩენილი ადამიანია, რომელთაც ეს 50 თეთრი სიცოცხლის თუნდაც ერთი დღის შენარჩუნებას ნიშნავს.



რეალითი შოუები მონაწილეთა და მაყურებელთა ფსიქიკაზე დამანგრევლად მოქმედებენ. თითოეული მათგანი მონაწილეებისთვის ფსიქოლოგიურად სტრესულ გარემოს წარმოადგენს. ადამიანები თავიანთი ჩვეული გარემოდან, ხვდებიან რადიკალურად შეცვ- [illegible] პრობლემები. ფული არა აქვთ, საკვების ნაკლებობაა და, რაც მთავარია, მათი თავისუფლება აღკვეთილია. ეს სტრესფაქტორებია, რომელთაც არასტაბილური ფსიქიკის მქონე ადამიანები ვერ უძლებენ. ძალიან სწრაფად ვლინდება, ვის აქვს სუსტი ფსიქიკა. ასეთ სტრესულ სიტუაციაში მოხვედრა ქვეცნობიერებაში არსებული ფსიქოლოგიური პრობლემების გააქტიურებას იწვევს და მალე გამოდის არენაზე. შეიძლება ამან ისე იმოქმედოს მონაწილეზე, რომ მან ვეღარ შესძლოს საკუთარი თავის სტრესიდან გამოყვანა. ეს შოუ მაყურებელთა ფსიქიკაზეც მოქმედებს, — როცა ადამიანი წიგნს კითხულობს, უყურებს კინოს ან ისეთ შოუებს, თავის ინდენტიფიცირებას ახდენს რომელიმე გმირთან, გარკვეულწილად ხდება იმ პრობლემების გადმოტანა, აქტუალიზაცია.

**მარიამ ყიფიანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პედაგოგი:** მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ცდის პირები, ჯეობარის მარტო ეს მონაწილენი კი არა, მთელი ერია. იმ ქვეყნებში, რომელთაც ცივილიზებულ ქვეყნებს ვეძახით, კერძოდ, ინგლისში, ამ პროექტს თანდათან აჩვევდნენ მაყურებლებს. ეს გადაცემები იქ ძალზე სუსტად ითვლებ[illegible]ა, შესაბამის[illegible] დონის მა[illegible] გათვლილი.

ის. მე-7 გვ.

◎ შენ, ნიჭო ჩემო...

# არ ელერს თუ – «ზურაბ წერეთელი – რუსეთის წლის მოქალაქე!»

**საქვეყნოდ აღიარებულ ფერმწერსა და მონუმენტალისტს რუსეთის ფედერაციის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს ზურაბ წერეთელს „რუსეთის წლის მოქალაქის“ წოდება მიანიჭეს.**

დიდი მაესტროს უამრავი რეგალიებისა და დიდი წარმატებების ფონზე ეს თითქოს არც უნდა იყოს გასაკვირი, მაგრამ რუსეთში ძნელია ხელოვანმა და ასეთმა მრავალწახნაგოვანმა მოღვაწემ თავი დაიმკვიდროს და საყოველთაო აღიარება მოიპოვოს... ეს მისი დიდი ხელოვნებისა და მისი პიროვნული ხიბლის მონაპოვარია... ვულოცავთ ჩვენს თანამემამულეს კიდევ ერთ აღიარებას.

ამ დღეებში კი ზურაბ წერეთლის გამოფენა ქალაქ ტულაში გაიხსნა და ალბათ ერთ თვეს გასტანს. ექსპოზიციაში წარმოდგენილია სამასამდე ნამუშევარი: — ფერწერა, გრაფიკა, მინანქარი, მომცრო ქანდაკებები. გამოფენის გახსნაზე მოსულმა უამრავმა დამთვალიერებელმა დიდი ინტერესი გამოიჩინა, ხოლო მასპინძლებმა გამოფენის გახსნა ქალაქ ტულის დღესასწაულად აქციეს. ამ დღისთვის საგანგებოდ მოიწვიეს ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი, რაც ხელოვანისთვის სასიამოვნო სიურპრიზი და ცრემლის მომგვრელი აღმოჩნდა.



გამოფენას ქალაქ ტულაში წინ უსწრებდა ასევე წარმატებული გამოფენები მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, იაროსლავში, ლიპეცკში, ულიანოვსკში და ვოლოგდაში. არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ ითქვას ქალაქ ვოლოგდის გამოფენის რეზონანსზე, რომელიც პრესაში დღემდე არ განელებულა.

ხელოვანთა წრეებში აქ რადიკალურად შეიცვალა აზრი ყველაზე სკანდალურ ფერმწერსა და მონუმენტალისტზე და მას უწოდეს „მზიანი მხატვარი პირქუშ თოვლიან ჩრდილოეთში“.

ზურაბ წერეთელმა ვოლოგდის სამხატვრო გალერეას საჩუქრად გადასცა ტიხრული მინანქრის დიდი პანო წმიდა გიორგის გამოსახულებით. შესანიშნავად გამოცემული ალბომები, ხელოვნებათმცოდნეებისათვის ესოდენ საჭირო ფუნდამენტალური ნაშრომები. — „ის ნამდვილი ქართველია, — წერს ერთ-ერთი გაზეთი, — გულღია, კეთილგანწყობილი და უშუალო.“ — მის გვერდით, — ეს სიტყვები კი უკვე გუბერნატორს ეკუთვნის, — თავს მის მეგობრად გრძნობ. არადა, მას უამრავი მეგობარი ჰყავს, იმდენ სითბოს და სიყვარულს ასხივებს, აღარ მიკვირს, რომ მას მშვიდობის ელჩისა და მსოფლიო მოქალაქის ტიტული აქვს მინიჭებული.

ახლა კი იმ სამომავლო გეგმებზე, რასაც დიდი მაესტრო, დღეიდან კი რუსეთის წლის მოქალაქე, მოსკოველებსა და მის სტუმრებს უმზადებს: ალექსანდრე ნეველის სახელობის სამლოცველო სიმაღლით 12 მეტრი, ფართით კი 8კმx8 კმ-ზე აიგება სამკუთხა რკინის კონსტრუქციებისაგან და გამჭვირვალე ძვირფასი ბროლისაგან, შიგნით ოქროთი დაფერილი დიდი ჯვრით და ულამაზესი შანდლებით. დღისით მზის სხივებზე თვალის მომჭრელად აელვარდება, ღამით კი საგანგებო განათებით... ეს მშვენიერი, უნატიფესი საკულტო ქმნილება 2008 წელს დაამშვენებს მოსკოვის ცენტრალურ მოედანს, მანეჟის იმ ნაწილს, სადაც ტრადიციულად საახალწლო ნაძვის ხეს დგამენ ხოლმე.

როგორც წესი, დიდი კამათი და აზრთა სხვადასხვაობა იყო მოსკოვის არქიტექტორთა და ქალაქის ხელისუფალთა წრეებში, თუ რამდენად შეესატყვისებოდა იგი ამ გარემოს, ანუ ყოფილი სასტუმრო „მოსკოვის“ ადგილას ხომ ფეშენებელური „ოტელი“ აშენდება... დიდი ბჭობის შემდეგ მოსკოვის არქიტექტურის სამსახურმა ზურაბ წერეთელს სთხოვა ჩვეული შემართებით განახორციელოს თავისი პროექტი.

**დოდო იორდანიშვილი**

**სურათზე: ზურაბ წერეთელი ქალიშვილთან — ლიკასთან ერთად.**

◎ ხიდი

## „გრან პრი“ — ქართულ რეჟისორს

**ქალაქ ნოვგოროდში, სტარაია რუსაში, სადაც გარკვეული წლები გაატარა დიდმა რუსმა მწერალმა თევდორე დოსტოევსკიმ, ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. აქ მწერლის ნაწარმოებების მიხედვით თავიანთ დადგმებს წარმოადგენენ სხვადასხვა თეატრალური დასები. ახლახან რიგით მეცხრე საერთაშორისო ფესტივალზე აღიარება ხვდა ქართველი რეჟისორის ანდრო ენუქიძის მიერ დადგმულ სპექტაკლს, რომელიც მან ქალაქ ომსკის მეხუთე კამერულ თეატრში განახორციელა. ეს გახლავთ დოსტოევსკის მოთხრობა „მკვდარი სახლის ჩანაწერების“ მიხედვით შექმნილი პიესა, რომლის ავტორიც თავად ანდრო ენუქიძეა. სპექტაკლი ჟიურიმ საუკეთესოდ ცნო და მას „გრან პრი“ გადაეცა.**

ომსკის მეხუთე კამერულ თეატრთან ქართველი რეჟისორის თანამშრომლობა პირველი არ არის, უფრო ადრე აქ ორი სპექტაკლი დადგა ავთო ვარსიმაშვილმა.

ძალიან საინტერესო თეატრალური კოლექტივია, ვფიქრობ ბოლო წლებში შექმნილი თეატრებიდან ომსკის თეატრი ერთ-ერთი საუკეთესოა და თავისი დადგმებით საკმაოდ ცნობილია ევროპის თეატრალურ წრეებში. დოსტოევსკის პიესაზე სიამოვნებით ვიმუშავე, ამ სპექტაკლით თეატრი საგასტროლოდ მიწვეულია ციურიხში და იტალიაში. იგი ფირზე გადაიღო რუსეთის ტელევიზიამაც, კერძოდ, კულტურის არხმა და ახლო მომავალში ალბათ ეთერშიც იქნება. გაისად ამ თეატრმა მე და ავთო ვარსიმაშვილი კვლავ მიგვიწვიეს სპექტაკლების დასადგმელად, — ამბობს ანდრო ენუქიძე.

**რუსუდან მუხაძე**

◎ შაბათის სტუმარი

# „მაფრთხილებდნენ, „ბადრი, ნუ სვამ „ნაპიტოკებს“, სიბერის ჟამს დაგიტოკებსო“, და — ისე აგიხდა ყველაფერი...“

**საქართველოს სახალხო არტისტი ბადრი ბეგალიშვილი ვეტერანი ფეხბურთელისა და მსახიობის მიშა ჯოჯუას საიუბილეო საღამოზე შემხვდა. ცოტა ფერმკრთალი მეჩვენა და მიზეზი რომ ვკითხე, ინსულტი გადავიტანე ამ რამდენიმე წლის წინათო, ერთ საღამოს, ძმაკაცებში, „ადესას“ დავხარბდი, ბლომად ვსვით, მეორე დილით კი ლუდით გავიჭყიპე და ყოფაც მეტირაო. რა ვქნა, „მაფრთხილებდნენ, „ბადრი, ნუ სვამ „ნაპიტოკებს“ სიბერის ჟამს დაგიტოკებსო“, და — ისე აგიხდა ყველაფერი“.**

მაინც ვთხოვე, თუ შეძლებთ, იქნებ, გამოიაროთ რედაქციაში, ვისაუბროთ აქეთურ-იქეთურზე-მეთქი და, მართლაც, რამდენიმე დღეში მეწვია.

იყო დრო (არც ისე დიდი ხნის წინათ), თბილისის სახელგანთქმულ მუსკომედიის თეატრში, ხალხი ბადრი ბეგალიშვილის საყურებლად რომ დადიოდა. კოლორიტული გარეგნობა, იუმორის ნიჭი და არაჩვეულებრივი ხმა მოემადლებინა მისთვის ბუნებას და ისიც ღირსეულად აგრძელებდა მამის — მარჯანიშვილის თეატრის ცნობილი მსახიობის ჭიჭიკო (ალექსანდრე) ბეგალიშვილის გზას.

— შეიძლება ითქვას, რომ მარჯანიშვილის თეატრის კულისებში გავიზარდე, — მიამბობს ბადრი ბეგალიშვილი, — უზომოდ შემიყვარდა ეს გარემო, მსახიობების ბრწყინვალე თანავარსკვლავედი. მართალია, 35-ე საფეხბურთო სკოლა დავამთავრე, მაგრამ მერე ფეხბურთს აღარ გავყევი (დღემდე გამოუსწორებელი გულშემატკივარი დავრჩი) და მთელი ცხოვრება თეატრსა და კინოს დავუკავშირე... წარმოიდგინეთ, რომ თეატრალური განათლება არ მიმიღია, როგორც მითხარით, „გავნათლდი“ მარჯანიშვილის თეატრში, ეგ იყო ჩემი „აკადემია“ და დავიწყე ესტრადით, მაგრამ მტაცეს ხელი გოგი ცაბაძემ და ნოდარ ხუნწარიამ, რას ცდები აქაო და, რომ იტყვიან, „შემაგდეს“ მუსკომედიის სპექტაკლში — „შესანიშნავი სამეული“... ასე დამებედა ოპერეტა.

***— თუმცა, მე რუსთავის თეატრიდანაც მახსოვხართ... კარგი იყო პარუნ ოსეფა სპექტაკლში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.***

— რაღაც შემთხვევის გამო მცირე ხნით გავერიდე მუსკომედიას, თუმცა, ეტყობა, მაინც ეგ იყო, საბოლოოდ, ჩემი ბედი...

***— და, კინო... მარტო ჭიპილიას სახე რად ღირს „ჩარირამაში“...***

— ჰო, კაი დრო იყო... აღარ მყავს ჩემი ქსენია, ჩემი ლენა ყიფშიძე — უდიდესი მსახიობი... ქობულეთში გვქონდა გადაღება და შესვენებისას რესტორანში ვსადილობთ მე, ჩემი მეუღლე მსახიობი იზა ბოჭორიძე და ლენა ყიფშიძე, შემოვიდა იურა ზარეცკი და გაიხუმრა, რა გენაღვლება, ორ ცოლთან ქეიფობო... ერთ ოცდაათ ფილმში მაინც ვარ გადაღებული, მაგრამ ჭიპილია, მართლაც განსაკუთრებულია... საერთოდ კი, სცენას მაყურებლის პირისპირ დგომას, ვერაფერი შეედრება... „მეჩექმე გაბო“ ხომ გახსოვთ, გიგა ლორთქიფანიძის დადგმა, სწორედ ამ სპექტაკლში გავხდი ცუდად, გამაქანეს „სასწრაფოთი“, დუბლიორი არ მყავდა და ჩაიშალა სპექტაკლი... რეკავდნენ და რეკავდნენ მაყურებ-



ლები, ჩემი ჯანმრთელობის ამბავს კითხულობდნენ...

***— მე „მევიოლინე სახურავზეც“ მახსოვს...***

— ბატონმა გიგამ ამ სპექტაკლით, შეიძლება ითქვას, ძეგლი დამიდგა. უამრავი საქებარი სიტყვა ითქვა მერძევე ტევიეს როლის გამო... ეეე... ხანდახან, დეპრესიაში რომ ვარ, ვიფიქრებ ხოლმე, რა მრჩება?.. უამრავი რეცენზია, კინოფილმები...

***— შვილები — თქვენი საქმის გამგრძელებლები... სამი ვაჟიშვილი, ნიჭიერი არტისტები...***

— და, ექვსი შვილიშვილი... მაგათ ვენაცვალე...

***— ჰოდა, მეტი რაღა უნდა კაცს, დეპრესიაში რა გაგდებთ?!***

— კაი ცხოვრება იყო, ლაღი... ძნელია ასეთ სიტუაციაში ყოფნა... ის თეატრიც, ცხადია, აღარ განმეორდება, მორჩა...

***— მაგრამ, ხომ მოვიდნენ ახლები...***

— სხვათა შორის, ძალზე ნიჭიერი ბიჭები არიან თემურ დოიაშვილი და ნიკა მემანიშვილი... მე ვეთანხმები მაგათ იდეებს, კონცეფციას მუსკომედიის უფრო სხვა ყაიდაზე (მიუზიკლების სიმრავლე, კომიკური ოპერების დადგმა, უცხოელი სოლისტების მოწვევა) გარდაქმნის შესახებ... ის კი არა, ცოტა გულიც კი მწყდება, რომ...

***— არა უშავს, ჯერ კიდევ უნდა დაეხმაროთ თეატრს...***

— მორჩა... ჩვენ უკვე... „პენსიონეროო“!...

***— რას იზამთ...***

**ვილენ მარდალეიშვილი**

**სურათზე: საქართველოს სახალხო არტისტი ბადრი ბეგალიშვილი; სცენა მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლისა „ძველი თბილისის სურათები“ — მსახიობები ბადრი ბეგალიშვილი და იზა ბოჭორიძე; კადრი ფილმიდან „ჩარირამა“ (მარცხნიდან) ლენა ყიფშიძე და ბადრი ბეგალიშვილი.**





დრომ მოიტანა

# ლოგინი შუა ქუჩაში



(მეხუთე გვერდიდან)

ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ყოველგვარი შეჩვევის გარეშე, პირდაპირ რეალითი შოუს ყველაზე უარესი ვარიანტი შემოგვთავაზეს. „რუსთავი 2"-ის ეთერში მაყურებელმა ნახა ის, რაც არც ერთ რეალით შოუს ჯერ არ გაუბედავს ღია ეთერში. ჩვენ კი ეს გაგვიბედეს. მათ გადაწყვიტეს, რომ საამისოდ ჩვენ უკვე მზად ვიყავით, ანუ ჩვენი ზნეობა უკვე ისეა შერყეული, რომ ავსა და კარგს ველარ გავარჩევთ. ნუთუ მართლა ასე მორალურად დაცემულია ჩვენი ერი?

ეს არის ჩვენთვის გამოცდა, უპირველესად ღვთის წინაშე. რას მოვიმოქმედებთ, როგორ აღვუდგებით წინ ამ უმსგავსოებას.

ამ პროექტს არც არავინ მოიფიქრებდა, რომ დარწმუნებული არ იყვნენ საზოგადოებაზე და, განსაკუთრებით, მომავალ თაობაზე მის მავნე ზემოქმედებაში. ჩვენ მომავალ თაობას მრავალმხრივ უტევენ, მიმდინარეობს შეუქცევადი პროცესი მისი მიზანდასახული გარყვნისა. სკოლებში სურთ სექსუალური აღზრდის შეტანა, უნერგავენ უფროსებისადმი უპატივცემულობას, დაუმორჩილებლობას, ვითომდა მათ უფლებებს იცავენ, სინამვილეში უმხედრებენ მშობლებს, ოჯახს, ქვეყანას, ღმერთს. თვით ჯეობარის თანამონაწილეებიც კი საგანგებო ნიშნით ჰყავთ შერჩეულნი — უპრინციპონი, ცხოველურ ინსტინქტს დამორჩილებულნი, აქაოდა მთელი საქართველოს სახეაო.

არა, ბატონებო! ნამდვილად არ წარმოადგენენ ისინი საქართველოს ახალგაზრდობას. მადლობა ღმერთს!

ამგვარი შოუს ყველაზე დიდი მისია არის ის, რომ უნდა მიეჩვიოს ცხოვრებას სხვისი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. ეს არის შემზარავი ტრაგედია, თავისი საუკუნოვანი შედეგებით.

**დეკანოზი დავით ქვლივიძე, თბილისის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური:** — ამ შოუს მონაწილენი უსაქციელონი არიან.

წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც კარის ჭუჭრუტანიდან ვიღაცას უთვალთვალებს, თუ ამ დროს მას წაასწრებენ, იგი შეცბება და თავს უხერხულად იგრძნობს. მაგრამ თუ ჩვენ ისინი გავამძაფრეთ და გავაღვივეთ, შეიძლება, საერთოდ, ადამიანის სახე დავკარგოთ. წარმოიდგინეთ, რომ ქუჩაში იდგეს ლოგინი და ღია ცის ქვეშ ვცხოვრობდეთ. ეს ხომ შემზარავია. დაახლოებით იგივეა აქ. ეს ადამიანები ყველას თვალწინ დგებიან, წვებიან, ტანსაცმელს იხდიან და იცვამენ (უკაცრავად, ტუალეტში შედიან) და საერთოდ პირუტყვებივით ცხოვრობენ.

დაახლოებით ასეთი გადაცემები შვეიცარიაში გორილებზე გააკეთეს, ჩვენ კი ადამიანებს ვცდით. ისინი თავიანთ თავს უკომპლექსოებს უწოდებენ, ეს ტერმინი ჩვენში ამ ბოლო დროს დამკვიდრდა. უკომპლექსოს უწოდებენ უსირცხვილო ადამიანს, რომელიც საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით პირუტყვს ემსგავსება — სადაც მოუნდება, დაჯდება, სადაც მოუნდება დაწვება, ბუნებრივ მოთხოვნილებებს დაიკმაყოფილებს და ამ თავხედობას თავისუფლებას უწოდებენ, სინამდვილეში ეს თავისუფლება კი არა, ვნებების მონობაა. თავისუფალია ადამიანი, რომელიც თავისი თავის ბატონპატრონია, საკუთარ ვნებებს თოკავს და საკუთარი თავის მართვა შეუძლია. აი, ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლება.

ტრაგედიაა ის, რომ ასეთი შოუები, განსაკუთრებით მავნედ მოქმედებენ გარდატეხის ასაკში მყოფ მოზარდებზე, აჩქარებული კადრებით, პირდაპირ ეთერში აჩვენებენ მრუშობას. 13-14 წლის არამდგრადი ფსიქიკის ბავშვები შეჰყურებენ და ირყვნებიან. ეს არის დანაშაული ერის წინაშე.

ამის წამახალისებელი 35000 ლარი რომ არ იყოს, იქ არავინ მივიდოდა. ადამიანებს თავისა და ერთმანეთის ფულზე გაყიდვას ასწავლიან. ამ ფულით ცდილობენ, ყველაფერზე ხელი მოაწერონ, ყველაფერი დაათმობინონ (მეგობრობა, იდეალები და ა. შ.). ამ გაჭირვების ჟამს, როცა ხალხი სანაგვეში იქექება, რამდენი იტყვის, მეც გავაკეთებ ამას, ოღონდ ჩემი შვილები იყვნენო კარგად. ეს ძალიან დიდი საცდურია.

წმინდა მამები ამბობენ, — ქრისტიანი ისე უნდა ცხოვრობდეს, თითქოს მას სამი თვალი ჰქონდეს. ერთი თვალით საკუთარ თავს გვერდიდან უნდა უყურებდეს და აკონტროლებდეს, ღვთის წინაშე უნდა აყენებდეს და არა ტელეეკრანისა და მაყურებლის წინაშე.

ამ შოუების წინააღმდეგ გაილაშქრეს რუსეთშიც, მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი მრევლი დადგა ფეხზე. ბალტიისპირეთში მთელმა ინტელიგენციამ აიმაღლა ხმა და შოუები დახურეს. ჩვენ კი სადამდე მივედით? ცდუნების ეს კერა უნდა მოიშალოს...

სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი გულშემატკივრობს მათ, ისინი მათხოვრის დანახვაზე მრისხანებაში ცვივიან და მზად არიან შეურაცხყოფა მიაყენონ მაცხოვრის სახით მოსულ მათხოვარს, ჩაწიხლონ იგი, აქ კი გზააბნეულთა დასაფინანსებლად ყოველდღიურად ამდენ მესიჯს გზავნიან და, ფაქტობრივად, ამით ხელს უწყობენ მათ არსებობას. ეს ფული ეშმაკისათვის მირთმეული ძღვენია. მაყურებელთა გზავნილი რომ არ იყოს, ეს პროგრამა შეწყდებოდა.

ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ახალ პროექტს ამზადებენ, სადაც უზნეობის აპოგეა იქნება. ერთ გოგონას ეყოლება რამდენიმე პარტნიორი ვაჟი, შემდეგ იქნება სჯაბაასი და ამორალურ საკითხებზე აზრების გაცვლა-გამოცვლა. ეკლესია და მრევლი ამას არ დაუშვებს და ყველა ზომას და ხერხს მიმართავს, რათა ცივილიზებული მეთოდებით შეწყდეს უზნეობის ეს ქადაგება. ეს ადამიანები მთელი საქართველოს სახეს არ წარმოადგენენ (თუმცა ცდილობენ, რომ საქმე ასე წარმოაჩინონ), მაგრამ ეს ჩვენ დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს.

**რეალითი შოუს მონაწილეებს საზოგადოება სახელებით იცნობს უკვე.**

**რატომ? რა დამსახურებისათვის? საზოგადოება სახელებით იცნობს ისეთ ადამიანებს, ვისაც სხვაზე უკეთ რამე გამოსდის ხელიდან — ან უკეთეს ლექსებს წერს, ან უკეთესად მღერის, ან ჭადრაკს თამაშობს უკეთესად.**

**აქ კი ღირებულებათა ჩანაცვლება ხდება. ერთმანეთის ზიზღით, სიძულვილით, დაბეზღებით, დასმენით იწყება ახალი ტიპის ჩამოყალიბება. ექნება ახალი აზროვნება და არ ექნება ტრადიცია, არ ეყვარება არც დედ-მამა, არც შვილი, სიყვარელი არა, თანადგომა არა, ცხოვრების მოწყობა სხვისი განადგურების ხარჯზე. მთელი უბედურება არის ის, რომ ამ გადაცემაში პირველ ადგილზე გავა ის, ვინც ყველაზე უზნეო, ყველაზე სასტიკი და ცივსისხლიანი აღმოჩნდება. უბედურება ის არის, რომ მშობლები ასეთ შვილებს გულშემატკივრობენ.**

**როდესაც ამას წინათ, ეკა ხოფერიამ შოუს მონაწილეებს სპეციალური გადაცემა მიუძღვნა, საბოლოოდ მოიჭრეს თავი და ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს საზოგადოებას, რა საშიშია ასეთი ადამიანების პოპულარიზაცია. ერთხელ კიდევ დაისვა კითხვა: ესენი რატომ იქცნენ გმირებად, ცნობილ სახეებად? იმიტომ, რომ კარგად შეუძლიათ მეგობრისთვის ფეხის დადება და სიტუაციის სათავისოდ გამოყენება, უფროსების უპატივცემულობა?**

**და ამას საზომად ვხდით?**

**პასუხი იმათ, ვინც ამბობს, რომ ეს ცხოვრების მოდელია და ეკრანზე ვხედავთ იმას, რაც ცხოვრებაში ხდება: — ჯერ ერთი, ცხოვრება ასეთი უბადრუკი რომ იყოს, ღმერთმა დაიფაროს. დავუშვათ არის, რაღა მის უარეს მხარეს მივაშუქეთ პროჟექტორი და მის ყველაზე ბინძურ კუთხე-კუნჭულს ვამზეურებთ?!**

**მოზარდი ხომ უყურებს, უნდა იფიქროს, რომ ეს ცხოვრების წესია და წარმატებისკენ მეგობრის ტკივილსა და ცრემლზე უნდა იაროს?!**

**შეაჯიბრე უკეთეს რამეში, ვინ უფრო უკეთ იცის თავისი ქვეყნის, თუ მსოფლიოს ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება, შექმენი ამისთვის მასტიმულირებელი გარემო.**

**პასუხი იმათ, ვინც ამბობს, რომ ვისაც არ მოსწონს, სხვა არხზე გადართოსო ტელევიზორი: — ყველა ვერ გადართავს, ზრდასრული, ჩამოყალიბებული ადამიანი, ვისაც ზნეობრივი პრინციპები თავის ადგილზე აქვს, გადართავს, აღარც გაიხსენებს, მაგრამ მოზარდი? ყმაწვილი?**

**ვნებას ერთი ცუდი თვისებაც აქვს, სხვა ბევრ სიბილწესთან ერთად იზიდავს, იჯაჭვავს სიკეთეში გამოუწრთობ სულს და წამლავს მას. ამიტომ ვერ გადართავს იოლად ახალგაზრდა ადამიანი სხვა არხზე იმას, სადაც მისი თანატოლები „ცხოვრობენ", აინტერესებს, რაღაც უცხოა მისთვის, ამის იქით ვერ იყურება.**

**მაშ, რაღა მიზანი აქვს ამ შოუს?!**

**მარადი ანასაშვილი**

ულაყების ფერმა

# ამერიკელი ბიჭი — გამომახვებით

## შეერთებულ შტატებში გაიხსნება პირველი საროსკიპო.... ქალებისთვის

ალბათ, ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ შეერთებულ შტატებში საროსკიპოების მფლობელთა შორის პირველობას არავის უთმობს მადამ ჰეიდი ფლეისი. გასული საუკუნის 90-იან წლებში ამ ქალბატონმა, რომელმაც საკმაოდ სოლიდურ თანხებს მოუყარა თავი საკუთარი სხეულით ვაჭრობით, გახსნა „სატელეფონო ზარით გოგონასთან ურთიერთობის" ბიზნესი, რითაც სახელი გაითქვა მთელს ამერიკაში. ჰოდა, მის თავბრუდამხვევ კარიერაში იწყება ახალი ეტაპი — ქვეყანაში პირველი საროსკიპო ქალებისთვის.

ნევადის შტატში უკვე ოფიციალურად რეგისტრირებულია 26 საროსკიპო, რომლებსაც აქვთ ლიცენზიები. ამიტომაც, ჰეიდის თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნდა, გაეხსნა უბრალოდ 27-ე ასეთი დაწესებულება, ჰოდა, მანაც გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ გაეოცებინა მთელი მსოფლიო. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებულ მასალებს ვერწმუნებით, უახლოეს ხანებში ნევადის შტატის დედაქალაქ ლას-ვეგასის მიდამოებში შეიქმნება „ულაყების ფერმა", რომელშიც მეძავი-მამაკაცები მოემსახურებიან კლიენტ-ქალბატონებს.

მადამ ჰეიდი ფლეისის გეგმების თანახმად, ააგებენ კოშკს, რომელშიც ქალბატონები და რაინდები ერთმანეთს გაუცვლიან ადგილებს. ამ სექს-კოშკში იქნება ყველაფერი: აბანო, ბუტიკები, რომლებშიც მსურველებს შეეძლებათ ათასგვარი სექსუალური სათამაშოების ყიდვა. კოშკში იქნება 20 ბუნგალო, რომლებშიც 20 მაჩო საათში 250 დოლარის საფასურად დააკმაყოფილებენ თავიანთ ვნე-



ბიან კლიენტებს.

მაგრამ ამ ოცნების განხორციელებამდე ჯერ კიდევ შორი გზაა გასავლელი. ამ საქმეში ჰეიდის დიდი სირთულეები ელის. დავიწყოთ იმით, რომ ეს ქალბატონი გასამართლებული იყო პროსტიტუციისთვის სხვა შტატებში, სადაც ნევადისგან განსხვავებით ეს აკრძალულია, და ამიტომაც, საკმაოდ გაუჭირდება საროსკიპოს გახსნისთვის საჭირო ლიცენზიის მიღება. თანაც, ჰეიდის მეზობლობის პერსპექტივას დიდად არ აღუფრთოვანებია არც ნევადის ლეგალური საროსკიპოების სხვა მფლობელები. არა, არ გეგონოთ, თითქოს მათ კონკურენციის ეშინოდეთ. კლიენტი იმდენია, რამდენიც მოესურვებათ. ეს ადამიანები შიშობენ, რომ ჰეიდის სექსკოშკი მოთმინების ფიალას აუვსებს შტატის კონსერვატიულ კანონმდებლებს და, ხომ შეიძლება, რომ მათ საერთოდ აკრძალონ ნევადაში პროსტიტუცია?

„ის, რაც ჩავიფიქრე, — ამბობს მადამ ჰეიდი ფლეისი, — მხოლოდ სარგებელს თუ მოუტანს ნევადის საროსკიპო ინდუსტრიას. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ეს საუკეთესო ბიზნესია ჩვენს პლანეტაზე". თვით „ულაყების" გამონახვაც არ გასჭირვებიათ. მაგრამ, შეძლებენ კი ისინი კარგი შედეგების მიღწევას? ნევადის ერთ-ერთმა პორნო-საქმოსანმა დები რივენბურმა ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „ჩემი მეძავი-გოგონები ერთი სამუშაო დღის განმავლობაში 5-10 კლიენტს ემსახურებიან. არ ვარ დარწმუნებული იმაში, შეძლებენ თუ არა მამაკაცები ასეთი გრაფიკით მუშაობას. ალბათ, მათ ამ საქმეში ვიაგრაც კი ვერ დაეხმარება". ეს კითხვა ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება.

სანამ სექს-კოშკი არ აუშენებიათ, მადამ ჰეიდის კიდევ ერთი ჩანაფიქრი აქვს — ამჯერად საროსკიპო... გეებისთვის! ამ პროექტში მას გავლენიანი მოკავშირეც ჰყავს — ნევადელი კონგრესმენი დევიდ პერქსი, ადამიანი, რომელიც ცნობილია თავისი არატრადიციული ორიენტაციით. როცა შეიტყო ქალებისთვის განკუთვნილი „ულაყთა ფერმის" შექმნის იდეის შესახებ, პერქსმა ეს პოლიტკორექტულობის დარღვევად მიიჩნია და გარდა ამისა, განაცხადა, რომ ეს უფრო მეტიც კია, რადგან არღვევს კანონებს თანასწორუფლებიანობასა და თანასწორი შესაძლებლობების შესახებ.

**მელორ სტურუა**

**P. S. აფერუმ, მადამ ჰეიდი. ქალი ვარ და კაცი მიყვარსო, შენ უნდა თქვა. საქართველოშიც თუ გამოგიჩნდება მიმბაძველი, არადა, მიბაძვა-უკულმართობის გათავისება-გადმოტანაში მგონი პირველ ადგილზე ვართ, და ერთ ამგვარ საროსკიპოს გახნის, ხომ აშენდება ჩვენი უმუშევარი მამაკაცების მრავალათასიანი არმია. მე შენ გეტყვი და საშოვარზე ასაკგადაცილებულნი გამოდიან თუ რა. გამოეწყობიან ჩვენი ბუღა კაცები ბიკინებში, წამოკოტრიალდებიან მდიდრულ აპარტამენტებში და ფულსაც გვარიანად იშოვნიან. ერთი ხელის დაკვრით სექსუალურ მოთხოვნილებასაც დაიკმაყოფილებენ, ფულსაც ჩაიჯიბავენ და უმუშევრობაც აღმოიფხვრება. ჩვენს მთავრობასაც მეტი რა უნდა — ბიუჯეტშიც ფული შევა. მაგრამ ჩვენი კაცებისა რომ ვიცი, ერთი-ორ სიამოვნებას მაინც მოუტეხავენ საგადასახადო ინსპექციას. მაშ ასე — ქართველო ბუღებო, გაერთიანდით! გზა გავუხსნათ ქართველ მაჩოთა საროსკიპოებს.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთს ალყაში აქცევენ

## ყოფილი „სოცბანაკელი ძმები“ თავიანთ ანტი-დასთა-ს აკოწიწებენ

**კიევში გაიმართა საერთაშორისო ფორუმი „დემოკრატიული არჩევნის თანასაზოგადოება“. ღონისძიება ერთობ წარმომადგენლობითი გამოვიდა: უკრაინის დედაქალაქში შეიკრიბნენ საქართველოს, მოლდავეთის, ლიტვის, ესტონეთის, ლატვიის, მაკედონიის, რუმინეთის, სლოვენიის პრეზიდენტები. ბულგარეთი წარმოადგინა ვიცე-პრეზიდენტმა, აზერბაიჯანი — საგარეო საქმეთა მინისტრმა, პოლონეთი — სეიმის სპიკერმა.**

ძნელი შესამჩნევი როდია, რომ კიევში იმ სახელმწიფოთა ლიდერები ჩავიდნენ, რომლებიც სსრ კავშირის ეპოქაში ან საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილები იყვნენ, ან მკვიდრად რჩებოდნენ მისი გავლენის სფეროში. რუსეთი კი ღონისძიებაზე არ მიიწვიეს. ეს თავისთავად იძლევა პასუხს, თუ რატომ იყო ორგანიზებული ფორუმი და რა მიზნებს ისახავს ჩასახვის სტადიაში მყოფი ალიანსი.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ჩამოაყალიბა თანასაზოგადოების ამოცანა, როგორც „დემოკრატიის მხარდაჭერა ბალტიიდან კასპიამდე“. „ბალტიაც“ და „კასპიაც“ აქ საკვანძო სიტყვებია. საკმარისია რუკის დახედვა, რომ გასაგები გახდეს: რუსეთს რკალს არტყამენ, ეგებ მტრული არა, მაგრამ ნამდვილად არცთუ მეგობრული ქვეყნებისგან შემდგარსა და დასავლეთ საზღვრებიდან სამხრეთამდე გაჭიმულს.




ოდესღაც დასავლეთის ქვეყნები კომუნიზმს უწყობდნენ კორდონს. დღეს რუსეთში დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკაა. გამოდის, რომ ლაპარაკი ამჯერად არის არა იდეოლოგიურ პირისპირ დგომაზე. ალიანსს აშკარად ანტირუსეთული მიმართულობა აქვს. მით უფრო, რომ მისი წევრები ან უკვე შედიან ევროკავშირსა და ნატოში, ან მთელი მონდომებით იქით მიეშურებიან. ასე რომ, იმის გამოთვლას, თუ როგორ პოლიტიკას გაატარებს რუსეთის მიმართ იუშჩენკო-სააკაშვილის თანასაზოგადოება, დიდი შრომა არ დასჭირდება.

ამასთან დამახასიათებელია, რომ თანასაზოგადოების დამფუძნებელი ქვეყნები ჯერ კიდევ არიან დასთა-ს წევრები და სულაც არ უპირებენ დატოვებას: მართლაც, რატომ განაცხადონ უარი ამ გამორჩენებზე, რასაც იძლევა დასთა-ს წევრობა, მაგალითად, დაწეულფასიან გაზზე?

რუსეთი უბრალო სიტუაციაში როდი აღმოჩნდება. ცხადია, რომ მისთვის ზედმიწევნით აუცილებელია ახალი, მკაფიო და ეფექტიანი პოლიტიკის აწყობა ყოფილი მოკავშირეებისა და სატელიტების მიმართ. დასაწყისისთვის კი ალბათ საჭიროა სუბსიდირების შეწყვეტა იმათთვის, ვინც ჩვენი არც მეგობარია და არც მოკავშირე...

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

# რუს ბანკირებს აფხაზეთიდან დევნიან

**საქართველოს ეროვნულ ბანკს განზრახული აქვს, 2006 წლის იანვრიდან დახუროს იმ რუსული კომერციული ბანკების ანგარიშები, რომლებიც მუშაობენ თვითგამოცხადებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში. ეს განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ, რომელმაც პირდაპირ დაადანაშაულა რუსული ბანკები აფხაზეთში ფულადი სახსრების „გათეთრებაში“. გოცირიძის თქმით, რუსეთის და აფხაზეთის ბანკებს შორის სახსრების უკანონო ბრუნვის მექანიზმი მოაგვარეს „ოქროს გვირგვინის“ ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით: ორივე მხარის ფინანსურ სტრუქტურებს ჰქონდათ შესაძლებლობა გადაერიცხათ შეუზღუდავი რაოდენობის ფულადი სახსრები მხოლოდ 1-2 პროცენტი საკომისიო მოსაკრებლის გადახდის პირობებით.**



რუსულ ბანკებს საქართველოს მხრიდან რისხვა დაატყდა თავს ჯერ კიდევ 2005 წლის მაისში. მაშინ საქართველოს ეროვნული ბანკის თავმჯდომარემ ორი წერილი მისწერა რუსეთის ცენტრალური ბანკის მეთაურს სერგეი იგნატიევს, რომელთაგან ერთ-ერთში აღნიშნა, რომ „საქართველო მოქმედებს რუსეთის მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში. ეს ითვალისწინებს იმ უცხოური ბანკების ანგარიშების დახურვას, რომლებსაც მიიჩნევს, რომ აქვთ კავშირი ტერორისტებთან“. ბატონმა გოცირიძემ თავის რუს კოლეგას სთხოვა დაებრუნებინა რუსული ბანკების საქმიანობა საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში. მეორე წერილში რომან გოცირიძე ეწინააღმდეგებოდა იმას, რომ აფხაზეთის მცხოვრებლებს პენსიებს ურიგებენ რუსეთის კომერციული ბანკების მეშვეობით, და ეს ხდება მაშინ, როცა მათ არა აქვთ შესაბამისი ლიცენზიები საქართველოში. „საქართველოს მთავრობა ყოველმხრივ არის დაინტერესებული აფხაზეთის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის დახმარების გაწევით, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს იმ საერთაშორისო ნორმებისა და წესების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ საბანკო საქმიანობას“, — ამტკიცებდა იგი.

ქართული მხარის გაანგარიშებით „ტერორისტებთან დაკავშირებულია“ რუსეთის 50-მდე კომერციული ბანკი, რომლებიც უძღვებიან ბიზნესს აფხაზეთში. ასეთი ბრალდების მტკიცებულების სახით სერგეი იგნატიევს წარუდგინეს დოკუმენტები, რომლებშიც მხილებული იყო რუსული კომერციული ბანკების უკანონო საქმიანობა.

შავ სიაში მოხვდნენ სხვადასხვა საკრედიტო ორგანიზაციები: როგორც პატარ-პატარა რეგიონული, ნაკლებად ცნობილი ბანკები, ისე საკმაოდ სოლიდური სტრუქტურებიც, მაგალითად, „სიტიბანკი“, „მეჟპრომბანკი“ და „სბერბანკი“. მოსკოვის ბანკებმა, რომლებსაც მიმართა „ვრემია ნოვოსტეის“ კორესპონდენტმა, კომენტარისგან თავი შეიკავეს.

როგორც ჩანს, რუსეთის ცენტრალურ ბანკს სათანადო რეაგირება არ მოუხდენია საქართველოს მხარის მიერ ჯერ კიდევ მაისში გაკეთებულ განცხადებაზე, და ახლა, საქართველოს ეროვნული ბანკი აპირებს იმოქმედოს ცალმხრივი წესით. უფრო მეტიც, ბატონ გოცირიძეს იმედი აქვს, რომ მიიღებს მხარდაჭერას საერთაშორისო მაკონტროლებელ ორგანიზაციებში — FATF და ევროპის საბჭოს Moneyval კომიტეტი. „ჩვენ მოვითხოვთ, რომ დახურონ ამ ბანკების ანგარიში მთელ მსოფლიოში, რადგან ისინი ხელს უწყობენ ფულის „გათეთრებას“, ეს ფული კი, შეიძლება მოხმარდეს ტერორიზმის დაფინანსებას“, — განაცხადა ბატონმა გოცირიძემ.

**ტატიანა კრიმოვა,**
**„ვრემია ნოვოსტეი“.**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა არ გამორიცხა საქართველოს შემადგენლობაში ამ რესპუბლიკის შესვლის შესაძლებლობა

**ამ დღეებში თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ცხინვალში მიიწვია ქართველი ტელეჟურნალისტები და გააკეთა მართლაც რომ სენსაციური განცხადება. კოკოითის თქმით, ამიერიდან იგი პირადად ჩაერთვება საქართველოსთან მოლაპარაკებაში. „2006 წელი უნდა იქცეს ჩვენი ხალხებისთვის მშვიდობისა და სტაბილურობის წლად, — თქვა მან. — მე მეგობრობის ხელს ვუწვდი თბილისს, და იმედი მაქვს, ამას დაინახავენ“. და, მართალია, პრეზიდენტს წამოცდა, რომ რუსეთის გარეშე ეს მოლაპარაკება ჩაშლისთვისაა განწირული, ხოლო ოსმა ხალხმა „გააკეთა არჩევანი დამოუკიდებლობის სასარგებლოდ“, ამ განცხადებამ მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.**

მისმა მეორე პასაჟმა გარკვეული გაკვირვება გამოიწვია. კერძოდ, კოკოითიმ თქვა, რომ ჯერ კიდევ 2002 წელს იგი სთავაზობდა საქართველოს იმას, რასაც ახლა მსოფლიო გაერთიანება უწოდებს „სააკაშვილის გეგმას“ კონფლიქტის სამეტაპიანი მოწესრიგების შესახებ:

„ჯერ კიდევ მაშინ მე ჩამოვაყალიბე იგივე წინადადებები — რეგიონის დემილიტარიზაცია, ეკონომიკური რეაბილიტაცია, მუშაობა სამხრეთ ოსეთის სტატუსზე, მაგრამ საქართველომ მაშინ ყურად არ იღო ჩვენი ხმა“. იქვე გაისმა კითხვა: ხომ არ ნიშნავს შეხედულებათა ასეთი დამთხვევა იმას, რომ თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მზად არის განიხილოს ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხი? ედუარდ კოკოითის პასუხი, რომელმაც ამ პრესკონფერენციაზეც კი გაუსვა ხაზი, რომ სამხრეთ ოსეთი მხოლოდ სუვერენული რესპუბლიკაა, თავისებური სენსაცია გახდა. „ასეთი კითხვები ამ ეტაპზე მხოლოდ გაამწვავებს მდგომარეობას. ახლა უნდა აღვადგინოთ ნდობა“, — თქვა მან. კონფლიქტის მიმდინარეობის მთელი ამ წლების განმავლობაში პირველად კოკოითიმ არაორაზროვნად მიანიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის, როგორც საქართველოს ნაწილის სტატუსის საკითხის განხილვისთვის ცხინვალი მაინც მზად არის, ოღონდ გარკვეულ პირობებში.

ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა თბილისის დადებითი რეაქცია. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ „ყურადღებას იმსახურებს“ სამხრეთ ოსეთის ლიდერის პოზიცია, მისი ინიციატივები. „ამ წინადადებებზე მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ“, — მიაჩნია ნოღაიდელს.

მშვიდობის, განვითარებისა და დემოკრატიის ინსტიტუტის წამყვანი ექსპერტის პაატა ზაქარეიშვილის აზრით, ასეთი, თუნდაც, დეკლარაციული ხასიათის განცხადებები, მოწმობს, რომ აშკარად არსებობს პროგრესი და შეინიშნება გარკვეული წინსვლა მოსკოვის პოზიციებში ლუბლიანის შეხვედრის შემდეგ. „რა თქმა უნდა, მთავარია, დაიწყოს რაღაც პრაქტიკული მოქმედება და საქმე მხოლოდ კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ გამოთქმული სიტყვებით არ შემოიფარგლოს, როგორც ეს ხშირად ყოფილა ხოლმე“, — თქვა პოლიტოლოგმა.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, გამოეხმაურება თუ არა შეხვედრის გამართვის შესახებ კოკოითის მიერ გამოთქმულ წინადადებას საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი. სამაგიეროდ, იმავე დღეს, სააკაშვილმა განაცხადა, რომ მზად არის ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე შეხვდეს თბილისის კონტროლსდაუქვემდებარებელი მეორე ტერიტორიის ლიდერს — აფხაზეთის პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს. ეს ჟურნალისტებს აცნობა თბილისში გამართულ ბრიფინგზე აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ. როგორც მან თქვა, „ამ შეხვედრაზე მხარეებმა შეიძლება განიხილონ აფხაზეთში ეკონომიკური პროგრამების რეალიზაციის და თბილისსა და სოხუმს შორის ნდობის აღდგენის საკითხები“.

**იური სიმონიანი,**
**„ნეზავისიმაია გაზეტა“,**
**16 დეკემბერი.**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА



**67** წელი გრძელდებოდა ისტორიაში ცნობილი ყველაზე გაჭიანურებული ნიშნობა. ოქტავიო გუილიენი და ადრიანა მარტინზი ამისთვის ემზადებოდნენ 1902 წლიდან და, 1969 წლის ივნისში, როგორც იქნა, დაიწერეს ჯვარი მეხიკოში, მაშინ ორივე 82-82 წლის იყო.

**1,5 მლნ.** ევრო წელიწადში — ასეთ ხელფასს ჰპირდებიან გერმანიის ექს-კანცლერს გერჰარდ შრედერს ახალ თანამდებობაზე. ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის კომპანიის აქციონერთა კომიტეტის მეთაურის პოსტზე მუშაობის დაწყების შესახებ შრედერის თანხმობამ დიდი კრიტიკა გამოიწვია გერმანიის პრესაში. თვით ყოფილ კანცლერს კი „ღირსების საქმედ“ მიაჩნია დაიკავოს რუსეთ-გერმანიის ამ კონსორციუმის მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი. რაც შეეხება ხელფასს, შრედერმა უარყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული ხმები, თითქოს მას ჰპირდებოდნენ 200 ათასიდან მილიონ ევრომდე გადახდას. „ეს ციფრები თითიდან გამოწოვილია და აშკარად გაზვიადებულია“, — თქვა შრედერმა. ჩემი ხელფასი იმაზე მეტი არ იქნება, რომელსაც უხდიან სხვა ადამიანებს ასეთი მოვალეობის შესრულებისთვის.



**3,65 მ.** შეადგენს თმის სიგრძის რეკორდს. ასეთი სიგრძის ნაწნავები ამშვენებდა ერთ-ერთ პოლონელ გლეხის ქალს, რაც დაფიქსირდა 1870 წელს დრეზდენში. თითო ნაწნავის სისქე 30,4 სანტიმეტრს აღწევდა.

◎ გენერალისიმუსის გზა



კოჩკენ საქტანოვი

# უცნობი სტალინი

მესამე ნაწილი

— მუშებთან შეხვედრაზე ვიყავი ქარხანაში. შეიძლება, ეს იქ მოხდა, — თქვა ხრუშჩოვმა.

**— დღე არ გავა, რომ ტანსაცმელი არ დასვარო ან არ დაჭმუჭნო,** — მიუგო ცოლმა. — **შენ, როგორც ჩანს, სავარძელში კი არ ზიხარ, სადღაც მიედებ-მოედები...**

— ჩვენ, შვილო, შინ გვაქვს ორი რადიო, — თქვა ხრუშჩოვმა და ვაჟს თავისი შავი საქაღალდე ჩამოართვა, თანაც კვლავ მოწმედ იხმო. — პირველი — სახელმწიფო რადიო, ხოლო მეორე — ნინა პეტროვნა ხრუშჩოვას სახელობის რადიო. დილის ექვსი საათიდან ღამის თორმეტ საათამდე ლაპარაკობს და ლაპარაკობს.

**— მე თუ არ გეტყვი, აბა, ვინ უნდა გითხრას?** — ჩაიბუზღუნა ნინა პეტროვნამ. — **წინათ... კარგი... ადრე ვდუმდი, ახლა ლამის მთავრობის სათავეში ხარ. სტალინს დღენიადაგ ერთი და იგივე კიტელი ეცვა, მაგრამ ატარებდა პეწიანად, ულაქებოდ.**

ამის თქმაზე ხრუშჩოვი ერთბაშად მოიღუშა:

**— ის სტალინი იყო, მე ხრუშჩოვი ვარ!.. ეს, რა, თქვენ ყველანი ერთხმად გაიძახით — სტალინი, სტალინი!..**

ერთი ფინჯანი ჩაიც არ დაულევია, სამზარეულოდან გამოვიდა, ცოლზე ოდნავ განაწყენებული: — „ერთი დამიხედეთ, სხვებზე არაფერს ვამბობ, საკუთარი მეუღლეც კი სტალინს მაგალითად მისახელებს!“

კრემლისკენ მანქანით მიმავალმა ხრუშჩოვმა კვლავ ხელში აიღო „ლიტერატურნაია გაზეტა“, რომელშიც დაებეჭდათ კონსტანტინე სიმონოვის სტატია „მწერლების წმიდათაწმიდა მოვალეობა“ და ხელმეორედ დახედა მას.

„მწერლების წმიდათაწმიდა მოვალეობაა ის, რომ მთელი სიდიადითა და სისრულით აღბეჭდონ მომავალი თაობებისათვის სტალინის დიადი გენია...“

შემდეგ წაკითხვა აღარ ინდომა. შურმა აღავსო, ადამიანურმა სისუსტემ იძალა. თავისთვის ყველა მწერლუკანას შეუკურთხა. არა, წერონ დღევანდელობაზე, ნუ აწუხებთ წარსულის სევდა, ნუ იხსენიებენ ქება-დიდებით გარდასულ დღეებს. აქე და აძაგე სტალინი, თუმცა სტალინი მკვდარია. ყველანი დავიხოცებით, იმქვეყნად წავალთ. თუკი ასეა, მოასვენონ გარდაცვლილი და წერონ მომავლისათვის ზრუნვით შეფიქრიანებულ ცოცხალ ადამიანებზე!..

მან გაბრაზებით გაზეთი მანქანის უკანა სავარძელზე გადააგდო და ფიქრს მიეცა: იდეოლოგიის ახლანდელი აპოლოგეტები ბევრს ვერაფერს ხედავენ სამომავლოდ. „ბერიას დაპატიმრება და მისი ბინძური საქმეების მხილება ისტორიული მოვლენაა, — ფიქრობდა იგი თავის თავზე. — ვინ ამხილა ბერია? რა თქმა უნდა, მან!.. ხრუშჩოვმა!.. ვერავინ გაბედა შებმოდა მას, ბერიას. მან კი ეს ჰქმნა... რა იქნებოდა, ასე რომ არ მოქცეულიყო? ბერია დიდი ხნის წინათ მოვიდოდა ხელისუფლების სათავეში, და ქვეყანა კიდევ ერთი ქართველის ხელში აღმოჩნდებოდა! რატომ ამაზე არ წერენ სიმონოვის მსგავსი მწერლუკანები? ნუ, სიმონოვი ხომ ებრაელია, თუ ებრაელი არ მართავს ქვეყანას, მაშინ მისთვის სულ ერთია, ვინ მართავს ქვეყანას ახლა და ვინ არ მართავს, მაგრამ რას აკეთებენ ფადეევი, სურკოვი?“

„ჩაიკა“ კრემლში მივიდა. კრემლმა რატომღაც თავისი ადრინდელი სოლიდური იერსახე დაკარგა. სტალინის დროს კრემლი დახურულ ზონად ითვლებოდა და ყველას არ შეეძლო, როცა მოეხუშტურებოდა შიგ შესულიყო. მხოლოდ შესაბამის ადამიანებს სათანადო საქმეებით და მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობით შეეძლოთ მოხვედრილიყვნენ კრემლის ტერიტორიაზე. ახლა კრემლის კარიბჭე ღიაა. იყიდე ბილეთი და ისეირნე, რამდენიც გინდა.

თავის ფართო კაბინეტში შესვლისთანავე ხრუშჩოვმა სუსლოვს დაურეკა:

**— მიხეილ ალექსანდროვიჩ, წაიკითხე „ლიტერატურნაია გაზეტაში“ სიმონოვის სტატია „მწერლების წმიდათაწმიდა მოვალეობა“? თუ გაეცანი, როგორია შენი აზრი? დიახ, დიახ... მიხეილ ალექსანდროვიჩ, იდეოლოგიაში შენ გუშინ ან დღეს არ მოსულხარ. ჩემზე უკეთ იცი, რა შეიძლება, რა არ შეიძლება დაიწეროს, და როგორ დაიწეროს? ვინ მწერლუკანაა ეს სიმონოვი? „სტალინის ეპოქალური იერსახის შექმნა მწერლების წმიდათაწმიდა მოვალოებაა მომავალში?“ რამდენიც უნდა აქო და ადიდო სტალინი, ახლა ოქროს კვერცხს ველარ დადებს!.. კმარა წარსულზე წერა, საჭიროა ვწეროთ დღევანდელობაზე, მერმისზე! რა საქმიანობას ეწევიან ესენი... ფადეევი და სურკოვი? რა კავშირი აქვთ შექმნილი, თუ არ შეუძლიათ კომუნისტური სულისკვეთებით აღზარდონ ისეთი მწერლები, როგორიც სიმონოვია?.. დაუყოვნებლივ დაუკავშირდით მწერალთა კავშირს და განუმარტეთ, რომ ცენტრალური კომიტეტი უკმაყოფილოა სტატიის გამო. პოლიტიკურად გონებაჩლუნგი მწერლებისათვის, როგორიც სიმონოვია, ნაადრევია უხელმძღვანელონ „ლიტერატურნაია გაზეტას“. მორჩა!**

ხრუშჩოვმა ყურმილი დააგდო. ხასიათით ხრუშჩოვი და სუსლოვი საპირისპირო პიროვნებანი იყვნენ. თუ ხრუშჩოვი იყო ფიცხი, მოქმედებდა წინდაუხედავად და ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე, სუსლოვი გახლდათ წინდახედული და ფრთხილი მოქმედებებში, თანაც კულტურული.

ამრიგად, ხრუშჩოვი არ დაინტერესებულა სუსლოვის აზრით და გამოთქვა მხოლოდ თავისი უხეშად და მკვეთრად, სუსლოვი ერთხანს მდუმარედ იჯდა. როგორ მოვიქცეთ ახლა? განა ადვილია სამუშაოდან მოხსნა სიმონოვი, მრავალგზის სტალინური პრემიის ლაურეატი?

საბჭოთა კავშირში ურთულესი და ყველაზე უმადური სამუშაო იყო იდეოლოგიის მართვა. განა ადვილია იდგე შუამავლად თავხედ ხელმძღვანელსა და შემოქმედ მუშაკებს შორის? თუ ადრე ასეთ რთულ დარგში მუშაობდნენ ზუსტი მოისარნი ჟდანოვი და ალექსანდროვი, ახლა ეს სნაიპერული პოსტი სუსლოვს ეჭირა.

ჯერ სუსლოვმა გადაწყვიტა რედაქციაში დაერეკა და გასაუბრებოდა თვით სიმონოვს, მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, იგი დაიკარგა, თანაც ისე, რომ მოსკოვში მეძებარი ძაღლებითაც ვერ იპოვიდი, მეორე დღეს დასვენება იყო, და სიმონოვი გაემგზავრა აგარაკზე, იქ კი ტელეფონი არ ჰქონდა. მაშინ სუსლოვმა მწერალთა კავშირში დარეკა, შემთხვევით წააწყდა ფადეევს, რომელსაც სუსლოვისებურად, მეტად კულტურულად, მაგრამ მოსაწყენად წაუკითხა ლექცია, თუ როგორ უნდა აღზარდონ მწერლები და გაიმეორა ხრუშჩოვის სიტყვები: „ისეთი პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელი მწერლებისათვის, როგორიც სიმონოვია, ჯერ ნაადრევია სათავეში ედგნენ „ლიტერატურნაია გაზეტას“. მაგრამ, კაცმა არ იცის, სტალინის სულისკვეთებამ იხსნა სიმონოვი, თუ კრემლში გამოჩნდა ჭკვიანი ადამიანი, რომელმაც განუმარტა ხრუშჩოვს, რომ, აქაოდა, თუ სტალინის გამო სიმონოვს ცუდი რამ დაემართება, იგი რჩება მოგებული, ხოლო ცენტრალური კომიტეტი — წაგებული.

**სტალინის გარდაცვალებისას ხრუშჩოვი ტიროდა, ქვითინებდა კიდეც. მაშ, მისი სიკვდილის, განსაკუთრებით მის სავარძელში მოკალათების შემდეგ, ხრუშჩოვს ალერგია ემართებოდა, თუ ვინმე სტალინის მისამართით კარგს იტყოდა, და იგი თავს ველარ იკავებდა?..**

ადამიანური ეგოიზმი გაცილებით უფრო ძლიერია ცხოველურ ეგოიზმზე და თანაც მეტად საშიში, ეს ყველამ ვიცით. აი, კარიერისტის ეგოიზმი კი ადამიანურ ეგოიზმზე ბევრად უფრო ძლიერია, ეს კი ყველამ არ იცის. რატომ არის, რომ ხალხი დღემდე არ ივიწყებს დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ სტალინს, ხრუშჩოვს კი არანაირად ახლოს არ იკარებს? ყველაზე ცუდი ის არის, რომ მარცვლეულის მოსავლიანობა ხელისუფლების სათავეში მისი მოსვლის წელს, ორმოცდაცამეტ წელში, შემცირდა ორმოცდათორმეტ და ორმოცდაცამეტ წლებთან შედარებით, ორმოციანი წლების დონემდე დაეცა. კიდევ უფრო ცუდია, რომ ორმოცდათოთხმეტი წლის ბოლოს მარცვლეულის აღების დარგში პირველ ადგილებზე იყვნენ სტალინის სახელობის კოლმეურნეობები, მეორეზე — მოლოტოვის სახელობის, მესამე ადგილზე — ლენინის სახელობის და მხოლოდ ბოლო, მეოთხე ადგილები ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობებს ეჭირათ? რა ხდება?..

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 257-262, 265-268, 274-279, 282-284, 288-291.**

# ორშაბათს დედამიწის მოსახლეობა ოფიციალურად 6,5 მილიარდს მიაღწევს



**გაეროს მონაცემებზე დაყრდნობით ასეთ ინფორმაციას ავრცელებს საფრანგეთის დემოგრაფიული კვლევის ეროვნული ინსტიტუტი.**

სპეციალისტები აზუსტებენ, რომ ამ მოვლენის დადგენილი თარიღი პირობითია, რადგან დედამიწის მოსახლეობის ნებისმიერი დაანგარიშების დროს დასაშვებია გარკვეული ცდომილებები.

ამიტომ, სადღეისოდ შეუძლებელია ზუსტად ითქვას, თუ პლანეტის მოსახლეობა როდის მიაღწევს 6,5 მილიარდს. თეორიულად ეს შეიძლება მომხდარიყო ერთი, ან ორი წლის წინათაც კი. მაგრამ, შესაძლოა, პირიქით, ეს მოხდეს არცთუ ისე შორეულ მომავალში.

ინსტიტუტის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ 50 წლის წინათ, დემოგრაფთა პროგნოზით, დედამიწის მოსახლეობა 6,5 მილიარდს 2005 წლისთვის მიაღწევდა. მათ ისიც ივარაუდეს, რომ 2050 წლისთვის ჩვენს პლანეტაზე იცხოვრებს 15 მილიარდი კაცი, მაგრამ, ახლა ასეთ შეფასებას ბევრი არ ეთანხმება. დემოგრაფიული კვლევის ეროვნულ ინსტიტუტში მიაჩნიათ, რომ 2050 წლისთვის დედამიწის მოსახლეობის რიცხვი 8-9 მილიარდს არ გადააჭარბებს.

**2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ეროვნული უშიშროების სააგენტოს დართო იმ ნებისმიერი ადამიანისთვის თვალთვალის ნება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფება სასამართლო ორგანოების სანქციის გარეშე, წერდა „ნიუ-იორკ ტაიმსი“.**

# 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ბუშმა აშშ-ში ნებისმიერ ადამიანზე ჯაშუშობის ნება დართო

შესაბამის განკარგულებას ბუშმა ხელი მოაწერა 2002 წელს, რომლის თანახმადაც სააგენტოს უფლება აქვს მოისმინოს საერთაშორისო სატელეფონო საუბრები, აგრეთვე, წაიკითხოს ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი ინფორმაციები. გაზეთის მონაცემებით, თვალთვალის ობიექტი გახდა ასობით, და შესაძლოა, ათასობით ადამიანიც კი — როგორც შეერთებული შტატების მოქალაქეები, ისე ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელები.

ეროვნული უშიშროების სააგენტო გამუდმებით უსმენდა ქვეყნის ტერიტორიაზე დაახლოებით 500 კაცის სატელეფონო საუბრებს, უსმენდნენ აგრეთვე, აბონენტებს საზღვარგარეთ. სააგენტოს შეეძლო ერთდროულად ეთვალთვალა ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი 5-7 ათასი კაცისთვის.

ინფორმაცია ბუშის ზემოაღნიშნული განკარგულების შესახებ გაზეთმა დაახლოებით ორი წლის წინათ მიიღო, მაგრამ მისი გამოქვეყნება შეაყოვნა თეთრი სახლის დაჟინებული მოთხოვნით, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამან შეიძლება შეუშალოს ხელი მთელი რიგი საქმეების გამოძიებას და გარკვეულწილად გააფრთხილოს სავარაუდოდ ტერორისტები, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაუკავებიათ.

სტატიის ავტორთა აზრით, ამ პროგრამის წყალობით ამხილეს რამდენიმე ტერორისტული შეთქმულება, მათ შორის არის სატვირთო ავტომობილის მძღოლის აიმან ფარისის საქმე, რომელმაც 2003 წელს აღიარა, რომ თანამშრომლობდა „ალ-ყაიდასთან“ და მონაწილეობდა ბრუკლინის ხიდის აფეთქების მომზადებაში.

ამავე დროს, ეროვნული უშიშროების სააგენტოს მრავალმა თანამშრომელმა უარი თქვა ამ პროგრამაში მონაწილეობაზე, რადგან იგი უკანონოდ მიიჩნია.

ალსანიშნავია, რომ თვით სააგენტოს ხელმძღვანელობამ უარი თქვა „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული სტატიის შესახებ რაიმე კომენტარის გაკეთებაზე.

ამ პროგრამის ამოქმედებამდე, ეროვნული უშიშროების სააგენტო შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ისმენდა მხოლოდ საელჩოებისა და დიპლომატიური მისიების საუბრებს, რისთვისაც სპეციალურ ნებართვას იღებდა სასამართლო ორგანოებისგან, წერს გაზეთი.



◎ უმუშევრობა

# ღატაკების არშიყი



**ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების უპირველეს პლუსად ითვლება ხალხის დასაქმება, სამუშაო ადგილების შექმნა. თვით პრეზიდენტობის კანდიდატები თავიანთ წინასაარჩევნო კამპანიებისას მთავარ აქცენტს სწორედ ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე ამახვილებენ. ამახვილებენ კი არა, პირობას დებენ და ამ პირობას, გამარჯვების შემთხვევაში, პრიორიტეტულად მიიჩნევენ.**

ხალხი ამას ხედავს და სახელმწიფოს პირველი პირის ცდას შესაბამისადაც აფასებს. მაგალითად, ამერიკელები ბევრ რამეში ემადლიერებიან რონალდ რეიგანს (მარტო საბჭოთა კავშირის დაშლა რად ღირდა), თუმცა უმრავლესობა მაინც ხაზს უსვამს მისი პრეზიდენტობის პერიოდში დაახლოებით 5 მილიონი დამატებითი სამუშაო ადგილის შექმნას. ამას დიდ წარმატებად უთვლიან. და პირიქით, სულ ახლახან 5 მილიონი უმუშევრის ყოლა არ აპატიეს გერჰარდ შრიოდერს და გერმანიის კანცლერის პოსტი ამის გამოც დაატოვებინეს.

საქართველოს წინა ხელისუფლება უპირველესად იმიტომ გახლდათ პირქვე დასამხობიც და პირქვე დასამარხიც, რომ ჩვენი ხალხი მწარედ მოატყუა და თავისი გრანდიოზული დაპირება, — ერთი მილიონი სამუშაო ადგილის შექმნა მეორე დღესვე დაივიწყა. რაც ყველაზე საოცარია, როდესაც ეს დაპირება შეახსენეს, ხმა აქეთ აღიმაღლა, — რა, ერთი მილიონი სამუშაო ადგილი არ მოგეცითო? და უმალ „ჩამოგვიჩოტკა" ის 900 000 გლეხი, რომელთაც საკუთარი მიწის ნაკვეთი ფარატინა ქაღალდით დაუკანონა და უთხრა: — ეგე, ჩიჩქნე და საკვები ჰპოვეო! თითქოს საჭირო აღარ იყო აღარც ტექნიკა, აღარც საწვავი, აღარც შხამქიმიკატი, აღარც ტრანსპორტი და აღარც ბაზარი...

სტატისტიკური მონაცემებით, 1997 წლიდან 2004 წლამდე ქვეყანაში დაუსაქმებელთა რაოდენობა პროცენტულად ორჯერ გაიზარდა. დასაქმების სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებულ ერთ თავისუფალ ადგილზე შარშან მოდიოდა 43 რეგისტრირებული უმუშევარი, წელს მოდის — 60, გაისად, ალბათ, მოვა 77, რადგან ეს ხელისუფლება წინამორბედზე უარესად ეპყრობა საკუთარ მოსახლეობას. ხალხი პანტა-პუნტით იყრება სამუშაო ადგილებიდან, ახლის შექმნა კი აზრადაც არავის მოსდის. ნახეთ, ამას რა მოსდევს:

2005 წლის 6 თვის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 1 734 100 კაცი, აქტიურად მაძიებელ უმუშევართა რაოდენობამ კი — 2 017 400 კაცი. აქ გახლავთ 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის თითქმის 65 პროცენტი. სწორედ ესაა კატასტროფის წინაპირობა. რაც ყველაზე სამწუხაროა, ხელისუფლება ამ კატასტროფის მოახლოებას ვერ გრძნობს, ვინაიდან... ოფიციალური სტატისტიკით ქვეყანაში უმუშევარია მოსახლეობის მხოლოდ 12 პროცენტი, 88 პროცენტი კი, — მუშაობს და უზრუნველად ცხოვრობს. ამ 88 პროცენტში ისევ ის სოფლის გლეხობა შედის, რომელიც თავს საკუთარ მიწას აკლავს.

ერთი ყველაზე დამამცირებელი დეტალი: — ქვეყანაში განადგურებულია დარგობრივი სტრუქტურები, არ მუშაობენ ის საწარმოები, რომლებშიც დასაქმდებიან კვალიფიციური მუშაკები. დღეს ინჟინრები, მეტალურგები, ტექნოლოგები, ეკონომისტები, ფიზიკოსები თუ სხვები, მუშაობენ გამყიდველებად, მღებავებად, ყარაულებად... ვინლა დაგიდევს პროფესიულ თუ ადამიანურ ღირსებას, — მთავარია პურის ფულის შოვნა, ოჯახის გადარჩენა. ისიც სათქმელია, რომ დაქირავებით დასაქმებულთა შორის კაცები შეადგენენ 34 პროცენტს, ქალები კი — 35 პროცენტს. ესე იგი, სადღეისო ტვირთი უფრო მეტად სუსტი სქესის წარმომადგენლებს დააწვათ, რომლებიც ხშირად შვილებს კი არა, ქმრებსაც არჩენენ. კაცური თავმოყვარეობის მეტი შელახვა რაღა გინდათ. თუმცა უარესიც ხდება:

2005 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, იმ უმუშევართა რაოდენობა, რომლებიც შემწეობის სახით 20 ლარს იღებენ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაზრდილია 19,5 პროცენტით. ფაქტობრივად, ეს არის მათხოვართა რაოდენობის გაზრდა, რამეთუ ოდენ გაჭირვებული, გამოუვალ სიტუაციაში მყოფი ადამიანი თუ გაუწვდის ხელს სახელმწიფოს ამ თანხის ფასად...

სულ მალე უმუშევართა არმიას კიდევ შეემატებიან პედაგოგები. ხელისუფლებამ გადაწყვიტა სკოლების გამსხვილება, ზოგ სოფელში მათი გაუქმება, მოსწავლეთა რაიონულ ცენტრებში გაგზავნა (?). ამის გამო პედაგოგებმა რამდენჯერმე აქციებიც კი მოაწყვეს თვით პარლამენტის წინ. იქ ერთ-ერთმა პედაგოგმა ასეთი რამ თქვა: მე შეურაცხყოფილი ვარ. გეუბნებიან, სამუშაო ადგილს ებღაუჭებითო. არადა, მას, რასაც მე ათეული წლების მანძილზე ვაკეთებდი, მარტოოდენ სამუშაო ადგილი არ ჰქვია!

ხელისუფლება აპირებს 100 უფასო სასადილოს გახსნას და 10 000 კაცის მუქთად გამოკვებას. თუ უმუშევრობამ ამ ტემპით იმატა, 100 კი არა, 1000-ც არ გვეყოფა. ამიტომ ისევ საწარმოების გახსნა და ხალხის დასაქმება სჯობს!

**ზონდო გულიაშვილი**

◎ „ძებნა-2005"

# ადრე თუ გვიან ყველას მიადგებიან

**ბევრი დანაშაული ჯერ კიდევ გაუხსნელია, დამნაშავეთა უმრავლესობა თავისუფლად დანავარდობს. ზოგმა თავი უცხოეთს საგულდაგულოდ შეაფარა, მათთან შედარებით უფულოები და უპატრონოები კი საქართველოში დარჩნენ და თავიანთ შავბნელ საქმიანობას განაგრძობენ.**

ამ ისედაც ეკონომიკურად გაპარტახებულ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას გაჭირვებით გააქვს თავი, ასეთი ადამიანები ჯიბეებში უძვრებიან, ბინებს უქურდავენ, უკანასკნელ გროშებს, სიმწრით ნაშოვნ პურის ფულს სტაცებენ...

შინაგან საქმეთა სამინისტრო ახლა ატარებს „ძებნა-2005"-ის მეოთხე ეტაპს. ბოლო ფაქტები ასეთია:

მარტვილის რაიონში ორი ძებნილი დააკავეს რუსთავის შს სამმართველოს თანამშრომლების მიერ ქურდობისთვის ძებნილი, 25 წლის სოლომონ გულაშვილი და ისანი-სამგორის შს სამმართველოს მიერ დეზერტირობისთვის ძებნილი, 20 წლის ლაშა გვასალია. ისინი მარტვილში ახლობელთა ოჯახებს აფარებდნენ თავს.



გარდაბნის რაიონის პოლიციამ კი ჯანმრთელობის დაზიანებისთვის ძებნილი მევლუდ აბაშვილი დააკავა. იმავე დროს ქვემო ქართლის სამხარეოს თანამშრომლებმა რაშიდ ალიევიც აიყვანეს, რომელიც სამხედრო ნაწილის თვითნებურად მიტოვებისთვის იძებნებოდა.

ლანჩხუთის რაიონის პოლიციამ გურიის სამხარეოს თანამშრომლებთან ერთად ევლოგი კეთილაძე გააბა. მან ტრანსპორტით მოძრაობისას დაარღვია წესრიგი და მოქალაქეს დაეჯახა, დაზარალებული მძიმე მდგომარეობაში მიატოვა და მიიმალა. თუმცა სამართალდამცველებმა „სიმშვიდე" მალე დაურღვიეს და დააპატიმრეს.

აქტიურობენ ადიგენისა და დუშეთის პოლიციის თანამშრომლებიც. მათ ხეტყის უკანონო გაჩეხისთვის ძებნილი როინ სალინაძე და დეზერტირობისთვის ძებნილი კახა პაპკიაური აიყვანეს.

ქართველებს ძებნილების დაკავებაში რუსი კოლეგებიც ეხმარებიან. მოსკოვში დააკავეს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მიერ სხვადასხვა დანაშაულისთვის ძებნილი შახმურად შავერდოვი, სარატოვში კი გააბეს გარდაბნის პოლიციის მიერ ფულის გამოძალვისთვის ძებნილი ტოფიკ ხალილოვი.

ადრე თუ გვიან, ყველას მიადგებიან!

**ლელა მანავლიშვილი**

◎ სირცხვილი



# თეატრში, ნაქურდალი ბილეთებით

**გულუბრყვილოები პოლიტიკოსებშიც არიან, მეცნიერებშიც, ქურდებშიც... მაგრამ ის, რაც ახმახ კავკასიელს დაემართა მოსკოვში, იშვიათად თუ ვინმეს ემართება...**

29 ნოემბერს ტატიშჩევის ქუჩაზე ერთ-ერთ ქალბატონს თავს დაესხა შავგვრემანი ტიპი და დანის მუქარით ხელჩანთა გასტაცა. ხელჩანთაში დოკუმენტებთან, ფულთან და ძვირფასეულობასთან ერთად იდო ტერეზა დუროვის თეატრის ბილეთებიც. დაზარალებულმა თავის შვილებს გული არ დასწყვიტა და მეორე დღეს მათ იმავე თეატრის ახალი ბილეთები კვლავ შეუძინა.

3 დეკემბერს ოჯახი ტერეზა დუროვის თეატრს ეწვია. ქალმა ყოველი შემთხვევისთვის დაკარგული ბილეთების ადგილების მონახულება გადაწყვიტა და, ჰოი, საოცრებავ, — იქ ბებიასთან ერთად მოზარდები არ წამოჭიმულან! ცხადია, მილიცია ჩუმად გამოიძახეს და ოპერმუშაკებიც წამში ადგილზე გაჩნდნენ.

სამართალდამცავებმა ხერხი იხმარეს, — ჩვენც ეს ადგილები გვაქვს, რაღაც გაუგებრობაა, ეგ ბილეთები თქვენ სად შეიძინეთო? სადა და, ბიძაჩვენმა გვაჩუქაო. ვინა, ვინაო? ბიძათქვენმაო? უმალ წამოყარეს ადგილებიდან, შინ წაიყვანეს და ბიძაზე თითი დაადებინეს. იგი აღმოჩნდა 40 წლის „უროჟენეც გრუზიი" ელგუჯა კიკელია. მან დანაშაული აღიარა და ხელი სულ თავში ირტყა, — რად დამენანა მაგ ბილეთების გადაყრაო!

თავში ორიოდე სიტყვა ვთქვი ქურდების გულუბრყვილობაზე. ბოლოში კი ვიტყვი დაზარალებულთა შეუპოვრობაზეც, რომლებიც კრიმინალებს ეძებენ თეატრშიც, საბავშვო სპექტაკლებზეც...

◎ დაინდეთ პატარები!

## პედაგოგები გაცოფდნენ

**ბოლო ერთი თვის მანძილზე იაპონიაში სამი მოსწავლე მოკლეს... მასწავლებლებმა. ახლახან 23 წლის პედაგოგმა იო ხაგინომ პატარა წაკამათების შემდეგ სიცოცხლეს გამოასალმა 12 წლის გოგონა. ამ ტენდენციამ მთელი მოსახლეობა შეაშფოთა და ხელისუფლებას ქმედითი ღონისძიებების განხორციელება მოსთხოვა.**

## ასეთი ჯარიმებით ბიუჯეტი გაასმაგდება

**დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა გაუგონარი და დაუდევარი ბავშვების მშობლების სასტიკი დასჯა. ახლახან, მაგალითად,**



**86 დოლარით დააჯარიმეს 11 წლის ჯონ სმიტის დედა-მამა, რომელთა შვილმაც ქუჩაში ნაჭამი ვაშლი ხელუკუღმა მოისროლა. არც ბოდიშმა გასჭრა და არც ცრემლმა, — დაიმახსოვრე, ქუჩაში ნაგვის დაყრა არ შეიძლებაო!**

## ჰეროინს ყლაპავენ კიდეც

**დუშანბედან თვითმფრინავი მოსკოვში მიფრინავდა. მასში ორი ნარკობარონი — ცოლ-ქმარი იჯდა. თან ახლდათ ათიოდე წლის ვაჟი. ივარაუდეს, რომ სამართალდამცავები შეამოწმებდნენ. ამიტომ 840 გრამი ჰეროინი შვილს ძალით გადააყლაპეს. მაინც გაუგეს და მთელი ოჯახი აეროპორტის ტუალეტებსა და პოლიციის ოთახებში არბენინეს.**

## თუ ძაღლმა ცხვირი მოგაჭამათ

**ჩეხმა ექიმებმა უნიკალური ოპერაცია გააკეთეს. მათ 11 წლის ბიჭუნას ძაღლის მიერ მოჭმული ცხვირი მიაკერეს. გერმანულმა ნაგაზმა მოზარდს ცხვირი მთლიანად მოაჭამა და დაუღეჭავად გადაყლაპა. ძაღლს კუჭი გაუჭრეს და ცხვირი იქიდან ამოუღეს. ბავშვი უკვე თავისუფლად სუნთქავს, აცემინებს და ცხვირს იწმენდს კიდეც.**

## მეტი უზნეობა აღარ შეიძლება

**პედოფილია მთელ საფრანგეთს ზარავს. ცოტა ხნის წინათ იქ გაასამართლეს 65 პედოფილი, რომელთაც ბავშვთა პროსტიტუციის ქსელი ჰქონდათ მთელს ქვეყანაში. მათ 45 პატარა იმსხვერპლეს. ახლახან კი აქ გააბეს 36 წლის დომინიკ გიუში მეუღლითურთ, რომელთაც გააუპატიურეს 3-დან 12 წლამდე ასაკის 10 ბავშვი. ისინი პატარებს [illegible] თამაშო მოედნებიდან. შემდეგ კლიენტებს იბარებდნენ და**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №37

# „[illegible]"



**ეს გამოსათხოვარი წერილია... მაშინ ბატონ ლევან გოთუას ვთხოვეთ გიორგი ლეონიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ რადიოგადაცემისთვის რაიმე დაეწერა... როგორც მოსალოდნელი იყო, წერილი ყველას მოეწონა და რასაკვირველია, ეთერშიც გადაიცა...**

**შემდეგ ჩვენ ბატონ ლევანს მივმართეთ, რომ ეს მშვენიერი წერილი რომელიმე გაზეთშიც გამოექვეყნებინა... პასუხად საოცარი და მოულოდნელი რამ გვითხრა: არავის უთხოვია და ჩემით მერიდება მივიტანოო...**

**ამ სიტყვებმა, რა თქმა უნდა, გაგვაკვირვა, მაგრამ ამავე დროს, კიდევ ერთხელ დაგვანახა მისი უსაზღვროდ მოკრძალებული დამოკიდებულება ყველასა და ყველაფრისადმი... გავიდა წლები... ეს წერილი დღემდე არსად დაბეჭდილა...**

**დეკემბერი გიორგი ლეონიძის დაბადების თვეა. ლეონიძის მარადიულ მკითხველს, ჯერ კიდევ საკუთარ სახეშემორჩენილ ქართველობას ვუძღვნით ამ წერილის პირველ პუბლიკაციას...**

**თინათინ კობალაძე**

ქართველ მწერალთა კარზე ისევ ჩამოირეკა ზარი გლოვისა. ეს დღისა და ღამის ზღვარი კი არ არის, სულისა და ხორცის გაყრაა!

ქართული ლექსი ძაძით შეიმოსა, შავ ჩარჩოში ჩაჯდა ქართული წიგნი.

კვლავ კალმების დახრისა და შემჭიდროების დღეა, შემოქმედთა შუბლის შეკვრისა, ისევ ამოუვსებ ხარვეზის შეძლებისდაგვარ თავმობმის ჟამია!

ხშირად იტყვიან ხოლმე, რომ შეუცვლელი პიროვნებანი არ არსებობენ... დიდ მწერლების მიმართ, ეს მეტად პირობითია!

გიორგი ლეონიძე დიდი, გამოკვეთილი, ვეება ნიჭისა და თავისი სამყაროს მქონე შემოქმედი იყო და ამიერით მას ვეღარავინ შესცვლის, ისე როგორც, არსებითად შეუცვლელნი დარჩნენ ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაქტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი...

ისევ უბეს შლის მთაწმინდა. ამ ბოლო დროს მან მეტად დიდი ლალა აიღო. უფრო დიდი ვიდრე სამშობლოს ერთობლივმა აკვანმა ახალი ფარდი ნიჭი შვა.



წავიდა სიცოცხლიდან დიდი მგოსანი და მოღვაწე, დაუცადელი შემოქმედი და მოუსვენარი მკვლევარი. ისე მოულოდნელად დაეცა, რომ ვერც სამშობლოს სიყვარულით იჯერა გული და კალმის მიღმაც უამრავი გამომწიფებული წიგნები დარჩა.

შეირხა ახალ-ქართული ლექსის ჯავარი და ის, რაც სისხლსავსე სიცოცხლით სჩქეფდა და ბრწყინავდა, ამიერით უკვდავების კრთომით აღივსო.

გადაიწურა დიდი მგოსნის ხორციელი წუთისოფელი. დადუმდა ლომის ბუბუნი, მისი ჩაბოხებული ხმა, ჟრიამულა ქუჩებში აღარ გაიელვებს მისი ცოტა აჩეჩილი მხრები, მკაფიო და მძლე, თითქოს ბოლნისის ქვიდან მოკვეთილი სახე-სხეული.

ადამიანის გარდაცვალება, საზოგადოებრივად, საზომების გამოცვლასაც ნიშნავს. ერის მეხსიერებაა ყველაზე დიდი სამხილავი და განსაწმენდელი... და მრავალ ამაქვეყნის დიდს მხოლოდ სამარის კარამდე მიჰყვება თავისი საქმე და სახელოვნობა.

გიორგი ლეონიძე, ერში ლექსად გასული გოგლა, მუდამ სხვა ანდამატიანი შემოქმედი იყო. იგი თითქოს რამდენიმე, ნიჭით აღსავსე კაცისგან იყო შენადუღარი:

ლექსი, პოემა, მხატვრული პროზა, გამოკვლევები, ლიტერატურული და ისტორიული ძიებანი, მოძმე ლიტერატურათა მცოდნეობა, ხელმართალი რედაქტორობა, ინსტიტუტის მესვეურობა, მრავალ საზოგადოებათა ბურჯობა, თავდაწერილი ეროვნული მოღვაწეობა. მუდამ ახალი ზრახვებით აღსავსე და მოუსვენარი.

იხ. მე-12 გვ.

# საქართველოში ყველაფერი იყიდება, მათ შორის, მწერლის საფლავიც...

**...თუკი სხეული სხვაა და სული სხვა, თუკი სული გარდაცვლილის სხეულში უკვე აღარ არსებობს, რატომ ვანიჭებთ ესოდენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადამიანის საფლავს?**

თეოლოგიაში განმარტებულია, რომ საფლავი ადამიანის ამქვეყნიური სრულქმნილების პატივისცემას გამოხატავს... აწ გარდაცვლილებმა ხომ აქ ბევრი ილვაწეს და იტანჯეს...

ბერძნულ ფილოსოფიაში კი სხეული ხილული არსია, რითაც ცალკეული სიცოცხლე, ანუ სული თავის თავს გამოხატავს...

**„სად იქნება ჩემი საფლავი?"** — საქართველოში ამ კითხვის ტოლფასია — **„რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა?.."**



ცნობილია, რომ მწერალი ლევან გოთუა საკუთარი ანდერძის თანახმად, არმაზში გახლდათ დაკრძალული... ამავე გარემოში დაიწერა მისი ისტორიული რომანები... **მაგრამ ახლახან გაიყიდა მისი მემორიალური სახლიც, ეზოც და აქედან გამომდინარე საფლავის ადგილიც.**



ლევან გოთუა
მხატვარი გ. კეშელავა

ორი დღის წინ ბატონ **ლევან გოთუას** ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს და დიდუბეში დაკრძალეს...

საეკლესიო სწავლებით, **„სიყვარული არასდროს მთავრდება" (I კორ. XIII, 8).**

ლევან გოთუას მკითხველი, რა თქმა უნდა, თბილისშიც მივა მის სამარესთან, სანთელსაც დაანთებს... მაგრამ ნეტავ, ახლა რას გრძნობს მწერლის სული, რომელმაც ალბათ ჩვენზე უკეთესად იცის პასუხი კითხვებზე: „რატომ" და „რისთვის?"...

**ნინო ხოფერია**

# ისევ სომხების თემა...

**სომხურ ეკლესიას საქართველოში აძლიერებდა სპარს-ოსმალური ხელისუფლება, რასაც უცხოელი მოგზაურებიც ამჩნევდნენ. ფრედერიკო დებუა წერდა: „საოცარი ისაა, რომ მარტო ქართველებს სდევნიან და არა სომხებს".**

როგორც ცნობილია, კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ თურქებმა სომხებს თავიანთი იმპერიის დედაქალაქში საპატრიარქო დაუარსეს, რომელსაც არა მარტო სომხები, არამედ ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები სხვა ეროვნების ქრისტიანი ხალხიც დაუმორჩილეს. შ. ლომსაძე მ. ორმანიანზე დაყრდნობით წერს: „ახლად შექმნილ სომეხთა საპატრიარქოს თურქებმა დაუმორჩილეს სომხები, სირიელები, ქალდეველები, კოპტები, ქართველები (იგულისხმება ამ დროს თურქეთის მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობილი პროვინციების ქართველები. ყარს-არზრუმისა და ნაწილობრივ იმიერ ტაოს მიმდებარე მიდამოების ქართული მოსახლეობა), და აბისინიელები".

არა მარტო მესხეთში, არამედ ყველგან, მთელ საქართველოში, სადაც სპარს-ოსმალები ბატონობდნენ, სომხურ ეკლესიას უფლება ეძლეოდა ქართველ ქრისტიანებზე, ხოლო ქართული ეკლესია იდევნებოდა...

**მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე).**

# „ლექსად მოსული ქართული მიწა"

**(მეთერთმეტე გვერდიდან)**

მისთვის გულგრილობა ისევე უჩვეულო იყო, როგორც ნელი სიარული ან ულექსოდ ნათევი ღამე. მუდამ შემოქმედების ქარბორბალაში მშფოთვარე, ყოველი სამშობლოსეული და მწერლური, მისთვის იყო უაღრესად ახლო შემხები და არაფერი ადამიანური მისთვის არ იყო უცხო!

იშვიათად თუ რგებია ვინმეს ბედი მშობლიური ენის ასე გრძნობისა და ფლობისა ერის ჩანგის მფლობელიც იგი იყო. ამიტომაც ყოველი მისი ახალი ლექსი, თუ გუნდი ლექსთა, ჯერ ფრთამალ მერცხლად დაივლიდა მთელ საქართველოს, გულში ჩაუბუდდებოდა მრავალ მკითხველს, მერმე სიტყვა-სიტყვად ჩაჯდებოდა წიგნებისა და ლექსიკონების სათანადო ბუდეებში, როგორც ქართული სიტყვის ახალი თარგულ-კაზმული!

ხალასი ნიჭის და პოეტური ბუნების კაცი, ცოცხალი „დედაენა" და „ბუნების კარი" ერთად, ჩვენს შორის „მომდინარე" იორი და ალაზანი, ხან პირმცინარე, ხან ბობოქარი ერთად ზოდებისა და ზათქის მომტანი, ჩაძიებული მკვლევარი — ხელნაწერების ხელი, ბუნების გულთმისანი, აღფრთოვანებული ტრფიალი ხორციელი და სულიერი სილამაზისა!

გიორგი ლეონიძე, როგორც ლიტერატურული მოვლენა, იმ სამკუთხედის არეშია, რომლის განმსაზღვრელი ისეთი სხვადასხვა დროისა და ხასიათის მწერლებია, როგორც საბა-სულხანი, ბესიკი, ვაჟა-ფშაველა!

იგი საოცრად გრძნობდა საქართველოს ყოველ სულიერ თუ ყოფით გამოვლინებას, აკადემიიდან — მარნებამდე... მის დაუცხრომელ ოცნებაში ერთად თავსდებოდნენ ძველი, დანგრეული ტაძრები, სასახლეები და ახალი ქოხ-სამკითხველოები, ბულდოზერები და ატომური დანადგარები! ალაზნის ჭალები და ივრის არხები, წინანდლის ვარდები და მარტოდ მდგარი ოლეები!

იგი — სულით და ხორცით — დიდებული ქართლოსანია, ჩვენს მჭექარ საუკუნეში, ჩვენს შორის, ქარს შერკინებულ ნატვრის ხედ იდგა, ლექსსა და ხატოვან სიტყვას ხმლად იქნევდა, ჯაჭვის პერანგად აცმევდა თავის ერსა და მწერლობას! „არ დაიდარდოს" გულითა და ღვიძლით წერდა, სხვას ამშვიდებდა, თავად შემხნევებულად დარდობდა და სწორედ გულ-ღვიძლში სწვდა მსახვრალი ხელი!

**ლეონიძე ორმაგ გზაჯვარედინზე იდგა და ბევრ რასმეს აკავშირებდა... იგი ამჟამად, ჩვენ მგოსანთაგან, ყველაზე უფრო დიდი, ცოცხალი ხიდი იყო ძველსა და ახალ თაობათა შორის. მან დახურა ვაჟასეული ფრთა საუკუნის მიჯნიდან მადლიანად გადმოწვდენილი.**

**...და ლეონიძე ყველაზე უფრო მორჭმული და ფესვგადგმული, ხალხურ საწყისებნაწოვარი მგოსანი იყო... ლექსად მოსული ქართული მიწა, თავისი მთებით, ველებით, ზეცით.**

ცა და მიწად ქცეული წინაპრებით... ჩამოხვეწილი, ჩუქურთმიანი, მზენასვამი შემოქმედებით! ამიტომ ახლავს მის ყოველ ლექსს ბუნებრივი სურნელი დაღვრილ ხსენისა, ხან დასეტყვილი ვაზის მტევნისა, ხან ახალგალეწილ ხორბლისა, ხან ცხელ თონიდან ამოყრილ დედის პურისა!

კეთილ წიგნს დაობლება არ უწერია, დამწერის შემდეგ, მთელი ერი ხდება მისი მიმოქმედი. ამიერით, ახალქართულ მწიგნობრობის თითქმის ყოველ დარგში, მარად დარჩება ლეონიძური კალმის და სულის მადლიანი მონაქნიერი! მისი წიგნები და ლექსები ჩვენს შორის ისე ივლიან, როგორც მომავალში გატყორცნილი თანამგზავრები!

კიდევ ერთი მთაწმინდელის დასავანებით ამაღლდება უკვდავების წიგნად გადაშლილი მთა! უფრო გულმხურვალედ გადმოადგება ტფილისს! ჩვენც უფრო გულისხმიერ აღტაცებით აღვაპყრობთ მზერას... დიახ, „ვეფხისტყაოსნის" შემდეგ, უდიდესი ჩვენი ერთობლივი რწმენისა და სიყვარულის „წიგნი" ხომ მთაწმინდა არის... ვაგლახ, რომ იგივეა, მრავალ განუხორციელებელ ოცნებათა და მწერლურ ზრახვათა დუმილთ სავანეც.

**ჩვენი გულები შევამჭიდროოთ, დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს კალმებს, ფიქრებს, დარდებს... სადღეისო და სახვალიო საქმიანობას... ვიმოქმედოთ, ვისწავლოთ, ვიმუშაოთ, ვწეროთ წიგნები ჩვენი ერისა და მთაწმინდის შესაფერისი... ეს იქნება ჩვენი ნუგეში!... თუ კალამი კალმობს, იგი ერის სულის საზომი და თერმომეტრია! ეს თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით, ერთხელ კიდევ ნათელჰყო მთაზე წასულმა, გიორგი ლეონიძემ — აწ — მთაწმინდელმა!**

**11. 8. 65**
**არმაზი.**
**ლევან გოთუა.**

# ქართული ალბომი



**ეს გახუნებული ფოტო ჩემი საოჯახო რელიკვიაა. მასზე ასახული, აჭარულ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები სრულიად საქართველოს სიყვარულს მასწავლიდნენ...**



ისინი — ჩემი უშუალო წინაპრები, ალბათ თაობებისთვის სულიერი წინაპრები გახდებიან, თუკი საქართველოში ქართული ხელოვნებისა და ნამდვილი ტრადიციების გადარჩენაზე ისევ იზრუნებენ...

სურათი 1959 წელსაა გადაღებული, აჭარის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ლეღვში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ... და თითქოს საოცარიც კია, ამ პატარა სივრციდან, ამ ლოკალიდან როგორ შეძლეს ეროვნული სულისკვეთების ასეთ მასშტაბში წარმოჩენა.

მახსოვს, ჩვენს ოჯახში, მოგიზგიზე ბუხრის წინ, ხშირად იკრიბებოდნენ ბაბუას ძმა რეჯები, ახმედ და ასლან დათუნაშვილები, ნური და ზაბით მჟავანაძეები, ხასან როყვა, ენუს და ქამილ ტაკიძეები, ჰუსეინ ჯინჭარაძე და სხვები...

მღეროდნენ „ხასანბეგურას", „ნადურს", „მრავალჟამიერს"... გურულ, იმერულ, კახურ სიმღერებს, საგალობლებს...

მათ თვალებში სხვაგვარი სხივი კიაფობდა... ყველანი სიკეთით იყვნენ გაჟღენთილნი და უნდა გენახათ, რა ბედნიერები იყვნენ, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ და თანაც, თუ საჭირო ხმებს მოუყრიდნენ თავს, მაშინვე სიმღერას იწყებდნენ...

მეამაყება, რომ ჩემი ბაბუა — ასლან მესხიძე (ფოტოზე უკანა რიგში, მარცხნიდან მეორე) სულმნათი არტემ ერქომაიშვილის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მოწაფე იყო და მთელი ოცი წლის განმავლობაში აჭარის ხალხური ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლში მღეროდა.

ბაბუა ხშირად მიყვებოდა ბატონი არტემის დამსახურებაზე ქართული ხალხური სიმღერების აღდგენისა და განვითარების საქმეში, საეკლესიო საგალობლების გაცოცხლებაში... ბაბუას ნაამბობიდან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ერთმა ტრაგიკულმა ეპიზოდმა: როცა არტემ ერქომაიშვილს შვილი დაეღუპა (დათიკო — ანზორ ერქომაიშვილის მამა), იმ ხანებში ხალხური ცეკვისა და სიმღერის ძალიან საპასუხისმგებლო ფესტივალი მიმდინარეობდა. სამარისებურ სიჩუმეში ბატონი არტემი მაინც გამოვიდა სცენაზე, რათა ანსამბლისთვის ედირიჟორა. სიმღერების შესრულებისას ლოტბარს ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი, მაგრამ ამას მაყურებელი ვერ ხედავდა, რადგან მათგან ზურგით იდგა, ანუ სახით ჩვენსკენ იყოო... — ყვებოდა ბაბუა...

ბავშვობაში გაგებული ეს ამბავი ჩემთვის დიდხანს გამოცანად რჩებოდა, მაგრამ შემდგომ გავაცნობიერე, რომ არტემ ერქომაიშვილი, როგორც განუმეორებელი ლოტბარი, მაშინ ყველაფერზე მაღლა დადგა...

ბავშვს უხაროდა, რომ ამ დიდი ხელოვანის საქმე მისმა შვილიშვილმა — ანზორმა ღირსეულად გააგრძელა...

ბავშვობაში, იმ გარემოთი გარემოცულს, ყოველთვის მაინტერესებდა მათი ნამღერი სიმღერების შინაარსი, თითქოს რაღაც საიდუმლოს ახსნა მეწადა... ბაბუა კი გულდასმით მიხსნიდა... მაგალითად, „ნადურს" ყანის თოხნის დროს მღეროდნენო: თანასოფლელები მაშინ არა მარტო ეხმარებოდნენ ერთმანეთს შრომაში, არამედ სიმღერაშიც ეჯიბრებოდნენ. გამარჯვებული ის გამოვიდოდა, ვინც ყველაზე კარგად შეასრულებდაო კრიმანჭულს...

ასეთი ურთიერთობებით მათ შრომაც უადვილდებოდათ და ცხოვრებაც...

ბაბუა ხშირად სიამაყით მეტყოდა ხოლმე: ოთხხმიანი სიმღერები მსოფლიოში მხოლოდ ჩვენ გვაქვსო... საქართველოშიც ადამიანთა ურთიერთობები განსაკუთრებულიაო... სწორედ აქედან მოდის, რომ კულტურული საგანძური გადაეცემა თაობიდან თაობასო...

დიდი ხანია აღარც ბაბუა და აღარც ამ ფოტოზე გამოსახული ადამიანები აღარ არიან...

სხვა დრო დადგა. პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, აღარ არის „იგი სიმღერა და იდილია"...

ჩვენ კი ამ გაცრეცილ ფოტოზე ვუმზერთ შეჩერებულ დროს, ეროვნული სულის ზეობის დასტურს და იმ თაობის ზნეობრივ მაგალითებზე ვფიქრობთ, რომელთაც მომავალშიც არაერთხელ მოვინატრებთ და ნოსტალგიით მივუბრუნდებით...



**ეს ბება იოსების ასული აბაშიძეა. ამ პატარა გოგონას თითქმის არაფერი უნახავს ცხოვრებაში... ალბათ ვერც ოცნება მოასწრო და ვერც იმაზე დაფიქრება, თუ რისთვის ვართ ამ ქვეყნად მოვლენილი...**

**სულ პატარა ეკალი შერჭობია ხელში... მერე სისხლი მოეწამლა და დიდხანს ველარ იცოცხლა...**

**მშვენიერი და სევდიანი ანგელოზივით გაფრინდა ზეციურ საქართველოში...**

**რეზო მესხიძე**

# გრძნობადსა და ცნობადზე

**ჩვენთვის** ალმოჩენის ტოლფასი იყო, რომ ილიასეული ფრაზა **„გრძნობაც ერთი დარგია ცნობადისა“** ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. „კვირაძალში“ ამ სათაურით გამოქვეყნებულ და სხვა პუბლიკაციებზე მათ თავიანთი მოსაზრებები გამოგვიგზავნეს და ჩვენი დიალოგიც შედგა.

ჩვენი დროების თაობათა ლამის სისხლისმღვრელ ომში, აღმოჩნდა ისიც, რომ ახალგაზრდები რადიკალურად განსხვავებულნი არიან და ძალიან ბევრს ნიშნავს თუნდაც, ვირტუალური შეხვედრებიც...

სხვადასხვაგვარობა ალბათ ბუნებრივიცაა და როგორც დროის ნიშანი ყველა ეპოქას ახლავს.

ჩვენს თაობასაც ახსოვს აქტივისტი, რენეგატი კომკავშირელის სტერეოტიპი და აგრეთვე ისინიც, რომლებიც ბავშვობიდანვე ნამდვილ ღირებულებებზე იზრდებოდნენ.

ღირებულებები კი ხომ მუდამ ღირებულებებად რჩებიან, უბრალოდ, ადამიანები მჟღავნდებიან მათთან მიმართებით.

**ამ ახალგაზრდებმა — საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა, რომლებიც ქართული პრესის ფურცლებს განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებიან, დიდი ხნის ნაფიქრი ჩანაწერები გამოგვიგზავნეს „კვირაძალის საკითხავის“ შესახებ. სიამოვნებით ვბეჭდავთ ფრაგმენტებს მათი შთაბეჭდილებებიდან.**

* * *

„ამ ჩანართის კითხვისას ნოსტალგია წარსულზე და მომავლის იმედი ერთდროულად მიჩნდება. თითქოს დრო შიშვლდება გაზეთის ოთხ გვერდზე და შეგვიძლია დავინახოთ: სად არის აწმყო და სად იქნება მომავალი... „საუბრები შემოდგომის საღამოს“, **„ქართველი ინტელიგენტის ცხოვრება და ბედი“, „როცა საფლავებიც გვიცავენ“, „ქართული ალბომი“...** ეს იმ სათაურთა არასრული ჩამონათვალია, საიდანაც წარსული სევდიანი თვალებით გვიმზერს“...

**თამთა კაკაურიძე**

გამონაკლისს დავარქმევდი „საქართველოს რესპუბილიკის“ ყოველკვირეულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ჩანართს „კვირაძალს საკითხავი“. ის საინტერესო და აუცილებელია ქართველებისთვის დღევანდელ პოლიტიზებულ და ახალ ქართულ-ამერიკული კულტურით ნიშნეულ საქართველოში“.

**ცირა შერგელაშვილი**

„ძალიან მომწონს თავში დართული ფოტო— თითქოს თავიდანვე წარმოჩენილია ქართული სული და ეს სურათი ძალაუნებურად წარსულში გვაბრუნებს...

განსაკუთრებით მომეწონა სტატია: **„სად უნდა იყოს გურამიშვილის საფლავი?“** ადგილებიც მოვინიშნე: „საფლავის ქვაზე ქართულ-უკრაინული წარწერის გასწვრივ ყოველთვის ახალი ყვავილები ეწყო“... „უკრაინელებმა ისე იციან გურამიშვილის საფლავი, როგორც საკუთარი წინაპრის, საქართველოში კი ნანგრევებად ქცეულა მისი ნასახლარი“...

„მზე ჩადიოდა... გზად მოხუცი, თავსაფრიანი ქალის სილუეტი შევნიშნე, მოხრილი, სიფრიფანა სხეულით... ორი ღერი მოყვითალო ფერის, მასავით გაცრეცილი ყვავილი ეჭირა... საფლავს მიუახლოვდა... როცა ყვავილები დააწყო, შევამჩნიე, რომ წარწერას „Давід Гурамішвили“ ფრთხილად გადაუსვა ხელი... მაშინ მეგონა, რომ მთელი უკრაინა მოეფერა ჩვენს უბედურ პოეტს“...

ძალიან დამაინტერესა **ბაბო დადიანის** დღიურებმა, რომელსაც დროდადრო კომენტარებს ურთავდა მისივე ქალიშვილი **თათული ღვინიაშვილი...** აქ ბევრი რამ არის მტკივნეული და უცნობი ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებიდან...

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სტატიებმა: **„როცა საფლავებიც გვიცავენ“, „გრძნობაც ერთი დარგია ცნობადისა“, „საქართველო იქურდება“, „საუბრები შემოდგომის საღამოს“...**

„კვირაძალის საკითხავში“ არის ახალი რუბრიკა „ქართული ალბომი“ არაჩვეულებრივი ფოტოებით... მართლაც, „შეჩერებული კადრის სიზუსტით გვახსენებენ თავს და გვიმზერენ ძველი ფოტოები... ხანდახან გვეჩვენება, რომ ამ დახვეწილ, დაფიქრებულ სახეებს ჩვენთვის რაღაცის შეხსენება სურთ“...

სტატიაში **„როცა საფლავებიც გვიცავენ“** ქაქუცა ჩოლოყაშვილზე ამოვიკითხე ის, რაც არც ერთ გაზეთში არ იყო. სულ სხვა კუთხით იყო გაშუქებული ქაქუცას ცხოვრებაც და საფლავიც...

მომწონს და მიხარია, რომ არსებობს ეს ჩანართი, სადაც კარგად არის შერჩეული სათაურებიც, ფოტოებიც...

კარგი იქნება, თუ ცალკე გაზეთადაც გამოვა, ანუ უფრო მეტ სტატიებს წავიკითხავთ მასში“.

**ცისია ამუზაშვილი**

„ეს ჩანართი პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ თემებს განსხვავებული კუთხით ეხება...

განსაკუთრებით მნიშვნელოვანად მიმაჩნია რუბრიკა: „ქართველი ინტელიგენტის ცხოვრება და ბედი“.

ამ რუბრიკის ქვეშ, ერთ-ერთ ნომერში წავიკითხე წერილი ბატონ **ნოდარ ტაბიძის** შესახებ, რომელიც მისი პორტრეტის მოხაზვით იწყება და შემდეგ მისივე უკანასკნელ წიგნს „ძიებანი“ მიმოიხილავს. ქვესათაურიდანაც **„ინტელიგენციის გადაშენება“** ჩანს, რამდენად მნიშვნელოვან და ამავე დროს, მტკივნეულ თემას უნდა შეეხოს ავტორი. 30-იანი წლების რუს სწავლულთა ბედის განხილვის შემდეგ პარალელს ავლებს და სტატიას შემდეგი სიტყვებით ასრულებს: **„ეს იყო მაშინ, რუსეთში... როგორია დღეს სწავლულთა ბედი საქართველოში?..“**

ეს თემა მართლაც, ღრმა განსჯის საგანს წარმოადგენს.

რელიგიურ-პოლიტიკური ხასიათის წერილი შეიძლება ეწოდოს პუბლიკაციას: **„პასუხისმგებლად ღვთისა და ერის წინაშე“,** რომელიც ამბროსი ხელაიას ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრებას ეხება... აქ ვნახეთ ევრორუსული ტერმინიც.

„მოუზომავი ქართველიზაცია“...

რუბრიკის ქვეშ **„საუბრები შემოდგომის საღამოს“** თავიდანვე სასიამოვნო განწყობილება იქმნება. მე, როგორც მკითხველი, შემოდგომის საღამოს წარმოდგენით ვიწყებ კითხვას... მაგალითად, ერთ-ერთი საუბარი მხატვარ **მზია დათუნაშვილთან** სრულ წარმოდგენას გვიქმნის ამ პიროვნებაზე, მის მოღვაწეობასა და შეხედულებებზე... **„მოვა სრულიად ახალი დრო, რომელშიც ჩვენი თანამედროვეობა შევა, როგორც რეტრო“...** — ასე სრულდება ის საუბარი...

საერთოდ კი ვისურვებდი წარსულის წარმოჩენისას, უფრო მეტი პარალელები გაგვევლო თანამედროვეობასთან, ანუ გვესაუბრა, იქმნება თუ არა დღეს ღირებული ლიტერატურა და ხელოვნება.

კარგი იქნება, თუ „კვირაძალის საკითხავი“ მკითხველს ინტელექტის ამაღლების გზებს დაუსახავს. წამოჭრის იმ პრობლემებს, რაც საფრთხეს უქმნის კულტურულ მემკვიდრეობას.

დღეს „კვირაძალის საკითხავი“ თავისთავად დიდ როლს ასრულებს კულტურის სფეროში მკითხველი საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილებაში“.

**მზექალა გრიგალაშვილი**

„კვირაძალის საკითხავი“ მართლაც საკითხავია, საინტერესო რუბრიკებით, წერილებით, ფოტოებით თუ პრობლემური საკითხების ობიექტურად წარმოჩენით... ეს მაშინ, როცა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ გაზეთებში ასეთი ჩანართებით ქართველი მკითხველი განებივრებული არ არის...

ძველი ფოტოები დიდ ფუნქციას ასრულებს ჩანართში... როცა გაზეთის გაფორმებას გადახედავ, მაშინვე ხვდები რა განწყობილებები შეიქმნება კითხვის დროს.

აქ ტკბილ-მწარე საკითხები მრავალფეროვნადაა გაშლილი ინტერვიუების, პირადი დღიურებისა და მონოლოგების სახით. სულ რაღაც ოთხ გვერდიანი (ადრე ორგვერდიანი იყო) ჩანართის მიზანია ჩააფიქროს მკითხველი თავის ოცსაუკუნოვან ისტორიაზე, კულტურაზე... თვალი აუხილოს, რომ ამ გზის გამოვლა იოლი არ ყოფილა.

კარგი იქნება, თუ ქართულ პრესაში მსგავს ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ჩანართებს შემოიღებენ... თუნდაც იმიტომ, რომ ქართველმა ახალგაზრდობამ ლამისაა დავივიწყოთ „ვისი გორისა ვართ“.

**ელენე მახვილაძე**

**ჩვენი აზრით, ეს ახალგაზრდები ნამდვილად არ დაივიწყებენ თუ „ვისი გორისა არიან“ ვფიქრობთ, „კვირაძალის საკითხავის“ არარსებობის შემთხვევაშიც ჩაფიქრდებიან ოცსაუკუნოვან ისტორიასა და კულტურაზე, ვინაიდან ეს ბავშვები საკუთარი სულისკვეთებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველთვის იპოვიან მასწავლებელს, უნივერსიტეტის, გაზეთის თუ წიგნის სახით...**

**მთავარი კი ის არის, რომ ჩვენი დაილოგი შედგა... თუმცა კიდევ ბევრი რამ არის მთავარი, რასაც ისინი თავიანთი ცხოვრების და პროფესიული დაოსტატების გზაზე აუცილებლად მიაგნებენ...**

**გულწრფელი პატივისცემით და თქვენი მომავალი წარმატებების იმედით,**

**„კვირაძალის საკითხავი“**







# „გურჯი“ ისლამურ სამყაროში სილამაზის სინონიმი იყო



**ისტორიული სინამდვილეა, რომ მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყაროს — შაჰები, სულთნები, ემირები და სხვანი, ძლიერნი იმა ქვეყნისანი, სწორედ „გურჯი ხათუნების“ ცოლობით ამაყობდნენ.**

ქართველი ქალის სილამაზე ცნობილი იყო შუა საუკუნეებში, ისლამურ სამყაროში „გურჯი“ სილამაზის სინონიმადაც კი იხმარებოდა.

სხვათა შორის, ეს სილამაზე ზოგჯერ ქართული მიწა-წყლის დარბევის საბაბიც კი ყოფილა. მაგალითად, შაჰ-აბასის მიერ საქართველოს დარბევას და ქართველთა ირანში გასახლების მიზეზად ერთი ირანელი ისტორიკოსი, დედოფალ ხორეშანის უარს ასახელებს.

ქართველ ქალს ჰქონდა ტრადიცია, დაუწერელი კანონი — ის მხოლოდ ქართველის მეუღლე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძალადობის შედეგად ისინი სხვა ქვეყნების ჰარამხანების „ვარდები“ (გულნარები) ხდებოდნენ.

ფერეიდნელი ქართველი ოთხი საუკუნის მოწყვეტილია დედასამშობლოს. მას ცხოვრება უხდება უცხო მიწაზე და უცხო გარემოში, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ინახავენ თავის ეროვნებას — „გურჯობას“. ეს მადლი სწორედ ქართველი დედის წყალობა იყო. ამიტომაცაა რომ ფერეიდნელი ქართველი ტრაბახით გეტყვით, „ჩონ ჩონი სისხლხორც სუფთად შავინახეთ ყეო“.

ამის მომსმენი უნებლიეთ დაფიქრდება: ოთხი საუკუნე უცხო ქვეყანაში, უცხო გარემოსა და უცხო კულტურაში — როგორ, რანაირად შეინახესო?

ტრადიციისამებრ ფერეიდნელი ქართველი ქალი უცხო ეროვნების კაცს ცოლად არ მიჰყვება.

1965 წელს თეირანში, საბჭოთა გამოფენაზე, ფერეიდნიდან საშოვარში ჩამოსული ქართველობა ყოველდღიურად თავს იყრიდა. პირველი ფერეიდნელი ქართველი ქალი, რომელიც იქ ვნახე და გავიცანი, იყო გულჩინა მირჯაზაი, და ამირან პაპიაშვილისა, რომელიც 1927 წ. ამბაკო ჭელიძემ საქართველოში ჩამოიყვანა.

ფრიად სიმპათიური, გაევროპებული ქალბატონი იდგა ჩემს წინაშე თავჩაქინდრული, დაღონებული და თითქოს რცხვენოდა კიდეც. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო და მშვენიერი ფერეიდნული ქართულით მკითხა „პატრონო (საინტერესოა ფერეიდნელებმა სიტყვა „ბატონო“ მაშინ არ იცოდნენ) კაცი (სიტყვა „ქმარს“ არ ხმარობენ) სპარსი მყავს და საქართველოში შამიშვებენო?!“

იხ. მე-14 გვ.

# „მედეას სურათი ყველა ქართველის ოჯახში უნდა ეკიდოს!..“

უშანგი ჩხეიძე

**მარჯანიშვილის „გაახალგაზრდავებულ“ თეატრთან ჩავლისას ახალგაზრდობა გვახსენდება და ის განუმეორებელი მსახიობები, სამუდამოდ რომ დარჩნენ ჩვენს ცნობიერებაში...**

* * *

მახსენდება ის დღე, როდესაც გვამცნეს: **„გარდაიცვალა მედეა ჯაფარიძე!..“**

„ფიქრის გორაზეც“, შემდეგ მარჯანიშვილის თეატრშიც ისე, როგორც სპექტაკლის დაწყების წინ, ხალხმრავლობა იყო... უფრო სწორად, მოდიოდა და მოდიოდა ზღვა ხალხი ამ ქართულ სილამაზესთან გამოსათხოვებლად... და მაინც, სიტყვა „ლამაზი“ მის დასახასიათებლად მცირეა, ის **„მშვენიერი“** იყო... **იმ დღეს თბილისი მშვენიერებას ეთხოვებოდა...** საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნიც შევიცანი. დაღვრემილი სახეებით, ცრემლიანი თვალებით...

ხალხის ტალღას მივყევი, თავიდან სცენაზე მოვხვდი, იქ, სადაც მსახიობი ესვენა, იქ სადაც ამ მსახიობს არაერთი როლი შეუსრულებია, თაიგულებთან ერთად მაყურებლის ტაში დაუმსახურებია... კუბოსთან ყვავილები დავაწყვეთ და დარბაზში ჩავედით... პარტერის მე-12 რიგში ნაცნობი სკამი მოვძებნე...

პარტერი და ლოჟები მაყურებელს ვერ იტევდა... სულგანაბული დარბაზი თვალს ადევნებდა სცენაზე ასული მაყურებლების მსვლელობას...

... ისმოდა მედეა ჯაფარიძის ხმა... ამბობდა, თუ ვინ მიაჩნია თანამედროვე თეატრში მთავარ ფიგურად:

— დრამატურგი, რეჟისორი თუ მსახიობი?

**— „სცენური ნაწარმოები სრულქმნილი რომ გამოვიდეს, ამისათვის ჩემი აზრით საჭიროა სამივე კომპონენტის, ე.ი. დრამატურგის, რეჟისორისა და მსახიობის ნამუშევრების აბსოლუტური ჰარმონიულობა, თუ ეს ჰარმონიულობა აღარ იქნა, მაშინ სასცენო ნაწარმოებს მუდამ რაღაც დააკლდება. მე არ მწამს გამოთქმა: „რეჟისორის სპექტაკლი“, „დრამატურგის სპექტაკლი“, ან კიდევ „მსახიობის სპექტაკლი“. ეს „შესანიშნავი**



**სამეული“ მუდამ ერთად უნდა იყოს. თეატრი იმით არის ძლიერი, როცა ის ხელოვნების სამ ძირითად კომპონენტს გააერთიანებს.**

**— მე უპირველესად თეატრის მსახიობი ვარ, ვერიკოს ივდითი ჩემთვის ყოველთვის იყო უსაყვარლესი სახე, კლასიკური ნაწარმოები, რომლის ხელმეორედ გადაკითხვა არასოდეს მოგბეზრდება. მის მიერ შექმნილი ამ სახიდან ვერ გამოყოფ ძლიერ ადგილს — იგი მთლიანად ჰარმონიული ნაწარმოებია...“**

... მუსიკის ბოლო აკორდი გაისმა და, დარბაზმა ტაშით გააცილა მსახიობის ცხედარი თეატრის გასასვლელისკენ... შემდეგ თვითონაც მიყვა...

მარჯანიშვილის მოედანი მაყურებელს ვერ იტევდა...

მოედანი ტაშით შეხვდა მსახიობის ცხედარს... ყველაფერი ბუნებრივად ხდებოდა, მას არ სჭირდებოდა რეჟისორი. თითქოს სპექტაკლის გაგრძელება იყო, რომელსაც მსახიობისადმი გამჟღავნებული დიდი სიყვარულის უჩინარი ხელი მართავდა.

თვალცრემლიანმა მაყურებელმა ტაშით გააცილა „ალმაშენებლიდანაც“... მსვლელობა კინოსტუდიასთან შეჩერდა... აქ რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი დაემშვიდობა უკანასკნელ გზაზე „მიმავალ“ თავის „ქეთოს“... შემდეგ იყო სიტყვები, ცრემლი, დამშვიდობება და კვლავ ტაში — მსახიობისთვის ყველაზე გამამხნევებელი. დიდუბის პანთეონში, მეუღლის რეზო თაბუკაშვილის გვერდით მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი...

მაყურებლებმა დიდუბის ეკლესიისკენ იბრუნეს პირი, აინთო სანთლებიც...

ის ყველგან დიდებული იყო. სპექტაკლებშიც, კინოშიც, პოეზიით შთაგონებულ იმპროვიზაციების საღამოებზეც, თუ თეატრალურ შეხვედრებზე; ჰოდა, ნურავინ იფიქრებს, რომ სადღეისოდ ძველმოდურია სულიერი ძალების უანგარიშო ხარჯვა, რომანტიკული აღმაფრენა... იქნებ ეს მართლაც ასეა, მაგრამ რას იზამ... მედეა ჯაფარიძის როგორც ადამიანისა და შემოქმედის მომხიბვლელობა სწორედ ამაში იყო. ჩვენს აჩქარებულ თანადროულობაში, იქ, სადაც ადამიანებს ზოგჯერ ერთმანეთისთვის აღარ სცალიათ, მედეა ჯაფარიძისთანა ადამიანსა და ხელოვანს მივიჩნევ იმ გუშინდელ დღედ, რომლის დაკარგვასაც დღემდე ყველანი განვიცდით...

**ტონიო გუერა: — „დღეს, როცა სამყაროში ამდენი რამე ინგრევა და იმსხვრევა, როცა ამდენი რამ ემუქრება კაცობრიობის მშვენიერებას... ბედნიერებაა ხედავდე ისეთ ადამიანს, როგორიცაა მედეა ჯაფარიძე, რომლის შემოქმედებითი ნიჭიერება, სულიერი და ფიზიკური მშვენიერება მიიწევს ზევით, მაღალი იდეალებისკენ და თითქოს მაღლდები მისი შემხედვარე“.**

**მიხეილ თუმანიშვილი: — „დარისპანის გასაჭირი“ დავიწყე... კაროჟნა გაშლილი ქოლგით და დარისპანი გზაზე მიდიან... ჩვენც ასე მოვდივართ ჩვენი ცხოვრების გზაზე, წარსულიდან მომავლისაკენ საკუთარი ბედნიერების ძიებაში, ჩვენი შვილების ბედნიერების ძიებაში... კაროჟნა — მედეა ჯაფარიძე ლამაზია, მაგრამ მას არ ირთავენ არა იმიტომ, რომ გონებაჩლუნგია, არამედ იმიტომ, რომ საცოლე ვაჟები მდიდარ ქალებს ეძებენ, რადგან სხვა საარსებო საშუალება არა აქვთ. შესაძლებელია ოსიკოსაც მოსწონს კაროჟნა, მაგრამ „აქვს რამე?“ — ეს წყვეტს ამ პრობლემას!**

**აკაკი კვანტალიანი: — მას ჩვენს თეატრში არავის ადგილი არ დაუკავებია, — მან დაიკავა მედეა ჯაფარიძის ადგილი, ეს იყო მისი როლები... ის იყო ისეთი მსახიობი, რომელსაც უყვარდა თავისი როლები, სეზონების განმავლობაში ჟანრობრივად განსხვავებული დატვირთვისა და ფუნქციის დედააზრის მიმართ. — თითოეული როლი მედეა ჯაფარიძისთვის სიხარულის მომტანი იყო, გრძნობდა, რომ იგი თეატრსაც სჭირდებოდა და მაყურებელსაც.**



მედეა ჯაფარიძით მოხიბლულ უშანგი ჩხეიძეს უთქვამს: — **„მედეას სურათი ყველა ქართველის ოჯახში უნდა ეკიდოს, რომ უმზიროს და ესთეტიკური სიამოვნება მიიღოს... მეც მიკიდია მისი სურათი, სურათი, რომელიც მნახველს ყოველთვის მშვენიერებისკენ განაწყობს“.**

ასე მგონია, მარჯანიშვილის მოედანს, თეატრს, დღესაც დიდებულ მსახიობთა შარავანდედი ადგას, მათ შორის მედეა ჯაფარიძისაც...

მას ბევრისთვის შეუმსუბუქებია გასაჭირი, ბევრისთვის გაუქარვებია დარდი, დაუამებია ტკივილი. მოდიოდნენ, ურეკავდნენ შინ თუ თეატრში, ქუჩაშიც აჩერებდნენ — ვის შვილი ჰყავდა უსამართლოდ დაპატიმრებული, ვის კუთვნილი ბინა არ მისცეს, ვის წამალი ვერ ეშოვნა ავადმყოფი მშობლისთვის... არავის თხოვნას არ წაუყრუებდა, არავის გააწბილებდა, ყველასთან მიყვებოდა, ყველას დაურეკავდა, ყველას შეაწუხებდა, ნუგეშს უსათუოდ სცემდა თხოვნისთვის მისულს...

პიროვნების თავისებურება ვლინდება არა მარტო ყველა დასანახავ ხმაურიან ქმედებაში, არამედ შეუმჩნეველ, ჩუმ საქციელშიც, რასაც შესაძლოა თვითონაც არ ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას... ზოგჯერ სწორედ ასეთი საქციელია ამ პიროვნების საუკეთესო დამახასიათებელი, რადგან მხოლოდ მისეულია იგი...

მედეა ჯაფარიძის სახება — გარდასული მშვენიერების სიმბოლო... ხასიათის ნიუანსები — მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და ამიტომაც ერთადერთი და განუმეორებელი... **ეს ის ღირებულებაა, რასაც ვერასდროს გადააფასებს თუნდაც ყველაზე უსახური დრო...**

**ნათელა ფაილოძე**

# „ბურჯი“ ისლამურ სამყაროში სილამაზის სინონიმი იყო

(მეცამეტე გვერდიდან)

ამ ქალბატონმა მისდაუნებლიეთ „შესცოდა“, დაარღვია იქ არსებული ფერეიდნული ადათი და მისივე განაჩენით ღირსი არ არის დაბრუნდეს თავისი ძველების ქვეყანაში.

რაც შეეხება ქართული ენისა და ქართველობის შენარჩუნებას, ამბაკო ჭელიძეს, რომელიც გასული საუკუნის 20-იან წლებში ისპაჰანში მუშაობდა და ფერეიდნის სტუმარიც იყო, დავესესხები:

„ამ ათიოდე წლის წინათ (ე. ი. 1917 წ.) რამდენიმე ახუნდს (სასულიერო პირი) ჩამოუვლია ქართული სოფლები. ისინი ურჩევდნენ ხალხს უსათუოდ შეესწავლათ სპარსული ენა, როგორც აუცილებელი საშუალება ყურანის გასაგებად და ლოცვების წარმოსათქმელად... მამაკაცებს წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაუბედნათ. და აი აქ, დედაკაცებს გამოედოთ თავი, გამოეტანათ ჯოხები, ქვები. გამოდგომიან ყიჟინით, მუქარით და ახუნდები სოფლიდან დაუფრენიათ. — თქვენ წაგვართვით სამშობლო, რჯული, ყველაფერი გარდა ენისა. ახლა ენაცღა დაგვრჩენია, ამის წართმევასაც გვიპირებთო!“



ასევე, ქალებმა ფერეიდანში 1928 წელს ჯარში გაწვეული ქართველები არ გაუშვეს და მათ წასაყვანად მოსული მთავრობის მოხელეები ჯოხის ცემით გარეკეს სოფლიდან...

ბოლო ათწლეულებში ირანში დიდი ურბანიზაციაა. ეს პროცესი ფერეიდანსაც შეეხო.

ქართული ენის შენახვას ძირითადად ხელს უწყობდა ის, რომ ქართველობა კომპაქტურად ცხოვრობდა. ოჯახებში კი ქალები დედის ენაზე უბნობდნენ. ქალაქებში სამუშაოდ ჩამოსულ ფერეიდნელთათვის ეს გარემო, ბუნებრივია, იკარგებოდა. ენის შესწავლა ბავშვთათვის, მომავლისათვის უკვე საფრთხის წინაშე იყო.

და ფერეიდნელმა ქართველებმა, რომელნიც ქალაქებში ჩამოსახლდნენ, ასეთი ხერხი იხმარეს, რათა დედის ენა „შამაენახათ“ — ბავშვებს ექვს წლამდე ეზოში და ქუჩაში არ უშვებდნენ!

— „ჯერ დედის ენა ისწავლონ ნამედ (კარგად) და მერე სპარსულიო!..“

სხვათა შორის, დღესაც შეხვდებით მრავლად ფერეიდანში განსაკუთრებით დედაკაცებს, რომელთაც სპარსული არ იციან!..

ადამიანებზეა დამოკიდებული თუ ეს როგორ ესმის და როგორ გამოხატავს თავის სიყვარულს თავისი სამშობლოს მიმართ.

ერთხანობა თბილისში ასეთი ამბავი გავრცელდა, რომ მავანი შეძლებული მოსალოგინებლად ინგლისში წასულა...

მეორე ამბავსაც მოგახსენებთ:

ფერეიდნელმა ახალგაზრდებმა ნათიამ და ლექსომ ამ ხუთი წლის წინათ იქორწინეს ბახტიარიის მთებში, ქართულ სოფელში და ფიცად დასდეს, რომ შვილს არ გააჩენდნენ, სანამ საქართველოში არ ჩამოვლენ. ჩვენი შვილი ქართველია და საქართველოში უნდა დაიბადოსო, თავისი ძველი ფესვების მიწაზეო!..“

ამ წყვილის წინაპარი ხომ ოთხი საუკუნის წინათ იქნა გასახლებული იქ, ფერეიდანში?!...

მოდით, ვიოცნებოთ ქართულ მიწაზე დაბადებულ ყველა ქართველზე, ანუ იმ მომავალზე, რასაც ჩვენი წინაპრები და ოდესღაც უცხოეთში გადახვეწილი ღირსეული ქართველი დედების შთამომავლები იმსახურებენ...

**ნოდარ კოჭლაშვილი**

**ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.**



# სიარული ინფარქტის, ცურვა კი ასთმის წინააღმდეგ

თუ ჰიპერტონია გაქვთ, მაგრამ არა გაქვთ კრიზები და სისტემატურად აკონტროლებთ წნევას, შეგიძლიათ, დაიწყოთ ვარჯიში: ფეხით სიარული, სირბილი, ცურვა, თხილამურები, აერობიკა.

ყველაზე მარტივი და ხელმისაწვდომი საშუალება სწორ ადგილზე სიარულია. თუ სიარულის შემდეგ აჩქარებული გულისცემა ხუთი წუთის განმავლობაში შეგინარჩუნდებათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მეტისმეტი მოინდომეთ და დატვირთვა უნდა შეამციროთ.

ინფარქტგადატანილ ადამიანებს, როგორც წესი, სამკურნალო ფიზკულტურას ურჩევენ, მაგალითად, სანატორიუმებში. მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა ძალიან მალე ანებებს თავს ვარჯიშებს, არადა, როგორც დაკვირვებებმა აჩვენა, თუ ავადმყოფი ერთი წლის განმავლობაში გააგრძელებს ვარჯიშებს, მისი ეფექტი ნაწილობრივ გადაფარავდა თრომბოზის საწინააღმდეგო საშუალებებისა და იმ წამლების (ბეტა — ბლოკატორების) ეფექტს, რომლებიც ამცირებს დატვირთვას გულზე, ქოლესტერინის რაოდენობას.



თუ ადამიანს ბრონქიალური ასთმა აწუხებს, მისთვის სასარგებლოა სპორტის ის სახეობები, რომლებიც სასუნთქი აპარატის განვითარებას უწყობს ხელს. ასეთებია: ცურვა, ხელბურთი, ნიჩბოსნობა. არსებობს ე. წ. ფიზიკური დაძაბვის ასთმა, როდესაც ხველის შეტევები დატვირთვის დროს იწყება. ასეთ შემთხვევებში ასთმიან ავადმყოფებს დიდი სიფრთხილე მართებთ, თუმცა, წამლებით მკურნალობის ფონზე სპორტი სავსებით დასაშვებია. ვარჯიშის დროს თან აუცილებლად უნდა ვიქონიოთ ინჰალატორი.

თუ „მრგვალი“ ანუ მოხრილი ზურგი (კიფოზი) გაქვთ, სპორტი თქვენთვის უბრალოდ აუცილებელია. თუმცა კიფოზს საბოლოოდ ვერ გაისწორებთ, სამაგიეროდ დაავადებას პროგრესირების საშუალება აღარ ექნება. აქ თქვენ გიშველით ტანვარჯიში, ველოსიპედი და ცურვა. იმ კუნთების გასამაგრებლად, რომლებიც ტანის დაჭერაში ეხმარება ადამიანს, გირჩევთ იაროთ სატრენაჟორო დარბაზში, ივარჯიშოთ ძალოვან აერობიკაში. საშიში თქვენთვის მხოლოდ ხერხემლის ვერტიკალური დატვირთვაა.

სიბეცის დროს ყველაზე სასარგებლოა ცურვა. ის ძალიან კარგად ხსნის მხედველობით დატვირთვას, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს თვალების სისხლით მომარაგებას.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა ურთიერთჩანაცვლებადობაზე. მაგალითად, თავისუფლად შეგიძლიათ 5-წუთიანი სირბილი 10-წუთიანი სიარულით და 15-წუთიანი ცურვით შეცვალოთ.



# ვერცხლი ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის წყაროა

სწორედ ვერცხლია ორგანიზმში დამაავადებელი და სასარგებლო ბაქტერიების ბუნებრივი ბალანსისათვის პასუხისმგებელი და ავადმყოფობათა გამომწვევი ბაქტერიების, ვირუსების, სოკოების გამრავლების დამაბრკოლებელი, მათი სიცოცხლისუნარიანობის დამქვეითებელი.

უვერცხლოდ სასარგებლო ბაქტერიები უმცირესობაში აღმოჩნდებიან და დამასნეულებლებისგან დაიჯაბნებიან. შედეგად — გაცივება, გრიპი, სუსტი მხედველობა, მოშლილი ნერვული და გულსისხლძარღვთა სისტემები, კუჭნაწლავთა ტრაქტის დაავადებანი, დასუსტებული სახსრები, პრობლემური კანი, ამასთან, ეს ნუსხა სულაც არ არის სრული.

ვერცხლი დაბადებიდანვე დაჰყვება ყოველ ჩვენგანს: ტვინში, ღვიძლში, თირკმელებში, კანში, ჩონჩხის ძვლებში. ოღონდ დროთა განმავლობაში გამოდის ორგანიზმიდან და ასაკთან ერთად ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგება. ჰოდა, ვავადმყოფობთ, ვსვამთ სულაც არაუწყინარ წამლებს, რომლებიც დროებით კი გვშველიან, მაგრამ მერე, სამწუხაროდ, კვლავ ავად ვხდებით. ასე რომ, ვერცხლი აუცილებლად უნდა შევივსოთ. ამას ნებისმიერი ექიმი გეტყვით, მაგრამ როგორ შევივსოთ? ვერცხლის საგნებზე წყლის დაყენება ხომ გუშინდელი დღეა თანაც დამტკიცებულია, რომ ეს ნაკლებად ეფექტიანია.

ამჟამად ამ მიზნით სპეციალურ წვეთებს სვამენ — „ვერცხლის თავადი“. ეს გახლავთ კოლოიდური ვერცხლი. კოლოიდი სისხლსა და ლიმფას ეთვისება, ამიტომ ასეთი ვერცხლი ორგანიზმის მხრივ მშობლიური ნაწილაკივით აღიქმება. კოლოიდური ვერცხლი ეფექტიანად ებრძვის დამაავადებელ მიკროორგანიზმებს. ასეთ ეფექტიანობასთან დამატებით, უპირატესობა აქვს ანტიბიოტიკებთან — ეს არის გვერდითი ეფექტების უქონლობა.

„ვერცხლის თავადის“ წვეთები ორგანიზმისთვის იდეალური ვერცხლია. თქვენს ორგანიზმში თუ სასარგებლო ბაქტერიების მინიმუმი მაინც დარჩა, „ვერცხლის თავადი“ იმათ რიცხვს აღადგენს, დამასნეულებელთ კი გაანეიტრალებს!

აფთიაქებში „ვერცხლის თავადი“ იყიდება როგორც წვეთების, ასევე თანამედროვე ყველაზე მოსახერხებელი სპრეის სახით.

# ყოველ ასაკს — შესაბამისი გამოკვლევები

**გვახსოვდეს, რომ ქვემოთ მოყვანილი ანალიზები აუცილებელია, თუნდაც თავს დიდებულად გრძნობდეთ.**

**როცა 40 წლისა არა ხართ**

***ყველას***

ტესტი ქოლესტერინზე — წელიწადში ერთხელ. საჭირო იმიტომ არის, რომ თავიდანვე „ჩავავლოთ“ სისხლძარღვებისა და ნივთიერებათა ცვლის პრობლემებს, ავირიდოთ ჰიპერტონია და გულის ამბები. საერთო ქოლესტერინის ნორმაა 5 მოლი/ლ.

ფლუროგრაფია — ერთხელ წელიწადში.

სისხლის საერთო ანალიზი (კერძოდ, ტესტი ჰეპატიტების ვირუსთა ქონაზე) — ერთხელ წელიწადში.

***ქალებს***

25 წლიდან, ორ წელიწადში ერთხელ, მკერდის ულტრაბგერითი გამოკვლევა (უბგ). თუ გიმშობიარიათ, 30-35 წლიდან ორ წელიწდში ერთხელ — უბგ და მამოგრაფია (მკერდის რენტგენზე გამოკვლევა), თუ არ გიმშობიარიათ — მხოლოდ უბგ.



საშოს ნაცხი — ერთხელ წელიწადში.

***მამაკაცებს***

შარდის ანალიზი უროლოგიური ინფექციების ქონაზე — ერთხელ წელიწადში.

**როცა 40 გადააბიჯეთ**

***ყველას***

არტერიალური წნევის კონტროლი. ნორმა — 120/70 (80).

კარდიოგრამა — ერთხელ წელიწადში.

შაქარზე სისხლის ანალიზი დიაბეტის პროფილაქტიკისათვის. ნორმა — 3,5-5,6 მოლი/ლ.

კანის შესწავლა ახალი ხალების გამოსავლენად — მელანომის პროფილაქტიკისათვის.

***ქალებს***

მამოგრაფია და უბგ — ერთხელ ერთნახევარ წელიწადში.

გამოკვლევა, რომელიც შეგვაძლებინებს ძვლის მასის დეფიციტის გამოვლენას — ოსტეოგრამა, ოსთეოპოროზის პროფილაქტიკისათვის — ორ წელიწადში ერთხელ. ამ ანალიზის დანიშვნა შეუძლიათ ქირურგსა და ენდოკრინოლოგს.

***მამაკაცებს***

პროსტატის გამოკვლევა — წელიწადში ერთხელ.

ტესტი პროსტატ-სპეციფიკურ ანტიგენზე — ერთხელ 1-2 წელიწადში.

# ფუტკრის შხამი ნოვოკაინზე ეფექტურია

## მკურნალი ნესტარი

აპითერაპია (ფუტკრის კბენა და მეფუტკრეობის პროდუქტებით მკურნალობა) ნაკლებად არის გავრცელებული, რუსეთის ზოგიერთ სამედიცინო უმაღლეს სასწავლებელში (მაგალითად, ნიჟნი ნოვგოროდში და რიაზანში) აპითერაპია ცალკე კურსად იკითხება.

## 20-ზე მეტი ფუტკარი „არ მიიღოთ“

პაციენტს დიდხანს არ უწევს უსიამოვნო შეგრძნებების მოთმენა — ფუტკრის კბენის პროცედურა მისთვის 5 წუთს გრძელდება. დიმიტრი მძღოლია, შორ მანძილებზე გადაზიდვებზე მუშაობს, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი ოსტეოქონდროზმა გააწვალა (მჯდომარე სამუშაო ხერხემალს კარგს არაფერს უქადის). „ფუტკრებით „ჩხვლეტის“ მესამე პორციის შემდეგ ტკივილები მომეხსნა, — გვიყვება იგი, — ახლა კი მე და ჩემი ექიმი, ასე ვთქვათ, ეფექტს ვამყარებთ“.

საერთოდ, იმას, თუ რამდენ ხანს უნდა დარჩეს ფუტკრის ნესტარი სხეულში, ექიმი ჩვენებების მიხედვით ადგენს. რაც უფრო მეტია ეს დრო, შხამის მით უფრო დიდ ულუფას იღებს ორგანიზმი. ერთი კურსისთვის დადგენილი ფუტკრების რაოდენობაც ასევე დაავადებასა და ავადმყოფის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. საზოგადოდ, გაუმჯობესება 30-150 ფუტკრის „მიღების“ შემდეგ იწყება. ექიმები 200-ზე მეტს არასდროს ნიშნავენ, წინააღმდეგ შემთხვევაში შვების ნაცვლად მკურნალობამ შეიძლება, ავნოს ადამიანს. ერთ ჯერზე კი დასაშვებია არა უმეტეს 20 ფუტკრის დასმა, ისიც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, ისე კი, როგორც წესი, პაციენტი 5-10 სამკურნალო კბენით კმაყოფილდება, რაც, უნდა ითქვას, ასევე ნაკლებ სასიამოვნოა.

— დროთა განმავლობაში ტკივილი ქრება, — ამბობს ექიმი-აპითერაპევტი მიხეილ ბორისოვი. — ფუტკრის შხამი ძალიან კარგი ადგილობრივი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებაა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ზოგჯერ ის ნოვოკაინზე ეფექტურია ხოლმე.

აპითერაპევტები ბევრი დაავადების სამკურნალოდ იყენებენ ფუტკრის შხამს. მაგალითად, დამტკიცებულია ამ პროცედურის ეფექტურობა საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მუშაობაში არსებული დარღვევების, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს. ხშირად ადამიანი 4-5 სეანსის შემდეგ დიდი ხნით ან სულაც სამუდამოდ ივიწყებს ტკივილს.

მაგრამ! „მინდა გავაფრთხილო ადამიანები, — ამბობს ექიმი ბორისოვი, — ფუტკრები სამკურნალოდ მხოლოდ სპეციალისტმა უნდა გამოიყენოს. თვითშემოქმედება ამ საქმეში დაუშვებელია. მე ვიცი, რომ ბევრი მეფუტკრე ცდილობს ნათესავ-ნაცნობების მკურნალობას. ეს სახიფათოა. საქმე ის არის, რომ ადამიანი შეიძლება, ვერ იტანდეს ფუტკრის შხამს, ამიტომაც ვიდრე ფუტკრის კბენით მკურნალობის სეანსს დაუნიშნავდეს, ექიმი პაციენტს ანალიზების ჩაბარებას სთხოვს. მაგრამ ამის შემდეგაც კი ჩვენ მხოლოდ ერთ ფუტკარს ვაკბენინებთ, რის შემდეგაც 40 წუთის განმავლობაში ვაკვირდებით ორგანიზმის რეაქციას“.

## ავადმყოფს მამალი ფუტკარი ვერ უშველის

ექიმ მორისოვს ქალაქგარეთ საბაღე ნაკვეთზე პატარა საფუტკრე აქვს. კაბინეტში „მკურნალები“ პატარ-პატარა კოლოფებით მოჰყავს. ეტყობა, ამ კოლოფებში ფუტკრები მაინცდამაინც კომფორტულად ვერ გრძნობენ თავს, ამიტომაც როდესაც ექიმს პინცეტით ამოჰყავს ისინი და მტკივან ადგილზე ასვამს პაციენტს, ფუტკრებს დიდი ხვეწნა არ სჭირდებათ, ისე ასობენ ნესტარს.

ზაფხულობით ფუტკრების მხრიდან არანაირი პრობლემები არ იქმნება, ზამთარში კი ისინი



გრილ სარდაფში დადგმულ სკებში თვლემენ. ამიტომაც აპითერაპევტს ცოტა ხნით მოცდა უწევს, ვიდრე საპროცედურო კაბინეტში მოყვანილი მოდუნებული „მკურნალები“ სითბოში არ გამოცოცხლდებიან.

სამკურნალოდ ექიმები მხოლოდ მუშა ფუტკრებს იყენებენ. მამალი ფუტკარი ამ საქმისთვის არ ვარგა, დედალი კი ადამიანს არ კბენს, ის მარტო თავის „მტრებს“ ნესტრავს. ზოგჯერ ფუტკრები ბორისოვსაც კბენენ, ეს მაშინ ხდება, როდესაც ისინი თავისი ნებით ტოვებენ იმ კოლოფს, რომელშიც ექიმი ამწყვდევს. თუმცა მას ეს არ ადარდებს, იმიტომ რომ მცირე რაოდენობის ფუტკრის შხამს ჯერ არავისთვის უვნია. კრაზანის ნაკბენი კი შეიძლება, მართლა საშიში იყოს, ვინაიდან მისი შხამი ფუტკრისაზე ბევრად ტოქსიკურია.

# ქრონოგრაფი

## 19 დეკემბერი, 1941 წელი



**სათადარიგო სამსახურში გაამწესეს გერმანიის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი გენერალ-ფელდმარშალი ვალტერ ფონ ბრაუხიჩი.**

მას ბრალად დასდეს საბჭოთა კავშირის დედაქალაქის აღებისათვის ბრძოლაში განცდილი მარცხი. ფელდმარშლობა ბრაუხიჩს 1940 წელს მიანიჭეს. იგი ევროპის ბლიცკრიგის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა გახლდათ. მას ეკუთვნოდა საფრანგეთის ელვისებური შტურმით აღების გეგმა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ვალტერ ფონდ ბრაუხიჩი დააპატიმრეს და გაასამართლეს ნიურნბერგის პროცესზე. გარდაიცვალა 1948 წელს სამხედრო ტყვეთა ბანაკში.

## 20 დეკემბერი, 1522 წელი



**ხანგრძლივი ალყის შემდეგ თურქეთის სულთანმა სულეიმან I-მა (სულეიმან დიდებული) აიღო კუნძული როდოსი — დოდეკანესის კუნძულებიდან (ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილი) ყველაზე ცნობილი და გამაგრებული კუნძული.**

იქ გამაგრებულ ქრისტიანებს, გოსპიტალერების ორდენის წევრებს სულთანმა შესთავაზა, გადასულიყვნენ მალტაზე. თანამედროვენი სულეიმან I-ს ახასიათებენ როგორც გამჭრიახ სტრატეგს, თავისი დროის ერთ-ერთ უგანათლებულეს ადამიანს. მისი მმართველობის დროს ოსმანთა იმპერიამ პოლიტიკური სიძლიერის პიკს მიაღწია. სულთანმა დაიპყრო მესოპოტამია, არაბეთი, უნგრეთის ტერიტორიის ნაწილი, ალჟირი, ტრიპოლი და ამიერკავკასიის ნაწილი.

## 21 დეკემბერი, 1958 წელი



**საფრანგეთის სახელმწიფოს მეორედ, უკვე მეხუთე რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად, სათავეში ჩაუდგა შარლ დე გოლი.**

საფრანგეთმა „ცხოვრება“ დაიწყო ახალი, დე გოლის მიერ შესწორებული კონსტიტუციით. დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ 1945-1946 წლებში, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ გმირმა და ბელადმა შარლ დე გოლმა 1953 წელს განაცხადა, რომ გადაიღალა და წასვლა სურდა პოლიტიკიდან, მაგრამ ალჟირში მომხდარმა აჯანყებამ, რომელმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საფრანგეთის სტატუსი, როგორც თვითმპყრობელი სახელმწიფოსი, თანამემამულეებმა გაიხსენეს თავიანთი გმირი და მასზე დაამყარეს მთელი იმედები. შარლ დე გოლმა შესძლო ალჟირში რევოლუციის ჩაქრობა, ამ ქვეყანას მიანიჭა სუვერენობა, გააძლიერა ამის ხარჯზე თავისი ქვეყნის ეკონომიკა, ქვეყანა გამოიყვანა პროამერიკული ზეწოლისაგან. 1968-1969 წლების „სტუდენტების რევოლუციის“ დროს დე გოლი პრეზიდენტობიდან გადადგა, პოლიტიკას ჩამოშორდა და სულ მალე გარდაიცვალა კიდეც.

## 22 დეკემბერი, 1723 წელი



**დაიბადა ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი, დასავლური მუსიკალური კულტურის კლასიკური პერიოდის უდიდესი წარმომადგენელი კარლ ფრიდრიხ აბელი.**

იგი ლაიფციგში სწავლობდა იოჰან სებასტიან ბახთან, უკრავდა დრეზდენის სამეფო კაპელაში, რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა ლონდონში, გასტროლებს აწყობდა საფრანგეთში. იოჰან კრისტიან ბახთან (ბახი-უმრწმესი) ერთად ორგანიზება გაუკეთა საყოველთაოდ ცნობილი კონცერტების სერიას, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მიიწვია ცნობილი შემსრულებლები და ნიჭიერი ავტორები.

# «რაღა დროს ჩემი პეჩორინია...»



**სერგეი ჭონიშვილს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მარკ ზახაროვის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრში, კინოშიც იღებენ — ტელემაყურებლები იცნობენ სერიალებით „პეტერბურგის საიდუმლოებანი“, „ხუთი კუთხე“, „ოჯახური საიდუმლოებანი“, „დაცვის უფლება...“ რუსეთის დამსახურებული არტისტის ხმა ხშირად გაისმის კადრს მიღმა, სხვადასხვა არხზე. ბევრს ალბათ ახსოვს „რუსული დიპლომატიის ისტორიები“ არხზე „კულტურა“; და კიდევ, ჭონიშვილი წერს მოთხრობებს, ლექსებს. მისი სამწერლო დებიუტი 2000 წელს შედგა, როცა გამოვიდა კრებული „უმნიშვნელო ცვლილებები“. ამას მოჰყვა წიგნი „კაცი-მატარებელი“.**

***— თქვენ ახლახან 40 წელი შეგისრულდათ...***

— დაბადების დღეებს საერთოდ არ აღვნიშნავ, მგონი, 15-ისა რომ გავხდი, იქიდან დაწყებული. ასეთ დროს, როგორც წესი, ვმუშაობ.

***— რა, საკუთარ თავს არანაირი საჩუქარი არ უძღვენით? მაგალითად, ახალი წიგნის გამოშვებით მაინც?***

— არც არაფერი. რომანი „ანტონ ვერნერის უსიამოვნებანი“ ჯერ კიდევ არ დამისრულებია, საგაზაფხულოდ ვაპირებ.

***— ფილმ, „სარკისებრი ომების“ პრემიერაზე, რომელშიც მონაწილეობთ, თუ იყავით?***

— არა, პრემიერებზე არ დავდივარ. ფესტივალებზეც არ მივემგზავრები ხოლმე. დრო არ მყოფნის. ეს „ომები“ კი, მართლაც რომ, შესანიშნავი ნამუშევარია. ვხუმრობდი, სურათი რომც არ გამოვიდეს, მაინც დამიწყებენ ყურებას, აქ ხომ ყველაფერი ჩემი გმირისგან იწყება-მეთქი. საერთოდ, ან ნაძირალებს ვთამაშობ, ან იმ ადამიანებს, ვისაც კლავენ. „ომებში“ ჩემი როლი, მართლაც რომ, „უნიკალურია“. ინგლისურად ვთამაშობდით, გახმოვანებაზე კი არ დამიძახეს, არც მაცნობეს, რომ სხვისი ხმით „გავისმი“. ასე რომ, ამ ნამუშევრისადმი ჩემი დამოკიდებულება ორჭოფულია.

***— არადა, თქვენი გარეგნობით გმირ-კუროებს უნდა თამაშობდეთ.***

— გარეგნობისთვის მადლობა დედას და მამას... ისე კი, უნდა გითხრათ, რომ ჩემს სიცოცხლეში არც თეატრსა და არც კინოში არც ერთი გმირი არ მითამაშია, რომელიც მეტ-ნაკლები ადეკვატურობით წარმომადგენდა ამ სამყაროში თვითონ მე. ყოველთვის მაინტერესებდა ის კაცი, რომელიც ეწერება სივრცეში ან ვერ ეწერება...

გამიკვირდა და მეწყინა იმ პიროვნებისგან, რომელიც კაი 18 წელია მიცნობს და „შუადღის დემონში“ ჩემი ნახვის შემდეგ ამბობს: „ერთი დამიხედეთ, ჭონიშვილს სიყვარულის თამაში შეძლებია“. ამის თამაში ადრეც მეხერხებოდა და რომ მეთამაშა, ეგებ, ჩემი ბიოგრაფია სულ სხვანაირად წარმოჩენილიყო. კარგად მესმის, რომ შემოქმედების ნაწილი დაუბრუნებლად ჩამომცილდა. კაცი იცვლება, ბერდება და რა მარჯვედაც უნდა გამოიყურებოდეს, სულ ერთია, უკვე ველარ შეძლებს ზოგი რამის თამაშს. პეჩორინს ველარასოდეს ვითამაშებ, რაღა დროსაა, საამისოდ მოვხუცდი. ეს 30 წლისას მაინც უნდა მექნა.

ამ მხრივ თაყვანს ვცემ გრეტა გარბოს, ყველაზე სწორი სვლის გამკეთებელს. მთელ მსოფლიოს ის განსაცვიფრებელ, ნიჭიერ, ლამაზ, მომხიბლავ ქალად ახსოვს იმიტომ, რომ დროზე წავიდა. ეს ერთობ გაბედული საქციელია.

***— არცთუ ცოტა თეატრალური პრემია გაქვთ. ყველაზე ძვირფასად რომელს თვლით?***

— ევგენი ლეონოვის სახელობის პრემიას ნოზდრევის როლისთვის „მისტიფიკაციიდან“. ამ როლმა „თოლიაც“ მომიტანა ჯილდოდ. კიდევ — ინოკენტი სმოკტუნოვსკის სახელობის პრემიას. „კერპზეც“ ვიყავი წარდგენილი, თუმცა, ნომინაცია ჩემთვის საკმაოდ უცნაური გახლდათ — დებიუტიო! თეატრში 13 წლის მუშაობის შემდეგ სადებიუტო რა მჭირდა!

**ის. მე-17 გვ.**

# მსახიობის ბედი ახალ რუსეთში

**მთელს მსოფლიოში ცნობილი ვეფხვების მომთვინიერებელი ნიჟნი ნოვგოროდში სიღატაკეში აღესრულა. მეზობლებმა განგაში ატეხეს: მარგარიტა პეტრეს ასული სამ დღეს არ გამოსულა ბინიდან. მაშველები მეხუთე სართულის ფანჯრამდე სახურავიდან დაეშვნენ, მინა ჩატეხეს.**

ქალი დიდ ოთახში იწვა ძველი ხალათითა და ჩუსტებით. როგორც ჩანს, გულმა უმტყუნა.

ბინაში მხოლოდ ფაიფურის კომპოზიცია „ვეფხვები“ გაგახსენებდათ მარგარიტა ნაზაროვას დიდების დღეებს. კიდევ — მატყლის საბანი ზედ დახატული ვეფხვით. დანარჩენი ძვირფასი ნივთები დიდი ხანია გაყიდა: პენსიის კაპიკებით ვერ იარსებებდა.

მას ცირკის სასტუმროში უხმობდნენ საცხოვრებლად, თუნდაც მცირე ხნით რომ დაეხსნათ გაუსაძლისობისგან. მსახიობი კი ყოველთვის ამაყად გააქნევდა ხოლმე თავს — მე არაფერი მჭირდება. ერთი სოსისი, 50 გრამი ყველი, პური, ჩაი — ეს იყო სახელგანთქმული მომთვინიერებლის დღიური ულუფა. ვაშლს მხოლოდ ზაფხულსა და შემოდგომაზე თუ ეღირსებოდა.



მსახიობის ვაჟი ალექსეი კონსტანტინოვსკი საფრანგეთში მუშაობს, ცირკში. უკანასკნელად ნიჟნი ნოვგოროდში შვიდი წლის წინათ ჩამოვიდა. ოჯახური ჩხუბიც მაშინ მოხდა, რომლის შემდეგ შვილმა შეწყვიტა დედის მონახულება...

**ინფორმაცია განსჯისათვის.** მარგარიტა ნაზაროვა 1926 წელს დაიბადა, ქალაქ პუშკინში (ლენინგრადის ოლქი). ომის დროს ტყვედ ჩავარდა. გათავისუფლებული, სამუშაოდ კოლექტივში მოეწყო — „ცირკი სცენაზე“, აკრობატული ეტიუდით. იყო ცხენზე მოჯირითე, ცირკის მოტომრბოლელი, მერე კი ვეფხვების მომთვინიერებელი. სახელიც მაშინ ეწვია. გადაღებულია ფილმებში „სახიფათო ბილიკები“ და „ზოლებიანი რეისი“.

**КП**

# კაბიანი მარკესი

**რუსეთულმა გამომცემლობამ „Азбука“ (სანკტ-პეტერბურგი) გამოუშვა ნორვეგიელი მწერალი ქალის ქრისტინ ვალას პირველი რომანი „მუსკატი“, თანაც ანოტაციაში ახალგაზრდა პროზაიკოსი მეგაპოპულარული ავტორის, პაულო კოელიოს პირდაპირ მემკვიდრედ მონათლა, ხოლო ნაწარმოები — ყველაზე ბრწყინვალე დებიუტად. ანოტაციამ, როგორც ჩანს, გასჭრა, ტირაჟი კარგად გასაღდა და „Азбука“-მ უკვე მეორე რომანი დასტამბა წარმატებული დებიუტანტისა. აი, პაულო კოელიო კი სულ არაფერ შუაში ყოფილა — საბედნიეროდ.**




საბედნიეროდ იმიტომ, რომ ნორდიული ხასიათის მიუხედავად, ქრისტინ ვალა თავს თვლის მაგიური რეალიზმის ტრადიციათა მიმდევრად. „მუსკატის“ მოქმედება კარიბის კუნძულებზე ხდება, განვითარება კი მთლიანად ექვემდებარება გარსია მარკესის მიერ დაწყებულ ტრადიციებს.

მთავარი გმირი ქალი ნორვეგიელი სტუდენტია, ახალგაზრდა კლარა იორგენსონი, მოგზაურობათა ჟინით ატაცებული. ფინანსური პრობლემებით როდია შეწუხებული — მშობლები მზრუნველობით შეუვსებენ ხოლმე ხელჩანთას დაუდგრომელ ქალიშვილს. 21 წლისათვის კლარამ ლამის დედამიწის ყველა კუთხე მოიარა და ყველგან ერთსა და იმავეს აკეთებდა: სეირნობდა, ისმენდა უცნობ ლაპარაკს და კითხულობდა წიგნებს.

ერთხელაც, საშობაოდ შინ დაბრუნებისას, თვითმფრინავში საზღვაო კაპიტანს ეცნობა და იხიბლება ცხოვრებისეული გამოცდილებითა და ჭეშმარიტი კეთილშობილებით გამორჩეული მამაკაცით. ისე იხიბლება, რომ საშობაო არდადეგებამდე ერთი კვირით ადრე მზადაა ცხრა მთას იქითაც გაჰყვეს კაპიტანს. ეს გადასაკარგავი კი ვენესუელის პატარა ქალაქი ვიდაბალა აღმოჩნდა. კლარას ოცნების გმირი მთელ დღეს ტურისტებს ასეირნებს საკუთარი იახტით, ქალიშვილი კი სახლიდან წამოღებულ წიგნებს ნთქავს, ესპანურ ენასა და კულინარიის საფუძვლებს სწავლობს. ერთ მომენტში გარემოს შეცვლას გადაწყვეტს და მთებში გაფრინდება საცხოვრებლად.

ანდებში მიკარგულ პაწაწინა ქალაქს თავისი უნივერსიტეტი ჰქონია და კლარა იქ თავისუფალ მსმენელად შედის. კითხვითა და ენებით გატაცებამ ის მასწავლებლის, გაბრიელ ანსელიკოს გაცნობამდე და შეყვარებამდე მიიყვანა.

რომანში კლასიკური სასიყვარულო სამკუთხედი და ის ვნებები როდი გველის, რომლებსაც მიჩვეული ვართ და „ლათინურს“ ვეძახით. ირკვევა, რომ ლათინურ ამერიკაშიც შეუძლიათ უაღრესად პლატონურად, მდუმარედ, შეფარვით სიყვარული. გაბრიელ ანსელიკო მორჩილად ხვდება ბედს და ჰგონია, რომ მთელი სიცოცხლე უცდიდა ამ ქალს, სხვა სამყაროდან მოსულ კლარას კი არ ძალუძს იმასთან დარჩენა...

ქრისტინ ვალა, როგორც თითქმის ყველა მდედრობითი სქესის მწერალი, სუფთა ემოციების ველში თამაშობს. აქ ადვილია წაფორხილება და ზედმეტ სენტიმენტალობაში ჩაცურება, ეგებ სულაც აშკარა უხამსობაში. ნორვეგიელი მწერალი ქალი ახერხებს არა მარტო სარწმუნოების, არამედ კარგი გემოვნების დონეზეც დარჩენას.

ასე რომ, ნორდიული ხასიათი არც კარიბის კუნძულებზე დაიკარგება.

## ქრონოგრაფი

### 23 დეკემბერი, 1912 წელი



**საფრანგეთში პოპულარულმა ჟურნალმა „La Nouvelle Revue Fransaise“-ემ უარი უთხრა ახალგაზრდა მწერალს მარსელ პრუსტს მისი პირველი რომანის „სვანის მიმართულებით“ დაბეჭდვაზე.**

უფრო მეტიც, მწერალი ამ რომანის გამოქვეყნებაზე სხვა გამომცემლობებმაც უარით გაისტუმრეს. ერთი წლის შემდეგ მარსელ პრუსტმა თავისი სახსრებით გამოაქვეყნა ეს რომანი. სწორედ ამ რომანმა დაუდო საფუძველი მსოფლიოში აღიარებული რომანების ციკლის „დაკარგული დროის ძიებაში“ გამოქვეყნებას. მარსელ პრუსტი ერთ-ერთ უდიდეს მწერლად აღიარეს.

### 24 დეკემბერი, 1814 წელი

**გენტის ზავით დასრულდა 1812 წლის ამერიკელების მიერ ინგლისელებისადმი გამოცხადებული ომი.**

ურთიერთშუღლის საბაბი ამ ორ ქვეყანას შორის მართლაც არსებობდა. ინგლისი დიდ წინააღმდეგობას უწევდა ამერიკას ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობის საქმეში. ამერიკას კი სურდა თავისი ტერიტორიების გაფართოება კანადის მიწების ხარჯზე. კანადა კი დიდი ბრიტანეთის კოლონიას წარმოადგენდა. ამ ორ ქვეყანას შორის დაწყებულმა ომმა სასურველი შედეგი ვერც ერთ მხარეს ვერ მოუტანა. გენტის ზავით ორივე ქვეყანამ დაიბრუნა მოწინააღმდეგის მიერ მიტაცებული ტერიტორიები. საზღვრები ომამდელი პირობებით დადგინდა.

### 25 დეკემბერი, 1946 წელი

**მოსკოვში ატომური ენერგიის ინსტიტუტში ურან-გრაფიტის ექსპერიმენტალურ რეაქტორში საბჭოთა კავშირში პირველად განხორციელდა ჯაჭვური ბირთვული რეაქცია.**



ექსპერიმენტს ხელმძღვანელობდა იგორ ვასილის ძე კურჩატოვი. ანალოგიური ექსპერიმენტი მსოფლიოში პირველად აშშ-ში განხორციელდა 1942 წელს მეცნიერთა ჯგუფის მიერ, რომელსაც ლეგენდარული ენრიკო ფერმი ხელმძღვანელობდა.

## ყველაფერი ყველაფერზე

### კანადელებმა ყველას გადაუსწრეს

**ნიუ-იორკში შედგა „ემის“ პრემიების გადაცემის 33-ე ცერემონია. ცხრიდან სამ კატეგორიაში პრიზები კანადის წარმომადგენლებს ხვდათ: იქაური ტელევიზიის მუშაკები გამოირჩნენ ნომინაციებში „საუკეთესო კომედიური სერიალი“, „საუკეთესო სერიალი ბავშვთა და ჭაბუკთათვის“ და „საუკეთესო მხატვრული პროგრამა“.**

კატეგორიაში „საუკეთესო დრამატული სერიალი“ ჯილდო ერგო დანიურ ფილმს „არწივი“, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ფინალისტთა ოთხეულში პირველად შესული რუსეთული პროექტი „კურსანტები“, აგრეთვე ბრიტანული ლენტები „ახალი რამეები“ და „მოჩვენებები“.

დოკუმენტურ სურათებს შორის აღინიშნა გერმანული „დრეზდენის დრამა“. საუკეთესო მსახიობ ქალად მიიჩნიეს ჩინელი ხე ლინი, საუკეთესო მსახიობ მამაკაცად — ფრანგი ტიერი ფრემონი. არხის „ITV“-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ჩარლზ ალანმა ჯილდო მიიღო, როგორც „საუკეთესო რეჟისორმა“. საუკეთესო გასართობ პროგრამად აღიარებულია „პირველი სიჩქარე“. ტელევიზიის განვითარებისთვის ჯილდო გადაეცა დღის თოქ-შოუთა ცნობილ ამერიკელ წამყვან ქალს ოპრა უინფრის.

### მავზოლეუმს კომუნისტები ყარაულობენ



**ბელადის უკანასკნელ თავშესაფარს კომუნისტებმა დამატებითი დაცვა დაუყენეს — იმის შიშით, რომ ემანდ, ხელისუფალთ ილიჩი წითელი მოედნიდან სხვა სასაფლაოსკენ არ გაუყენონო.**

— ჩვენ, რასაკვეირველია, გვესმის, რომ მაგათ შეუძლიათ ლენინის ფარულად წაღება. ამას წინ აღვუდგებით და ჩვენი აქციით მავზოლეუმის ბედისკენ მივაპყრობთ ხალხის ყურადღებას, — დაურწმუნებია „Собеседник“-ი რუსეთის ფედერაციის კომპარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელს.

წინააღმდეგობის გაწევა კი გადაწყვეტილია დღეში სამ-სამ საათს — 11-დან 14-ამდე. ყარაულად მორიგეობით დგანან მემარცხენე ორგანიზაციების წევრები და არა უბრალოდ დგანან, არამედ ხელმოწერებსაც აგროვებენ. განსაკუთრებული ხალისით უცხოელები აწერენ ხელს.

მოძრაობა „სუბტროპიკული რუსეთი“ ამასობაში კომპრომისულ ვარიანტს აყენებს — კი, მავზოლეუმი უნდა დავიცვათ, ოღონდ მაგისი შიგსართი აუცილებლად უნდა შეიცვალოს უფრო პოლიტკორექტული ფიგურით, იქ თვით ვლადიმერ პუტინი უნდა მოთავსდესო...

### ჰარი პოტერი ზღაპრულად გამდიდრდა

**ჯადოქარზე გადაღებულმა მეოთხე ფილმმა მთავარი როლის შემსრულებელი დანიელ რედქლიფი ინგლისში ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მოზარდად აქცია. მისი მომავალი ჰონორარი 14 მილიონი დოლარია ერთ სურათში.**

„ჰარი პოტერი და ცეცხლის თასი“ — ასე ჰქვია მეოთხე ლენტს ნორჩ ჯადოქარზე, რომელმაც წარმატებული სტარტი აიღო მსოფლიო გაქირავებაში: პირველივე კვირის ბოლოს 180 მილიონი დოლარი „მოიწია“ 19 ქვეყანაში და, ფაქტობრივად, უკვე აინაზღაურა თავისი ბიუჯეტი.

ეს გახლავთ მეოთხე შედეგი კინოს ისტორიაში — თავის დროზე უფრო მეტი შემოსავალი ჰქონდათ მხოლოდ „კაც-ობობას“, „ვარსკვლავურ ომებს-3“-სა და მეორე „შრეკს“. ვარაუდობენ, რომ რეჟისორ მაიქ ნიუელის გადაღებული „ჰარი პოტერი და ცეცხლის



თასი“ მთელ მსოფლიოში ერთ მილიარდამდე დოლარს აქაჩავს.

16 წლის დენიელ რედქლიფი, ჰარის როლის შემსრულებელი, უკვე მოხვდა დიდი ბრიტანეთის ყველაზე მდიდარ მოზარდთა შორის. წინ მხოლოდ პრინცები უილიამი და ჰარი „გაუშვა“. მალე კი სულაც თავში შეუძლია მოქცევა: ახალ სერიაში „ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი“ გასამრჯელო 14 მილიონ დოლარს შეადგენს...

# «რაღა დროს ჩემი პეჩორინია...»

(მეთექვსმეტე გვერდიდან)

***— ამბობენ, ბუნება ცნობილი მსახიობების შვილებზე ისვენებსო. თქვენ არტისტული ოჯახიდან ხართ...***

— ზოგჯერ ბუნება მართლაც ისვენებს... დედაჩემი რუსეთის დამსახურებული არტისტია, სტანისლავსკის სახელობის პრემიის ლაურეატი, ომსკის დრამატულ თეატრში მუშაობს. მამა, ნოჟერი ჭონიშვილი, 1987 წელს გარდაიცვალა. ომსკის მსახიობის სახლი მის სახელს ატარებს. თქვენ მამაჩემი ფილმ „დენთიდან“ უნდა იცოდეთ, რომელსაც ტელევიზია ხშირად უჩვენებს. ორივე, დედაც და მამაც შესანიშნავ, ბოლომდე ვერრეალიზებულ მსახიობებად წარმოდგებიან...

***— სერიალებზე რაღას იტყვით? ახლა მიღებულია მათი გაქილიკება...***

— მაინც რომ უყურებენ! აიღეთ „პეტერბურგის საიდუმლოებანი“. ეს სერიალი არც კია, მრავალსერიანი კინოა, ჯიშიანად ნაკეთები. სამმა არცთუ ახალგაზრდა კაცმა, რაღაც სამ კაპიკად, მოამზადა მიმზიდველი ისტორია. ასეთი მოცულობით პირველად აღმოვჩნდი ფილმში. შემდეგ იყო ელენე ციპლაკოვას „ოჯახური საიდუმლოებანი“. ყველა პერსონაჟიდან, რომლებიც კინოში მითამაშია, ასე თუ ისე ჩემი ადეკვატურია „შუადღის დემონის“, „დაცვის უფლების“ გმირები. „დაცვისა“ იმიტომაც, რომ ტექსტის 45 პროცენტი ხელახლა გადავწერე.

***— საკუთარ ხასიათზე რა აზრისა ხართ? მხიარული თუ ხართ, კომპანიური?***

— არ ვიცი. არ მიყვარს დიდი კომპანიები, მეგობრებთან უშუალოდ მირჩევნია ურთიერთობა. მარტოობა მომინდება ხოლმე. მომწონს მარტო ყოფნა. ჩემს თავთან დარჩენა უფრო მაინტერესებს, ვიდრე სხვებთან, თუმცა, საკუთარი თავი არ მიყვარს. სასწაულებრივად ზარმაცი კაცი ვარ.

ერთი კარგი თვისება კი მაქვს: ძალ-ღონის აღდგენა თუ მჭირდება, შემიძლია 15-20 წუთით დაწოლა, ორგანიზმის გათიშვა და მხნედ წამოდგომა, თითქოს სამი საათი მძინებოდეს. სამუშაო დღეს ადრე ვიწყებ. ჩაფლული ვარ ჩემს პროფესიაში: ვახმოვანებ დოკუმენტურ კინოს, რეკლამას, კორპორაციულ ფილმებს. არ ვყიდი ტელევიზორებსა და მაცივრებს, არც ავტომობილების გადამყიდველი გახლავართ. ახლახან მომილოცეს უკრაინის კინოს დღე: სერიალი, რომელშიც ამჟამად მიღებენ, ჩემი უკვე მერვე სურათია ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. „დურდომი“ ჰქვია...

„КУЛЬТУРА“

# „ცინიკოსი არა, უფრო მიზანთროპი ვარ..."

**ლარს ფონ ტრიერი ევროპულ კინოში საზოგადოებრივი სიმშვიდის ერთ-ერთ მთავარ დამრღვევად ითვლება. მან გამოიგონა „დოგმა", გადაიღო ამერიკელთა აღმაშფოთებელი „დოგვილი", „მანდერლეი" და აპირებს ამერიკაზე კინოტრილოგიის დასრულებას, უნდოდა ოპერაშიც ძალების მოსინჯვა, როცა ბაიროიტში ვაგნერის „ნიბელუნგების რგოლის" დადგმას დათანხმდა, თუმცა შემდეგ ამ პროექტზე უარი თქვა. ჟურნალ „შპიგელის" კორესპონდენტი შეეცადა ცნობილი რეჟისორის გემოვნებებსა და პოლიტიკურ შეხედულებებში უფრო დაწვრილებით გარკვევას.**

***— ბატონო ფონ ტრიერო, თქვენი ახალი ფილმის „მანდერლეის" მოქმედება კვლავ ამერიკაში ხდება, თუმცა იქ არასოდეს ყოფილხართ. რითი გიზიდავთ ეს ქვეყანა ასე?***

— ჩვენ ყველანი ამერიკული კულტურის გავლენის ქვეშ გავიზარდეთ. ბავშვობაში აღტაცებით ვნახულობდი უოლთ დისნეის მულტფილმებს და ამერიკა ჯადოსნურ ქვეყნად მეჩვენებოდა. შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ზე წარმოდგენებს კვატუნა დონალდზე გადაღებული სურათებიდან და კომიქსებიდან ვიქმნიდი.

***— მკვეთრი შემობრუნება გამოგივიდათ — დონალდის თაყვანისმცემლიდან საერთაშორისო რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მოწინააღმდეგემდე...***

— ჩემი მშობლები სოციალისტები და აშშ-ის პოლიტიკის მოძულენი იყვნენ, ბავშვობაში მეც ვიზიარებდი მათ შეხედულებებს...

***— ბევრ მაყურებელს აღიზიანებს ის, რომ აშშ-ზე იღებთ ფილმებს, ამ ქვეყანაში ჩაფრენა და ყველაფრის საკუთარი თვალით ნახვა კი არა გსურთ.***

— არ მინდა ამაზე ენერგიის დახარჯვა. ეგეც რომ არა, მეშინია ფრენისა და თვითმფრინავში ცუდად ვხდები. თუმცა აშშ-ში მგზავრობა რომ შედიოდეს ჩემს გეგმებში, იქ დიდი ხნის წინათ ჩავიდოდი.

***— რობერტ ლუის სტივენსონი წერდა, რომ მოგზაურს უნდა ჰქონდეს იმედგაცრუების უნარი. გეშინიათ, ამერიკა არ მომეწონებაო?***

— ვაითუ ღვეზელები გაცილებით უარესი აღმოჩნდეს, ვიდრე კვატუნა დონალდს ჰქონდა.

***— თქვენს ახალ სურათში — კვლავ „მანდერლეის" ვგულისხობ — ლაპარაკია რასობრივ პრობლემებზე. ყოფილი მონები განთავისუფლების შემდეგაც ძველი წესებით ცხოვრების მოსურნენი არიან.***



— ჩემზე ძალიან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ფრანგი მწერლის ჟან პოლხანის ეროტიკულმა რომანმა „ბატონი ო-ს ისტორია", ქვესათაურით „ბედნიერება მონობაშია". ავტორი მოგვითხრობს კარიბის ზღვის კუნძულზე, ბარბადოსზე მცხოვრები ყოფილი მონების შესახებ. ისინი სთხოვდნენ მებატონეს, ისევ მონებად გვამყოფეო და როცა უარი მიიღეს, ამ კაცსაც და მაგის ოჯახსაც სასტიკად გაუსწორდნენ.

***— „მანდერლეის" გმირი ქალი გრეისი ალაბამაში, პლანტაციაზე ცდილობს მონობის გაუქმებას და მართვის დემოკრატიული სტრუქტურის შემოღებას ძალით, ზუსტად ისე, როგორც ერაყში, აშშ-ში.***

— ვერ ვიტყვი, თითქოს ერაყის მცხოვრებნი სადამის ხელისუფლების დროს უკეთ ცხოვრობდნენ, ვინემ ახლა. მე მხოლოდ ვფიქრობ, რომ დემოკრატიაზე ამერიკულ წარმოდგენას დემოკრატიული არ უნდო უწოდო: იმ იდეას, რომ ყოველი ადამიანი რაც შეიძლება მეტი ფულის შოვნას უნდა ცდილობდეს, — რაც თითქოს სარგებლობას მოიტანს, მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრულის გაღრმავებამდე მივყავართ. დანიაში ერთმა ჩვენმა მინისტრმა ამას წინათ ბრძანა: ვიზრუნებ, რომ ჩვენს საზოგადოებაში რაც შეიძლება ნაკლები იყოს თანასწორობაო. ეს არ არის დემოკრატიაზე ჩემი წარმოდგენა.

***— კრიტიკოსთა უმეტესობა ცინიკოსად გთვლით.***

— ცინიკოსი არა, უფრო მიზანთროპი ვარ.

***— კინოში ხშირად დადიხართ?***

— დიდი ხანია, არ ვყოფილვარ. მე და ჩემი ცოლი შინ ვუყურებთ ფილმებს. მხოლოდ კანში ჩავდივარ, კინოფესტივალებზე.

***— 2006-ში ვაგნერის „ნიბელუნგების რგოლის" დადგმას აპირებდით ბაიროიტის ფესტივალზე. რატომ გადაიფიქრეთ?***

— ტექნიკური მიზეზების გამო: იმისათვის, რომ სცენაზე ყველაფერი მაქსიმალურად რეალისტური იყოს, არ უნდა დამეშვა არავითარი აბსტრაქცია და თეატრალობა, როგორც ჩემს ბოლო სურათებში. ოღონდ მალე მივხვდი, რომ სპექტაკლი დაიღუპება იმისი მონუმენტურობით, რომ ჩანაფიქრის რეალიზებას მხოლოდ 30 პროცენტით შევძლებ. ეს ძალიან ცოტაა. ახლა უკვე მენანება „რგოლის" პროექტზე დახარჯული დრო. ორი სათამაშო ფილმის დადგმას შევძლებდი ამ ვადაში.

***— ადრე თქვენს ოფისში ლუდვიგ II-ის, ვაგნერის მეგობრისა და მფარველის ფოტოგრაფია ეკიდა.***

— ეგ არ ნიშნავს, რომ შემჯავრდა. ჩემს მეორე ვაჟს ხომ ლუდვიგი დავარქვი. ახლა ფოტოსურათის მოცილება იმიტომ გადავწყვიტე, რომ სპარტანელივით ან ბერივით ვცხოვრობ. მარკიზ დე სადმა წერა საპყრობილეში დაიწყო. მეც მინდა ჩემი თავის ჩასმა საპატიმროში, თუმცა, ჰამლეტს თუ დავუჯერებთ, უკვე ვიმყოფები იქ. დანია ხომ საპყრობილეა!

„КУЛЬТУРА"

# ისევ ჯუნა

**გასული საუკუნის მიწურულს სახელგანთქმულმა მკურნალმა, მსოფლიოს 129 აკადემიის აკადემიკოსმა ევგენია დავითაშვილმა, ჯუნას სახელით ცნობილმა, ხან ასირიის მეფედ გამოაცხადა თავი, ხან ნიკოლოზ II-ის შვილთაშვილად, ხანაც თავადის ქალის ოლგას პირდაპირ მემკვიდრედ. ამასთან ერთად, პატივში იყო რუსეთის ყველაზე გავლენიან ადამიანებთან, რომელთაც გულუხვად ჩუქნიდა სათავადაზნაურო სიგელებს... რუსეთის აზნაურთა საზოგადოების, „რუსეთის ახალი ელიტის" რეგენტთა საბჭოს სახელით. სავსებით სერიოზული პიროვნებანი კი, როგორი უცნაურიც არ უნდა გვეჩვენოს, მადლიერების გრძნობით იღებდნენ მისი ხელიდან ჯილდოს. მაგალითად, ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ბაიბაკოვი თავადი გახდა, სენატორი ლუდმილა ნარუსოვა კი — თავადის ქალი.**



— არ დაგიმალავთ, ჯუნასგან სიგელის მიღება ძალიან სასიამოვნოა, — თავს იწონებდა შეძენილი ტიტულით სობჩაკის ქვრივი და ჰყვებოდა, რომ ფესვებით მართლაც არის აზნაური და ჯიშიერება განსაკუთრებით იგრძნობა მის ქალიშვილში, ქსენიაში, რომელსაც ვიწრო კოჭი აქვს.

ჯუნას საჩუქრით ამაყობს გრაფად ქცეული ალექსი მიტროფანოვიც, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. შესაბამისი სიგელი მან თავის აგარაკზე კედელზე დაკიდა და ახლა დივიდენდებს იმკის.

— აი, ჩამოდიან ჩემთან ქალიშვილები, — გვიხსნის ტიტულის უპირატესობას მიტროფანოვი, — ხედავენ სიგელს და შეჩქვიფებული რჩებიან: ვიღაც დეპუტატს კი არა, მთელ გრაფს შეეყარნენ.

***— ჰოდა, ახლა როგორ უნდა მოგმართოთ?***

— „თქვენო ბრწყინვალებავ".

***— ხუმრობთ?***

— არა, რატომ. ჯუნას ტიტულს ერთობ სერიოზულად ვეპყრობი. მაგ ქალის საზოგადოების წევრები არიან იური ლუჟკოვი, ზურაბ წერეთელი, და კიდევ, სადღაც, 1989 წელს, ჯუნამ მალტის ჯვრით თვით ელცინი დააჯილდოვა და მანაც მადლიერებით მიიღო.

ამასობაში ინტერნეტში საგულისხმო განცხადებები გამოჩნდა. ჯუნას მიერ დაარსებული რუსეთის აზნაურთა საზოგადოების სახელით უცნობი კომპანია აზნაურული ტიტულების გაფორმებას ჰპირდება ყველა მსურველს, იუსტიციის სამინისტროს ნებართვის დამოწმებით.

# ყველაფერი ყველაფერზე

## შიშკინსა და მალევიჩს ფასი ემატებათ

**რუსულ ხელოვნებაზე მსოფლიოში სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება. ამის დადასტურებაა ლონდონში ბოლო აუქციონის „Bonrams". შიშკინის, აივაზოვსკის, მალევიჩის ტილოების, აგრეთვე ფაბერჟეს სახელოსნოს ნაწარმოებთა გაყიდვამ ორ მილიონამდე ფუნტი სტერლინგი მოიტანა.**



ყველაზე ძვირ „საქონლად" აუქციონზე გამოფენილ პროდუქციაში გავიდა შიშკინის „ტყის პეიზაჟი", გაყიდული 296,8 ათას ფუნტ სტერლინგად. აივაზოვსკის „ადრიანი საღამოს წყნარი ზღვა" 219 ათასად გაიყიდა, ნესტეროვის „ქალი ტრადიციულ კოსტიუმში" — 200 ათასად. ქალაქ ლიდსში, ერთი სახლის სხვენზე შემთხვევით მიგნებულმა ბონდარევსკის ნამუშევარმა „მწყემსი გოგონას პორტრეტმა" კი ორჯერ გადააჭარბა სასტარტო ფასს და 84 ათასი ფუნტი სტერლინგი შემოიტანა.

## დაიწვება თუ არა?

**ამბობენ, თითქოს დიმიტრი ნაბოკოვი აპირებს სახელგანთქმული მწერალი მამის, ვლადიმერ ნაბოკოვის ანდერძის შესრულებას და მისი უკანასკნელი რომანის «The Original of Laura» („ლაურას დედანი") ხელნაწერის განადგურებას... ცეცხლში.**

ამის თაობაზე გაზეთი „თაიმსი" წერდა, მაგრამ როცა თვით დიმიტრის ჰკითხეს, შემდეგი განუცხადებია:

— მსგავსი რამ პრესისთვის არასოდეს მითქვამს. კერძო საუბრებში ეგებ მევარაუდა კიდევაც ეს, მშობლის გამოსასარჩლებად. საქმე ის არის, რომ არ წყდება მამაჩემზე ბინძური თავდასხმები. მაგალითად, „ლოლიტა" ერთ-ერთი „ნაბოკოვთმცოდნის" მტკიცებით, შეფარვით გამოხატავს სექსუალურ ურთიერთობებს ვლადიმერ ნაბოკოვსა და ბიძამისს შორის... მინდოდა „ლაურას" დაცვა უღირს მკვლევართაგან. ამ დაუმთავრებელი რომანის პუბლიკაციის ან მოსპობის ძნელი საკითხი ამიტომაც რჩება ღიად.

35-40 თაბახის მოცულობის ხელნაწერი ჯერჯერობით ქალაქ მონტრეში, შვეიცარიულ ბანკში ინახება.

## გათბობა იაპონურად

**მაღალტექნოლოგიური ამომავალი მზის ქვეყნის ერთმა ცნობილმა ქვედა საცვლის მწარმოებელმა კომპანიამ ერთობ გონებამახვილური სიახლე გამოუშვა მოდის მიმდევარ, მაგრამ მცივანა ქალთათვის — გათბობიანი ლიფები.**

ბიუსტჰალტერის „სათავსებში" სპეციალურ სითხეს ასხამენ, რომელიც ადამიანის სხეულის სითბოს აკუმულირებას ახდენს, მოქმედებს რა თერმოსის პრინციპით.

ეგ რა არის — საცვლის მწარ-



მოებლებმა ქალის ტანის ქვედა ნაწილის „გაუმყინვარებაზეც" იზრუნეს. შემუშავებული გათბობიანი ტრუსები მოწოდებულია ყინვაარამდგრადი ქალის მუცლების დასაცავად.

რუსეთელი სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მკერდზე გარეშე ზემოქმედებას კარგი არაფერი მოყვება. ტემპერატურის თუნდაც ნახევარი გრადუსით აწევას ორგანიზმში მიმდინარე ბუნებრივ პროცესებზე სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია. ეგ იმიტომ, რომ ადამიანის სხეული რთული და აწყობილი მექანიზმია, რომელიც დამოუკიდებლად არეგულირებს თავის მუშაობას. ყველა ეს ახალმოდური ზედმეტობანი — გათბობიანი ლიფუნები, სილიკონიანი იმპლანტანტები, პირსინგი არღვევენ ბუნებრივ სისხლის მიმოქცევას და მხოლოდ უსარგებლო სარეკლამო ტრიუკებს წარმოადგენენ, ზოგჯერ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის სახიფათოსაც.

## მადონამ ფილმების გადაღებაც მოისურვა

**ბრიტანეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში პოპსაოცრებამ მადონამ აღიარა, რომ საკუთარი თავის შესახებ დოკუმენტურ სურათზე მუშაობამ კინორეჟისორობის მოსინჯვის სურვილიც გაუღვიძა.**



**„ერთობ შთაგონებული დავრჩი ფილმის შექმნის პროცესით და თვით წარმოების გარშემოც ძალიან ბევრი შევიტყვეო", — უთქვამს ბრიტანელი რეჟისორის გაი რიტჩის მეუღლეს.**

47 წლის მადონა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პოპვარსკვლავი გახლავთ. მისი ახალი დისკი „Confessions on a Dance Floor" სათავეში უდგას ბრიტანულ ჰიტ-ალლუმს. მომღერალმა ქალმა კინოში გადაღება დაიწყო ჯერ კიდევ 1980-იანი წლების შუაში, თუმცა კრიტიკოსების აღტაცება მაშინ არ გამოუწვევია. მხოლოდ შუა 1990-იანში შეასრულა აღიარების მომტანი როლი: „ოქროს გლობუსი" ფილმ-მიუზიკლში „ევიტაში" თამაშისთვის მიანიჭეს. გაი რიტჩის როცა ცოლად გაჰყვა, მის სურათში „წაღებულნი" ითამაშა მთავარი როლი, თუმცა ფილმი გაქირავებისას ჩაფლავდა.

## დიასახლისის მესამე ხელი

**ელექტრო აირღუმელები და საცხობები ჯერ კიდევ არ ითვლება მობილურ ხელსაწყოებად, რადგან მათი ამუშავება ელექტროხაზის გარეშე მცირე აკუმულიატორებით შეუძლებელია. ეს დიასახლისებს პრობლემას უქმნის, რასაც ვერ ვიტყვით ელექტროსაპარსებსა და ელექტრობლენდერებზე, რომლებიც ბატარეების საშუალებით მუშაობენ. და აი, სიახლეც, სამზარეულო ხელსაწყოებს შორის პირველად მინიბატარეა-ელემენტზე ამუშავდა ბლენდერი Bosch Mixxo.**

იგი აკუმულიატორით მუშაობს და დიასახლისებს საშუალება ეძლევათ კრემები, სხვადასხვა თხიერი ცომი ნამცხვრებისთვის, ხილეულის პიურე, მაიონეზები, კოქტეილების მსხვრევადი დაქუცმაცებული ყინულები, სუპ-პიურეები სამზარეულოს გარეთ დაამზადონ ტელევიზორებთან მოკალათებულებმა. მიქსერ-ბლენდერის გრძელი „ფეხის“ საშუალებით ინგრედიენტების შემზადება ღრმა ქვაბშიც შესაძლებელია. მიქსერს დამატებით მოყვება თხილის, კაკლის, ყველის, მწვანილეულის დასაქუცმაცებელი კბილფეხა. მისი საშუალებით შესაძლებელია ხორცისა და თევზის ფარშის დამზადება. სახელურზე მოთავსებული სხივური დიოდის საშუალებით შეგიძლიათ განსაზღვროთ თუ რამდენი დროით შეიძლება ამუშაოთ მიქსერი. ელექტროენერგიის „გამოლევისთანავე“ დამტენ აკუმულიატორით მცირეოდენ ხანში გეძლევათ საშუალება კვლავ გააგრძელოთ სამუშაო.



## მრავალპროფილიანი მობილური

მსოფლიოში პოპულარული Walkman-ი ზოგიერთი მოსაზრებით იაპონელმა აკიო მორიტომ 1979 წელს გამოიგონა. იგი ფირმა Sony-ს დამაარსებელი და ამავე კორპორაციის ხელმძღვანელი გახლდათ. შვილები სახლში თავისი საყვარელი მუსიკის მოსმენას არ აცდიდნენ. კაცია და გუნება — მათ სულ განსხვავებული გემოვნება ჰქონდათ და განაწყენებულმა მორიტომ შექმნა თავისთვის „ეგოისტური“ მინიფირფიტა დამკვრელ-მოსასმენი. სულ მალე მინიფირფიტა საკრავი XX საუკუნის მიწურულის სიმბოლოდ იქცა. ახლა კომპანია Sony Ericsson არა მარტო მინიფირსაკრავებს, არამედ მობილურ ტელეფონებსაც უშვებს. ფირმის სიახლეა Sony Ericsson W800i, რომელიც მინიფირსაკრავს, მობილურ ტელეფონსა და ციფრულ ფოტოაპარატს აერთიანებ. პლეერი და მობილური ტელეფონი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მუშაობენ. საყვარელი მუსიკის ან სიმღერის მოსმენისას თუ ვინმემ დაგირეკათ პლეერი ავტომატურად ითიშება, საუბრის დამთავრებისთანავე, თავისით განაგრძობს დაკვრას. შესაძლებელია მობილურ ტელეფონში სასურველი მუსიკის ჩაწერა. მძლავრი აკუმულიატორით შესაძლებელია საყვარელ სიმღერებს 30 საათის განმავლობაში უსმინო. ტელეფონის მახსოვრობაში შესაძლებელია 125 სიმღერის ჩაწერა, რასაც უზრუნველყოფს 512 მეგაბაიტიანი მოცულობის ბარათი Memory Stick PRO Duo. შესაძლებელია მახსოვრობის გაზრდა 2 გიგაბაიტამდე. მობილურ ტელეფონ W800i-ს აქვს ციფრული ფოტოკამერა ავტომატური ფოკუსით. გამორთვის შემთხვევაში ობიექტივს სპეციალური დამცავი საფარი ეკვრის. „ვიდეომაძებრის“ როლში გვევლინება ტელეფონის დისპლეი (ეკრანი), რომლის შესაძლებლობაც 176X220 პიქსელია, მას შეუძლია აღიქვას 262 ათასი ფერი.





## ჯეიმს ბონდის ელექტროსაპარსი

1985 წელს ლეგენდარულმა აგენტმა ჯეიმს ბონდმა, რომლის როლსაც როჯერ მური ასრულებდა, პირველად გამოიყენება სამდანიანი ელექტროსაპარსი Philips. დრო გადის, ფილმებში გამოყენებული ტექნიკა სინამდვილეშიც იკიდებს ფეხს, უფრო მეტიც, სრულყოფილი, ეფექტური და ხარისხიანი ხდება. ამის დასტურია ცნობილი ფირმა Philishave Smart-Touch-XL-ის მიერ შექმნილი ელექტროსაპარსი. სამი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მომუშავე როტორი არამარტო სუფთად პარსავენ ადამიანს, არამედ სახის ნაოჭებსა და უმნიშვნელო ჩაღრმავებებსაც არ ეპუებიან. ახალ საპარსს სუპერდანების გარდა დამონტაჟებული აქვს ელემენტების მუშაობის ხანგრძლივობის, სამართებლის პირის დაბლაგვებისა და დაჭუჭყიანების ხარისხის აღმნიშვნელი მოწყობილობა, აგრეთვე ელექტროსაათი.



## ეგზოტიკური ავტო

**როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების მეგაპოლისებში გადაადგილება უფრო რთულია, ვიდრე პატრიარქალურ ევროპაში. ეს, ალბათ, ერთ-ერთი პირველი აზრია, რომელიც კაცს მოუვა, როცა ახალ ამერიკულ პაწაწინა ავტომანქანა “Tango T600”-ს ნახავს. მინიატიურული ევროპული “Smart”-ისგან განსხვავებით, რომლის სიგანე 152 სანტიმეტრია, მისი „განივი“ გაბარიტი მეტრზე ნაკლებია და 99 სანტიმეტრს შეადგენს!**

ამ ელექტროავტომობილის, სალონში მხოლოდ ორი კაცი, ისიც არა გვერდი-გვერდ, არამედ დაწალიკებით ეტევა. ნახშირბოჭკოსგან დამზადებული პაწაწუნას ძარა ისეთი ფორმისაა, რომ მკვეთრი მანევრების შესრულებისას გადაყირავებას გამორიცხავს. “T600”-ის სალონში ჩაჯდომა ორი ტრადიციული კარიდან შეიძლება. ასეთი მცირე გაბარიტების მიუხედავად, მანქანის წონა საკმაოდ სოლიდურია — იგი თითქმის ტონანახევრის სიმძიმისაა. მათ შორის, აკუმულატორის „წილი“ 450 კილოგრამია, რომელიც “T600”-ის უკანა მხარეს მოთავსებულ ორ ელექტროძრავას კვებავს. თავის ზომებთან შედარებით „ტანგოს“ „გულს“ დაუჯერებლად ძლიერი მბრუნავი მომენტის განვითარება შეუძლია, რომლის მაქსიმუმი 1355 H/m-ს აღწევს. ამის წყალობით “T600”-ს ოთხ წამში საათში დაახლოებით 100 კილომეტრის „აჩქარება“ შეუძლია, ხოლო მაქსიმალური სიჩქარე 240 კმ/სთ-ია შეზღუდული.



იმისთვის, რომ ესოდენ დიდ სიჩქარეზე ასეთმა ვიწრო მანქანამ წონასწორობა არ დაკარგოს, კონსტრუქტორებმა სტაბილიზაციის დაპატენტებული სისტემა გამოიყენეს. ქალაქური ელექტრობოლიდის საკიდარას თავისუფლად შეიძლება სპორტული ეწოდოს.

ალტერნატიულ „უთოზე“ ყველაზე დიდი მოთხოვნა, როგორც ვარაუდობენ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მრავალმილიონიან ქალაქებში იქნება, ხოლო ელექტრომობილის ფასები 85 ათასი დოლარიდან იწყება.

“Tango”-ს გამარტივებულ ვერსიების ნაკლებად მძლავრ “Tango T200”-სა და “Tango T100”-ს ბაზარზე მოგვიანებით გამოუშვებენ, ხოლო მათი ფასები, შესაბამისად, 39,9 ათასი და 18,9 ათასი დოლარი იქნება.

## არაყი ონკანიდან მოსჩქეფდა

**ბრიტანელმა მულტიმილიონერმა რიჩარდ კარინგმა, ეგზოტიკის მოყვარულმა და ორიგინალმა, პეტერბურგში, იუსუფოვისა და ეკატერინეს სასახლეებში საქველმოქმედო მეჯლისები გამართა ინგლისელ არისტოკრატთა და ვარსკვლავთათვის.**

5 ათასი ფუნტი სტერლინგის ღირებულების, „მატრიოშკებში“ ჩადებული, ლამაზად გაფორმებული მოსაწვევი ბილეთები რომ მიიღეს, პიტერში, ორმოცი კერძო თვითმფრინავით, ზედიზედ ჩამოფრინდნენ **ელტონ ჯონი, თინა თერნერი, ტინგი, ბილ ქლინთონი, ნაომი ქემფბელი, ელიზაბეთ ჰერლი,** არისტოკრატები და მილიონერები. იუსუფოვის სასახლის დიდებულ თეატრში სტუმრებს მარიამელ ვარსკვლავთა კონცერტი უჩვენეს. ბანკეტზე კი ყველა განაცვიფრეს ყინულის ქანდაკებებმა ტაძრისა და დათვის გამოსახულებებით, სადაც ჩატანებული ონკანებიდან უხვად იღვრებოდა არაყი. საუზმეული — წითელი და შავი ხიზილალა ბლინურებთან ერთად, მწვადი, ფრუგრა, ეგზოტიკური ხილი...

სტუმრების წინაშე გამოვიდნენ თინა თეტრნერი და ელტონ ჯონი. ამ უკანასკნელს დეკემბერში განზრახული აქვს საზეიმო მიღების მოწყობა პეტერბურგში — ძველ მეგობართა, დევით ფარნიშთან ქორწინების აღსანიშნავად. თვით ქორწილი (ჰომოსექსუალური!) დიდ ბრიტანეთში 21 დეკემბერს შედგება.

პეტერბურგში მოწყობილი მეჯლისების შემოსავალი სექსუალური ძალადობის მსხვეორპლ ბავშვთა საერთაშორისო ფონდს გადაეცემა.

## შუქნიშნები ერთმანეთს „დაელაპარაკებიან“

**უახლოეს რამდენიმე წელიწადში იაპონიის გზატკეცილებზე პრინციპულად ახალი, „გონიერ“ შუქნიშნებს დადგამენ.**

თავისი არსით, ეს იქნება გზაზე შექმნილი ვითარების მაკონტროლებელი კომპიუტერები, რომლებიც დააკვირდებიან მოძრაობის სიჩქარესა და ტრანსპორტის ნაკადის სიმკვრივეს. ასეთი ინფორმაციის მქონე შუქნიშანს შეეძლება მისი ლოკალური ქსელით გადაცემა თავისი „მოძმისთვის“ და ამგვარად თავიანთი მოქმედებები კოორდინირებული გახადონ. ასეთი ინტელექტუალური სასიგნალო მოწყობილობები — ტრანსპორტის მოძრაობის მართვის ახალი სისტემის ნაწილია. შუქნიშნების გარდა მასში მონაწილეობას მიიღებენ გადამცემები, რომლებსაც გზისპირზე დაამონტაჟებენ. მათ მიერ შეკრებილ ინფორმაციას მძღოლები უშუალოდ ავტომანქანის სანავიგაციო სისტემით შეიტყობენ. იაპონიის ზოგიერთ რაიონში ეს სისტემა უკვე გამოსცადეს და მან სავსებით გაამართლა. თუმცა მთელ ქვეყანაში მის დასანერგად საჭიროა 7 მილიონი დოლარი — ეს სწორედ ის თანხაა, რომლის გამოძებნას ამჟამად იაპონიის პოლიციის ეროვნული სააგენტო ცდილობს.



## მშვიდობით, საქარე მინის მწმენდავებო!

**რამდენიმე წლის შემდეგ მრავალი პროფესიონალი თუ მოყვარული ავტომობილისტი შვებით ამოისუნთქებს, ხოლო ავტომანქანის საქარე მინის მწმენდავები ხმარებიდან გამოვა.**

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა მაიკლ რაბნერის ხელმძღვანელობით საქარე მინის ახალი საფარი შეიმუშავა, რომელსაც წვიმისა და ნისლის „არ ეშინია“. იგი კვარცის ნანონაწილაკებისგან შედგება და წვეთები მასზე არ წარმოიქმნება. წყლის ნაკადი მასზე თანაბრად ნაწილდება და თხელ, ურღვევ, სრულიად გამჭვირვალე აპკს წარმოქმნის. რაბნერის ჯგუფის ნოუ-ჰაუმ შესაძლოა მძლავრი კონკურენცია გაუწიოს ნისლსაწინააღმდეგო სარკეებსა და იმავე საქარე მინის მწმენდავებს. რაბნერის გამოგონებით უკვე დაინტერესდა მთელი რიგი სამხედრო უწყება და ზოგიერთი ავტომანქანის მწარმოებელი ფირმა. როგორც ჩანს, ახლო მომავალში პროექტი სამშენებლო კომპანიებისა და სხვადასხვა ოპტიკურ ხელსაწყოთა მწარმოებლების ყურადღებასაც მიიპყრობს, ვინაიდან ახალი, უორთქლავი და დაუსველებელი შუშების ჩასმა ჩვეულებრივ ფანჯრებშიც შეიძლება და სათვალეშიც.


**შპს „საქართველოს რკინიგზის“ ქონების მართვის სააგენტოს მიწათსარგებლობის ჯგუფის 4 ვაკანსიაზე ვადიანი ხელშეკრულებით ასაყვან თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი**

**ქონების მართვის სააგენტოს მიწათსარგებლობის ჯგუფის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. განათლება
• უმაღლესი;
• მიწათმოწყობა, არქიტექტურა, კომპიუტერული პროგრამები **(PenMap, Map500, ArcView, Excel და Word)** ან უძრავი ქონების სპეციალისტი;
• ქვეყნის მასშტაბით კადასტრისა და საჯარო რეესტრის პროგრამის **KFW-ს** პროექტის კურსდამთავრებული (სათანადო სერტიფიკატი) ან სათანადო გამოცდილებით;
• **Pen Map/GIS და GPS-DPT** სპეციალისტი;

2. მუშაობის გამოცდილება:
• არქიტექტურა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ქვეყნის მასშტაბით მიწის (უძრავი) ქონების რეგისტრაციის პროექტების **KFW-ს, USAID-ის** ან სხვას კონტრაქტორი, სამუშაოზე მუშაობის სტაჟი მინიმუმ 1 წელი;
• ველზე მუშაობის გამოცდილება;
• ხელსაწყოებზე (**GPS-DPT, Potosmart R717 digital camera, Plotters DJ 500 42“, Notebooks)** მუშაობის გამოცდილება.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 22 დეკემბერი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოაგზავნონ:

1. CV;
2. ავტობიოგრაფია;
3. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის ასლი;
(დიპლომი, სერტიფიკატი);
4. პირადობის მოწმობის ასლი;
5. შრომის წიგნაკის ასლი;
6. ორი ფოტოსურათი.

**მისამართი:**
**შპს „საქართველოს რკინიგზა“**
**თამარ მეფის გამზირი № 15**
**ქ. თბილისი**
**ტელ: 56-53-19(18), 899 700 727**

ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები

**უეფას თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი. V ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** „მონაკო“ — ცსკა 2:1, „ჰამბურგი“ — „სლავია“ 2:0. ისვენებდა „ვიკინგი“.

**საბოლოო მდგომარეობა:** „მონაკო“, „ჰამბურგი“ — 9-9, „სლავია“, „ვიკინგი“ — 4-4, ცსკა — 3 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „ესპანიოლი“ — „მაკაბი“ 1:0, „პალერმო“ — „ბრონდბიუ“ 3:0. ისვენებდა „ლოკომოტივი“.

**საბოლოო მდგომარეობა:** „პალერმო“, „ესპანიოლი“ — 8-8, „ლოკომოტივი“ — 7, „ბრონდბიუ“ — 4, „მაკაბი“ — 0 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „ლანსი“ — „სამპდორია“ 2:1, „ჰერტა“ — „სტიაუა“ 0-0. ისვენებდა „ჰალმშტადი“.

**საბოლოო მდგომარეობა:** „სტიაუა“ — 8, „ლანსი“ — 7, „ჰერტა“ — 6, „სამპდორია“ — 5, „ჰალმშტადი“ — 0 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „ალკმაარი“ — „გრასხოპერსი“ 1:0, „მიდლსბრო“ — „ლიტექსი“ 2:0. ისვენებდა „დნიპრო“.

**საბოლოო მდგომარეობა:** „მიდლსბრო“, „ალკმაარი“ — 10-10, „ლიტექსი“ — 6, „დნიპრო“ — 3, „გრასხოპერსი“ — 0 ქულა.

**მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ნახევარფინალი.**

„ლივერპული“ (ინგლისი) — „საპრისა“ (კოსტა-რიკა) 3:0. ხვალ ფინალში „ლივერპული“ ბრაზილიის „სან პაულუს“ შეხვდება. გადამწყვეტი მატჩი იაპონიის ქალაქ იოკოჰამას რონალდოს სახელობის სტადიონზე გაიმართება.

# წილი ნაყარია

**გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში მოეწყო პოპულარული ევროპული საკლუბო ტურნირების მორიგი ეტაპის წილისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა.**

**ჩემპიონთა ლიგა**

**მერვედფინალი. 21-22 თებერვალი, 7-8 მარტი.**

„ჩელსი“ — „ბარსელონა“, „რეალი“ — „არსენალი“, „ვერდერი“ — „იუვენტუსი“, „ბაიერნი“ — „მილანი“, „ეინდჰოვენი“ — „ლიონი“, „აიაქსი“ — „ინტერი“, „ბენფიკა“ — „ლივერპული“, „რეინჯერსი“ — „ვილიარეალი“.

**უეფას თასი**

**მეთექვსმეტედფინალი. 15-16 თებერვალი, 1-2 მარტი.**

„ლიტექსი“ — „სტრასბური“, „შტუტგარტი“ — „მიდლსბრო“, „სლავია“ — „პალერმო“, „ჰერენვენი“ — „სტიაუა“, „ლოკომოტივი“ — „სევილია“, „ბოლტონი“ — „მარსელი“, „ჰერტა“ — „რაპიდი“, „ბაზელი“ — „მონაკო“, „უდინეზე“ — „ლანსი“, „რუსენბორგი“ — „ზენიტი“, „ბრიუგე“ — „რომა“, „შალკე“ — „ესპანიოლი“, „ლილი“ — „შახტარი“, „თუნი“ — „ჰამბურგი“, „ბეტისი“ — „ალკმაარი“, „არტმედია“ — „ლევსკი“.

აქვე გაგაცნობთ იმ წყვილთა რიგითობის ნომრებს, რომელთა გამარჯვებულებიც მერვედფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს:

**7-14, 8-1, 2-11, 4-15, 3-12, 6-10, 9-16, 13-5.**

დაგვეთანხმებით, საცოდაობაა, ჩემპიონთა ლიგაში ასეთ ადრეულ ეტაპზე რომ შეიქმნა რამდენიმე ისეთი ტოპ-წყვილი, ფინალსაც რომ დაამშვენებდა, თუმცა, მეორეს მხრივ, ამით გულშემატკივრებმა მოიგეს.

რაც შეეხება უეფას თასის გათამაშებას, მიაქცევდით ყურადღებას, რომ ქართველ ლეგიონერთა სამივე კლუბს (ასათიანის „ლოკომოტივს“, კობიაშვილის „შალკესა“ და არველაძის „ალკმაარს“) ბრძოლა ესპანელებთან მოუწევს.

მოკლედ, ორიოდე თვეც და მოსაწყენად ალარავის ეცლება.

აღიარება

# აი, რას ნიშნავს გულშემატკივარი

**მოსკოვის „სპარტაკის“ გულშემატკივრებმა გუნდის საიტზე გამართული რეფერენდუმის შედეგად სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად პოლონელი მეკარე ვოიცეხ კოვალევსკი მიიჩნიეს, მეორე და მესამე ადგილი კი ნემანია ვიდიჩს (სერბეთი) და რომან პავლიუჩენკოს მიაკუთვნეს.** კლუბის ხელმძღვანელობამ კოვალევსკი ავტომანქანა „ჰამერით“ დააჯილდოვა, ვიდიჩი და პავლიუჩენკო კი „აუდი ტტ“-თი.

ლაურეატობის კანდიდატები

## ოთარ თუშიშვილი:

# კმარა „ბრინჯაოს ხანა“

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, ტრადიციულად, ყოველი წლის მიწურულს ქვეყნის 10 საუკეთესო სპორტსმენს ავლენს. წლევანდელი შედეგების მიხედვით ლაურეატობის ერთ-ერთი კანდიდატი გახლავთ გორელი ფალავანი ოთარ თუშიშვილი, რომელმაც ბუდაპეშტში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა.**



ბუდაპეშტში სასტუმროს წინ ქართველ მოჭიდავეებს მოეყარათ თავი. ის იყო, სპორტის სასახლისკენ აპირებდნენ წასვლას, მოულოდნელად სახელოვანი ფალავანი, ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, სეოკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი რომ გამოეცხადათ. ყველანი მას შემოეხვივნენ.

— როგორ განწყობაზე ხართ? — იკითხა „სტუმარმა“.

— მხოლოდ პირველობისთვის ვიბრძოლებთ, — თითქმის ერთხმად უპასუხეს ბიჭებმა.

— მჯერა, რომ ასეც იქნება, რადგან ბუდაპეშტის ხალიჩა ქართველ ფალავნებს კარგად აქვთ დაცდილი. 1958 წელს აქ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლები გივი კარტოზიამ და როსტომ აბაშიძემ. სხვათა შორის, პირველად მეც აქ გავხდი მსოფლიო ჩემპიონი.

ბიჭებს იმედიანი განწყობა განუმტკიცდათ. ერთ-ერთმა იხუმრა კიდეც. ხარხარი რომ მიწყდა, ოთარ თუშიშვილმაც რაღაცის მოყოლა დააპირა, მაგრამ...

— გაჩუმება ვარჩიე, — მითხრა ოთარმა, — ჩემმავე სიტყვამ არ დამცადოს-მეთქი.

**— რა უნდა გეთქვა ასეთი?**

— ბუდაპეშტი ხომ ჩემთვისაც იღბლიანი ქალაქია. 2001 წელს სწორედ ლასლო პაპის სახელობის სპორტის სასახლეში მოვიპოვე ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი.

ოთარ თუშიშვილმა ანალოგიურ წარმატებას წლეულს 26 სექტემბერსაც მიაღწია, ამჯერად — მსოფლიო ჩემპიონატზე, პირველ წრეში გერმანელ პეტერ ენგელჰარდტს სძლია, შემდეგ დაამარცხა ბერძენი აპოსტოლოს ტასკოუდისი, რომელიც ათენის ოლიმპიადაზე მეხუთე იყო. მესამე წრეში ქართველ ფალავანს ფინალისკენ მიმავალი გზა ბულგარელმა სერაფიმ ბორზაკოვმა გადაუღობა.

— ეს კაცი ჩემდაჭირად არის გაჩენილი, — იხუმრა ოთარმა, — თარსი თვალები აქვს. 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კორეელ მეტოქეს მერვედფინალში 5:0-ს ვუგებდი, მაგრამ ნეკნი დავიზიანე და ნახევარფინალის გზა უბრძოლველად დავუთმე ბორზაკოვს, რომელსაც ჩემი ჭიდაობისთვის თვალი არ მოუცილებია. მაშინ იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. 2003 წელს „მედისონ სკვერ გარდენშიც“ კუბელთან შერკინებისას ხალიჩას მოშტერებოდა, რადგან გამარჯვების შემთხვევაში მას შევხვდებოდი. სამწუხაროდ, მაშინაც ნეკნი გავიტეხე. ბუდაპეშტში ჩვენი „დუელი“ შედგა და წარმატების შანსი ვერ გამოვიყენე — მესამე დამატებით რაუნდში იგი შებოჭვისას დამისხლტა და გაიმარჯვა. ფინალში რუსეთელ მურთაზალიევთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ქართველმა ფალავანმა დამამშვიდებელ ჯგუფში ჯერ ირანელ მასუდ ვაჰედის მოუგო, ზედ ყაზახი ლეონიდ სპირიდონოვიც მიაყოლა და ბრინჯაოს ჯილდო ხვდა.

— ათენის ოლიმპიადაზე განცდილი მარცხის შემდეგ ისეთ სტრესულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რომ საკუთარ თავს ვერ ვცნობდი, — მითხრა ოთარმა. — ამას დაერთო ზოგიერთი ჟურნალისტის ქილიკიც. დარბაზისკენ გახედვაც არ მინდოდა. წონაში მოვიმატე. კარგა ხნის შემდეგ მივხვდი, რომ ნერვები უნდა მომეთოკა. ვარჯიში განვაახლე, თუმცა, ზაფხულამდე არსად მიჭიდავია. ივნისში ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მოვიგე და კვლავ დავიმკვიდრე ნაკრებში ადგილი. ბორჯომსა და ბაკურიანში საფუძვლიანად მოვემზადე, მაგრამ საშეჯიბრო გამოცდილება მაკლდა, ამიტომ მე და ჩემმა მწვრთნელმა იზმირში სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე გამგზავრება გადავწყვიტეთ. ამ ნაბიჯმა გაამართლა, რამდენიმე ორთაბრძოლაში გამოვცადე ჩემი თავი, ფიზიკურად და ტაქტიკურადაც უფრო მომზადებული შევხვდი მსოფლიო ჩემპიონატს. მედალმა ძალიან გამახარა, რწმენა შემმატა. მომავალი წლიდან ჯილდოების სინჯი უნდა შევცვალო, თორემ ნამეტანი ჩავრჩი „ბრინჯაოს“ ხანაში.

**— სამომავლოდ რას აპირებ?**

— იანვრის მიწურულს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ვიასპარეზებ. წარმატების შემთხვევაში, საერთაშორისო ტურნირებთან ერთად მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებისკენაც გამეხსნება გზა. იმდენი გამოცდილება მყოფნის, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ვიფიქრო. მთავარი ოცნება მაინც პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლაა. იქნებ, იქ მაინც ავისრულო დიდი ხნის წადილი.

**ესაუბრა**

**ვაჟა დანელია**

**საძარბაზო ბარათი**

**დაიბადა 1978 წლის 14 ივნისს გორში. ათი წლისამ ჭიდაობა დაიწყო მერაბ მუზიაშვილის ხელმძღვანელობით. 1991 წლიდან ნუგზარ სხირელთან ვარჯიშობს. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია კადეტებში, ახალგაზრდებსა და დიდებში. ევროპის პირველობებზე ერთხელ გაიმარჯვა (1996 წ.), ორჯერ მეორე ადგილი (1995, 1998 წ. წ.) დაიკავა, მსოფლიო პირველობების ორგზის მესამე პრიზიორია (1993, 1996 წ. წ.); ევროპის ჩემპიონატებზეც ორჯერ მესამე ადგილზე (1999, 2001 წ. წ.) გავიდა, სიდნეისა და ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილეა. წლეულს მსოფლიო უნივერსიადასა და მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა.**

**დაამთავრა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამჟამად ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში სწავლობს.**

გამოიცა

# „დინამო“ — ნაირ-ნაირი პლანით

**დიახ, ერთ დროს ლეგენდარული სპორტული საზოგადოება „დინამო“ სწორედ რომ ათასგვარი პლანით წარმოდგა მკითხველის წინაშე: ისტორიის დასაწყისით; „დინამო“ სამამულო ომამდე, ომის პერიოდში და ომის შემდეგ; ფიზკულტურულ-სპორტული თუ ოლიმპიური მოძრაობით; სპორტის თითქმის ყველა სახეობაში წვლილით (ყოველნაირი „ბურთით“ დაწყებული — გარდა „ცისფერი მთების“ გმირისგან შერისხული მოტობურთისა — და წყალში ხტომითა და ჭადრაკით დამთავრებული); მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდით, ფიზკულტურულ-სპორტული მედიცინით, ასე გასინჯეთ, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობით, კაპიტალური მშენებლობითა და სპორტული ბაზებით... ფაქტობრივად, ჩვენ ხელთა გვაქვს საქართველოს სახელოვანი სპორტული ორგანიზაციის „დინამოს“ ისტორია ესოდენ მიმზიდველი ფურცლებით, ლეგენდებად ქცეული სახელებითა თუ დაუვიწყარი სახებით.**




ლაპარაკია წიგნზე „დინამო“! Динамо! Dinamo!“, რომელიც ქართული სპორტის მატიანეს მნიშვნელოვან შენაძენად და „სპორტული“ მკითხველების კარგ საახალწლო ნობათად უნდა მივიჩნიოთ. ეს გახლავთ დიდი სიყვარულით დაწერილი ნაშრომი, რომლის კითხვის პროცესშივე გრძნობ, ბოლოში გაუსვლელადაც, თუ რამდენი გარჯა გაუწევია ავტორს, რა ზღვა მასალა და ფოტოსურათები მოუჩხრეკია, რომ „დინამოზე“ ასეთი სისრულით და, რაც მთავარია, საგნის ცოდნით ეამბნა. იმასაც გრძნობ, თუ როგორი გული, გულისგულია ჩადებული მონათხრობში.

წიგნი „გარედანაა“ დაწერილი — 69 წლის ვალერიან (სულიკო) როგავა მრავალი წელია, რაც მოსკოვში ცხოვრობს. ეს, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს, რომ გარედან, მოსმენილით იცნობს საქართველოს სპორტულ ცხოვრებასა და „დინამოს“ ბიოგრაფიას. ბატონი ვალერიანი დიდხანს ქართული სპორტის შუაგულში ტრიალებდა, თავადაც ყოფილი სპორტსმენია — მოცურავე, წყალბურთელი, ხუთჭიდელი; არის სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიების მსაჯი თანამედროვე ხუთჭიდში და „საპატიო დინამოელის“ სამკერდენიშნოსანი. სულიკო როგავა ყოფილი სპორტული ფუნქციონერიც გახლავთ, 23 წელი (1959-1982) იმუშავა საქართველოს „დინამოს“ ორგანიზაციაში და მაღალკვალიფიციურ სპორტის სპეციალისტად აქ ჩამოყალიბდა, ხოლო 1982 წლიდან, მოსკოვში გადაყვანილი, საკავშირო „დინამოს“ ცენტრალურ საბჭოში განაგრძობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე საქმიანობას პენსიაზე გასვლამდე. ავტორი ახლოს ან პირადად იცნობდა თავისი წიგნის არაერთ პერსონაჟს — გამოჩენილ სპორტსმენსა თუ სპორტულ მოღვაწეს და ამიტომაც გამოუვიდა მათი პორტრეტები კარგად.

ჩემი, ხანდაზმული მკითხველის მადლიერება ცალკე მინდა გამოვხატო: ნაშრომის კითხვისას არაერთხელ დამიდგა თვალწინ სიჭაბუკე — ახალგაზრდობის წლები, ბორის პაიჭაძის, ოთარ ქორქიას, ნინო დუმბაძის, რობერტ შავლაყაძის, ალექსანდრე მეტრეველის, ნონა გაფრინდაშვილის და კიდევ სხვათა ხანა და ასეთი სახელების მხურვალე ქომაგობის სცენები.

...ეპილოგში სულიკო როგავა გულისტკივილით სვამს კითხვას: „როგორ შეიძლებოდა იმის მოთხრა და მოსპობა, რაც ფესვებიდან კენწერომდე მიმართული იყო მასობრივი სპორტის, მოზარდი თაობის, მოსახლეობის ფართო ფენების, ორგანოებისა და ჯარების პირადი შემადგენლობის ფიზიკური აღზრდის, არმიისათვის ჯანსაღი რეზერვის მომზადებისა და სპორტში უმაღლესი მიღწევების მოპოვების სრულყოფისა და განმტკიცებისათვის“. ვაგლახ, რომ არ შეიძლებოდა და „მოვახერხეთ“, და მაინც, მოდით, ავტორთან ერთად ვინატროთ, რომ კვლავ მოგვცემოდეს საბაბი საბრძოლო ყიჟინის დასაცემად — „დინამო, დინამო, დინამო!..“

**თამაზ ებანოიძე**

ორბიტაზე

# კორუფციაში გაეხვივნენ



**საფეხბურთო კლუბის „პარი სენ-ჟერმენის“ ყოფილ ხელმძღვანელთა ჯგუფი ეჭვმიტანილია კომპანიასთან Nike ყალთაბანდურ გარიგებაში. დაპატიმრებულია „პსჟ“-ს ყოფილი ფინანსური დირექტორი პიერ ფრელო. გამოძიება მიმდინარეობს Nike-ს სამ ხელმძღვანელ თანამშრომელზეც, უახლოეს ხანში კი ალბათ გამოძიება დაიწყება საფეხბურთო კლუბის რამდენიმე თავკაცის მიმართაც.**

ჩვენების მიცემა მოუწევს კლუბის ოთხ ყოფილ პრეზიდენტს — მიშელ დენიზოს, შარლ ბეიტრის, ლოსან პერპერსა და ფრანსის გრაიუს.

რათა ეკონომია გაეკეთებინათ მოთამაშეთა გადასახადებზე, „პსჟ“-მ და **Nike**-მ შეიმუშავეს შემდეგი მექანიზმი: კომპანია ზოგიერთ ჰოლანდიელ ფეხბურთელს უხდიდა ხელფასს თითქოსდა თავისი პროდუქციის რეკლამის საფასურად ლუქსემბურგის ბანკის მეშვეობით. შემდეგ კი კლუბს უდგენდა ფიქტიურ ანგარიშებს იმაზე, რომ ფეხბურთელებმა დაარღვიეს ხელშეკრულება, რადგან თითქოს არ იცვამდნენ **Nike**-ს დამზადებულ სპორტულ ტანსაცმელს. ეს სქემა მუშაობდა 1998 წლიდან თითქმის დღევანდლამდე, თუმცა ფრელომ ფეხბურთის აგენტის კვალიფიკაცია უკვე ორი წლის წინათ შეიცვალა.

# „შტატების შემცირება“, თუ...



საყოველთაოდ ცნობილია კენიელი მძლეოსნების, განსაკუთრებით გრძელ დისტანციებზე მორბენლების, დიდი წარმატებანი; სწორედ ამიტომაც გაოცებას იწვევს, რომ მძლეოსნობის იქაურმა ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან ერთბაშად 19 წამყვანი მენეჯერი დაითხოვა, მათ შორის იოსი ჰერმესიც. ამიერიდან ასზე მეტ ცნობილ კენიელ ათლეტთან მხოლოდ 12 სპეციალისტი იმუშავებს.

როგორც კენიის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ისაია კოპლაგატმა განმარტა, ასეთი მკაცრი ზომებით მათ გაუჭირდათ მენეჯერის ასეთი დიდი რაოდენობის საქმიანობის კონტროლი, თანაც მომრავლდა ქვეყნის წამყვანი მწვრთნელების საჩივრები მათ საწვრთნელ საქმიანობაში მენეჯერთა უადგილო ჩარევის თაობაზეო.

დავამატებთ, რომ ჰერმესი არის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი მსოფლიო მძლეოსნობაში, ხოლო მისი კომპანიის სამსახურით სარგებლობდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორნიც არიან ეთიოპიელები ჰაილე გებრესელასიე და კენენისა ბეკელე.

შერისხული მენეჯერის დაცვა სცადა მსოფლიოს რეკორდსმენმა მარათონში პოლ ტერგარტმა. მან განაცხადა, რომ მრავალი წელი თანამშრომლობდა ჰერმესთან და ამ უკანასკნელის მოღვაწეობა სპორტსმენებისთვის მუდამ სასარგებლო იყო. „ასეთი კარდინალური ზომების ნაცვლად, აჯობებდა, ჩვენი ხელმძღვანელობა მოლაპარაკებოდა მენეჯერებს“.

არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ერთ-ერთი გადაყენებული მენეჯერი, ვინმე ჟან კონრატი ფრანგულ სასამართლოშია დაბარებული ბრალდებით, რომ მისი საქმიანობისას 15 კენიელი მორბენალი მთლიანად გამოიფიტა.

# გაიხადე და არ წააგებ



ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატამდე თითქმის ნახევარი წელი დარჩა, თუმცა გერმანიაში უკვე საფეხბურთო ციებ-ცხელებაა, რაშიც აქტიურად ჩაება გერმანული გამოცემა „ბილდიც“, რომელმაც თავის მკითხველ ქალებს შესთავაზა ფოტოკონკურსში მონაწილეობა.

კონკურსში გამარჯვებულს ექნება გამორჩეული შესაძლებლობები, ყოველდღიურად დაესწროს მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩს. მაგალითად, 9 ივნისს, ის შეიძლება, იყოს მიუნხენის სტადიონზე ჩემპიონატის გახსნის მატჩზე — გერმანია-კოსტა-რიკა. მეორე დღეს „ბილდი“ თავის ლაურეატს ფრანკფურტში გაამგზავრებს ინგლისი-პარაგვაის თამაშზე, 11 ივნისს კი კონკურსში გამარჯვებული ჰამბურგში არგენტინისა და კოტ-დ,იუვარის მატჩზე მოხვდება — ეს გაგრძელდება ფინალამდე, რომელიც 9 ივლისს ბერლინში გაიმართება.

რა უნდა გაკეთდეს კონკურსში გამარჯვებისთვის? ბევრი არაფერი — რედაქციას უნდა გაეგზავნოს, რაც შეიძლება, მოშიშვლებულად და ორიგინალურად გადაღებული ფოტოსურათი და ცოტა რამ მონათხრობი საკუთარ თავზე, თანდართული წერილით.

კონკურსის პირველი მონაწილე გახდა 26 წლის ჰამბურგელი ჯენი, რომელმაც რედაქციას მხოლოდ თავისი ფოტო კი არ გაუგზავნა, რომელზეც მისი სხეული მოხატულია ეროვნული ნაკრების ფერებით, არამედ, კონკურენციის რომ არ შეეშინდა, იმის დაპირებითაც, რომ კონკურსში ჩააბამდა თავის დობილ ზარინასაც.

პოზიცია

ვლადიმერ კრამნი-

# vt dfh vo:jakbjc yfvldbkb xtvgbjyb



— ახლა ჩვენ, მსოფლიო ჩემპიონები, უკვე ორნი ვართ: ტოპალოვი — მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის ვერსიით, მე კი — მსოფლიოს მე-14 ჩემპიონი კლასიკური ვერსიით.

მე მომეწონა მსოფლიო ჩემპიონატის დონე სან-ლუისში. მონაწილეები იბრძოდნენ, ყველა შესაძლებლობას იყენებდნენ. ამასთან, გამოირკვა, რომ ტოპალოვი ერთადერთი იყო ვინც მუდმივად მიისწრაფოდა გამარჯვებისკენ. სხვები სათამაშოდ ჩამოვიდნენ, ტოპალოვი კი მხოლოდ და მხოლოდ გასამარჯვებლად. ორწრიანი ტურნირის ბედიც სწორედ ამან გადაწყვიტა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიო ჩემპიონი მხოლოდ სამატჩო შეხვედრამ უნდა გამოავლინოს, პრეტენდენტი კი ისეთივე ტურნირმა დაასახელოს, რომელიც სან-ლუისში გაიმართა. ამასთან, მონაწილეთა ნახევარი რეიტინგის მიხედვით უნდა შეარჩიონ, მეორე ნახევარი კი სპეციალურად გამართული ასპარეზობის შედეგად. გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონს შეხვდება. სწორედ ეს სქემა მიიზიდავს სპონსორებსაც და მაყურებელსაც. რაც შეეხება ნოკაუტ-სისტემას, რომელსაც ფიდე უჭერდა მხარს და პროპაგანდას უწევდა, მან დიდი ხანია გაიტეხა სახელი.

გაერთიანდება თუ არა საჭადრაკო სამყარო? ჩემი პოზიცია სრულიად ნათელია: პრაღის ხელშეკრულების თანახმად, რომელსაც 2002 წელს მოეწერა ხელი, მე მზად ვარ ვითამაშო გამაერთიანებელი მატჩი. ტოპალოვმა და ფიდემ კი სიცხადე შეიტანონ ამ ორთაბრძოლის საკითხში.

მე წავიკითხე, რომ ტოპალოვი ღირსეულ მოწინააღმდეგედ არა მთვლის, რადგან მასთან შედარებით უფრო დაბალი რეიტინგი მაქვს. ეს მას, ალბათ, ზედმეტი ემოციით მოსდის. მსოფლიო პირველობას და სხვადასხვა, ცალკეული ტურნირების შედეგებს ხომ ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. თუკი ჭადრაკის ისტორიას გადავხედავთ, მსოფლიო ჩემპიონი ყოველთვის როდი იგებდა უამრავ ტურნირს. ეს უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე წესი. პეტროსიანს, სპასკის, ბოტვინიკს არც ისე ბევრი ტურნირის მთავარი პრიზი აქვთ მოპოვებული, მაგრამ მათი წოდების ლეგიტიმურობაში არავის შეუტანია ეჭვი.

ერთხელ კიდევ მინდა გავიმეორო: მსოფლიოს ნამდვილი ჩემპიონი მხოლოდ და მხოლოდ მე ვარ. ეს წოდება მსოფლიოს მე-13 ჩემპიონ გარი კასპაროვთან ბრძოლაში მოვიპოვე, შემდეგ კი პეტერ ლეკოსთან მატჩში დავიცავი. ეს საყოველთაოდ იქნა აღიარებული, გნებავთ იგივე ფიდეს მიერ პრაღის შეთანხმების დროს. თუკი ახლა ტოპალოვი თვლის, რომ ჩემზე უკეთ თამაშობს, მატჩში გამომიწვიოს და დამამარცხოს.

გივი თორელი

## შაბათი, 17 დეკემბერი

08.00 "მთავარი" 08.15 მომავლის ცირკი 08.55 ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" 09.20 საბავშვო სერ. "ექშენმენი" 09.45 საბ. სერიალი **"სკოლის შემდეგ"** 10.00 დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" 10.30 სერიალი **"დინოტოპია"** 11.30 დოკ. ფილმი "დიზაინი – დიზაინერები" 12.00 "მთავარი" 12.10 სპექტაკლი **"მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** 16.00 დოკ. ფ. "ევრაზია" 1 ნ. 17.00 ქართული ტელეფილმი "პიანისტი" 18.00 "მთავარი" 18.10 მუსიკა - ბრაიან ზეცერი 19.00 სერიალი **"სტუდენტები"** 20.00 "მთავარი" - საინფ. პროგრამა 20.30 ბიოგრაფიული პორტრეტები -სანდრინ ბონერი 21.30 ქართ. ფილმი **"არასერიოზული კაცი"** 23.00 დოკ. ფილმი "სიჩქარე" 23.30 მხ. ფილმი **"ჩვენი ამერიკა"** (U) 1-ლი ს. 01.00 საინფორმაციო გამოშვება

19.00 ტელეზღაპარი "რწყილი და ჭიანჭველა" 19.15 მულტსერიალი 19.40 კონცერტი 20.50 კინოსეანსი **"თუში მეცხვარე"** მე-2ს.

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.30 "ჯეტიქსი" 11.00 საბავშვო ფილმი 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.20 გაიღიმეთ ფარული კამერაა 12.50 მხ. ფილმი **"ხელიდან წასული"** 15.20 მხ. ფ. **"წმინდა ინგლისური მკვლელობები"** (U) 17.00 სერიალი **"ანდრომედა"** 18.20 დოკ ფილმი 19.20 მხ. ფილმი **"ჯოჯოხეთური ცათამბჯენი"** (U) (ერიკ ჟუდორი) 22.00 შაბათის ღამის შოუ 23.00 "ჯეობარი" 00.00 მხ. ფ. **"თაღლითები"** (18) 03.20 კურიერი

09.00, 13.00, 15.00, 17.00 ქრონიკა 09.10 12 პლუსი 10.30 უცხო სუნელი 11.00 ჩვენი ეზოს ამბები 11.20 "რაო-რაო?" 11.30 "დილის ფოსტა" 12.20 "იმედითა შენითა" 12.40, 16.15 **ტვ**-მარკეტი 13.20 მხ. ფილმი **"გარაჟი"** (U) 15.15 დოკ. სერიალი "სამყაროს შვიდი საოცრება" 1-ლი ს. 16.30 უცნობი საქართველო 17.10 სერიალი **"მოჯადოება"** 18.00 "ეტალონი" 19.00, 20.00, 23.00 ქრონიკა 19.05 სერიალი **"მოჯადოება"** 20.30 "ნაცნობი საქართველო" 21.00 სერიალი **"საპონი"** 22.00 "ალავერდი" 23.30 მხ. ფილმი **"საზრიანი გოგონები"** (15) (მირა სორვინო) 01.45 მხ. ფილმი **"მეოჯახე"** (12) (ნიკოლას კეიჯი) 04.00 იმედის მელოდიები

09.00 მუსიკა 09.30 ანიმაცია 11.00 ტელემეტრი (გან.) 11.30 სერ. **"კარაბინერები-3"** 12.30 საქართველოს ისტორია 13.00 მხ. ფილმი **"მშობლიურო ჩემო მიწავ"** 14.00 მზერა 14.15 მხ. ფილმი **"მშვიდობით ლენინ"** 16.30 მუსიკა 16.45 **ფეხბურთი**. 17.30 მზერა 19.00 **ფეხბურთი**. 20.00 მზერა 20.20 მხ. ფილმი [illegible]

## კვირა, 18 დეკემბერი

08.00 "მთავარი" 08.15 მომავლის ცირკი 08.55 ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" 09.20 საბავშვო სერ. "ექშენმენი" 09.45 საბ. სერიალი **"სკოლის შემდეგ"** 10.00 დოკ. ფ."მითხარი როგორ" 10.30 სერიალი **"დინოტოპია"** 11.30 დოკ. ფილმი "ექსცენტრიული ადამიანები" 12.00 "მთავარი" 12.20 სპექტაკლი **"ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს"** 13.50 "ჩვენი ექსპრესი" 14.10 მოკლ. ფ.**"კეთილი კაცი"** 15.00 დოკ. ფილმი "იორკშირის ეროვნული ნაკრძალი" 16.00 დოკ.ფ. "ევრაზია" მე-2ნ. 17.00 დოკ. ფ. "ს. ზაქარიაძე" 18.00 "მთავარი" 18.20 მუსიკა – მოცარტი 19.00 სერიალი **"სტუდენტები"** 20.00 "მთავარი" 20.30 ბიოგრაფიული პორტრეტები - ფიდელ კასტრო. 21.30 მხ. ფილმი **"სავსემთვარიანი ღამეები"** (12) 23.10 დოკ. ფილმი "სიჩქარე" 23.30 მხ. ფილმი **"ჩვენი ამერიკა"** (U) მე-2 ს. 01.30 საინფორმაციო გამოშვება

19.00 ტელეზღაპარი 19.15 დოკ. ფილმი "ბზარი" 19.40 რაციო 20.45 კინოსეანსი **"თუში მეცხვარე"** მე-3ს.

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.20 "ჯეტიქსი" 11.00 საბავშვო ფილმი 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.20 მხ. ფ.**"წითელი კარავი"** 15.20 მხ. ფ.**"ჩაკლული სული"** 17.00 სერიალი **"ანდრომედა"** 18.20 უბნის ინსპექტორი 19.20 მხ. ფილმი **"ცისფერი მთები"** (U) 22.00 ჯეოსელის ლატარეა 23.00 გაიღიმეთ ფარული კამერაა 00.00 მხ. ფილმი **"მარცხი"** (18) (ბრუნო ჰანცი) 02.45 კურიერი 03.10 უბნის ინსპექტორი

09.00, 13.00, 15.00 ქრონიკა 09.10 ანიმ. ფილმი "ტარზანი" 09.50 "რაო, რაო?" 10.30 უცხო სუნელი 11.00 იმედის მელოდიები 11.15 მხ. ფილმი **"ეის ვენტურა: შინაურ ცხოველთა მაძებარი"** 12.40, 16.15 **ტვ**-მარკეტი 13.20 "თქვენი ექიმი" 14.00 "ალავერდი" 15.15 "ეტალონი" 15.25 დოკ. სერიალი "წყალქვეშა ნავები" 15.55 იმედის მელოდიები 16.30 სპ. პროგრამა "ოლიმპიური ინტერიერი" 17.00, 19.00, 02.30 ქრონიკა 17.20 "პოლიციის აკადემია" 17.50 "არტ-ბულვარი" 18.30 "ვაკაჭინიუსი" 19.30 ქართული მხ. ფილმი **"ლონდრე"** 21.00 დროება 22.30 მხ. ფილმი **"ოსტინ პაუერსი"** (ე. ჰერლი) 00.40 მხ. ფილმი **"ჩრდილი"** (U) (ა. ბოლდუინი) 02.40 იმედის მელოდიები

09.00 მუსიკა 09.30 ანიმაცია 11.00 "რუსთაველი" 11.30 სერ. **"კარაბინერები-3"** 12.30 მხ. ფ. **"სამნი უნდა მოვიშოროთ"** (ა. დელონი) 14.00 მზერა 14.15 მხ. ფ. **"წითელი სიცხე"** 17.15 საქართველოს ისტორია 17.45 მხ. ფილმი **"ვირთხების რბოლა"** 19.45 "მზერა" 20.00 **ფეხბურთი**. 22.00 სერ. **"ასა"** კვირის ჯამი 23.00 სერ. [illegible] ნი


# განცხადება

## სს „სასტუმრო ივერიას“ აქციათა გამოსყიდვის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

სს „სასტუმრო ივერიას“ აქციათა გამოსყიდვის მიზნით, „გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღად“ დადგენილია 2006 წლის 3 იანვარი, რომლის მდგომარეობითაც არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან მოხდება მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა.

გამოსყიდვის პირობები და პროცედურები:

● სს „სასტუმრო ივერიას“ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანაგრიშზე განთავსებულია აქციების გამოსყიდვისთვის საჭირო თანხა (ერთი აქცია 2,16 ლარი), რომლის მიღებაც, გამოსყიდვის რეესტრში ხელის მოწერის შემდგომ, აქციონერებს შეუძლიათ საბროკერო კომპანია „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფში“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. №24.

● გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოხდება დარჩენილი გამოსასყიდი თანხის დეპონირება და აქციები გადავა მყიდველის საკუთრებაში.

აქციონერებს საბროკერო კომპანია „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის“ ანგარიშის გაცნობა (რომელშიც მითითებულია გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და ამის საფუძველზე განსაზღვრულ აქციათა ფასი), შეუძლიათ სს „სასტუმრო ივერიას“ რეგისტრატორთან შპს „კომპანია-ცენტრში“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. №24, ტელ: 22-53-51.

პატივისცემით,
ალექსი თოფურია
„სილქ როუდ გრუპ ს. ა.“-ს სახელით.



# განცხადება

2006 წლის 6 იანვარს 14 საათზე ჩატარდება ს/ს „ალიონის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. ს/ს „ალიონის“ კუთვნილი ქონების რეალიზაციის შესახებ.

მისამართი: ქ. თბილისი, თემქის დასახლება, III მ/რ, მე-V კვარტალი.

დირექცია.



# განცხადება

მიმდინარეობს სააქციო საზოგადოება „ადმალეობის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს და კრედიტორებს შეუძლიათ მოგვმართონ საზოგადოების ფაქტიურ მისამართზე – თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. № 88, ტელ. 899 76-69-14, ან 877 41-91-56.

ლიკვიდატორი ზურამ მეზრეკიშვილი.


სანქცია

# რა ერის „ტარზანობანაა“?




ფეხბურთში ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალბერტუ პარეირამ თავის მოთამაშეებს მსოფლიო ჩემპიონატამდე აუკრძალა... არა, სექსი კი არა, როგორც ეს უკვე მოხდა ზოგიერთ სხვა ნაკრების შემთხვევაში, ბრაზილიელთა დამრიგებელმა ფეხბურთელებს აუკრძალა „სპორტის საშიში სახეობებით“ გატაცება. თუმცა პენტაკამპეონების თავკაცი არ აზუსტებს, რომელ სახეობებს გულისხმობდა — „პოკერს“ ხომ არა?!

გერმანიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასვლის წინ ბრაზილიელები ორ კვირას შვეიცარიაში, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში შეკრებაზე გაატარებენ, ხოლო უფასო მომსახურებაში, რასაც სასტუმროს პატრონები თავიანთ მდგმურებს სთავაზობენ, არის ისეთი ატრაქციონები, როგორიცაა ნახტომები „ტარზანობანაში“ და გაფრენა დელტაპლანით. როგორც ჩანს, პარეირას ის აწუხებს, რომ მისმა არჩევებმა ტრავმების გამო მსოფლიო ჩემპიონატს გვერდზე არ „ჩაუფრინონ“.

უძღვება გურამ ვაშაკიძე

გამოშვება მეექვსე

# დაფაზე – ულმობელი სიმართლე

ერთხელ ფრანგი კინოს მკვლევარის ჟორჟ სადულის „მსოფლიო კინოს ისტორიას“ ვათვალიერებდი. ავტორი ქებას ასხამდა საბჭოურ ფილმს „ჩაპაევს“. ცოტა გაკვირვებული დავრჩი. მერე გავიგე, რომ ჟორჟ სადული კომუნისტი იყო და პროსაბჭოურად მოაზროვნე უცხოელებს ჩვენში დიდად სწყალობდნენ. ფრანგი კინომცოდნეც თავის წიგნებში ხარკს უხდიდა კომუნიზმს.

ჩვენ „ჩაპაევის“ ღირსება-ნაკლოვანებებზე არ ვსაუბრობთ, თუმცა, ფილმში ერთი ეპიზოდია, ვფიქრობ, ყურადღების ღირსი.

ჩაპაევი, ხალხიდან გამოსული ეს ტლუ მეთაური, მაგიდაზე მსხლებს (ვითომ ჯარისკაცებია) დაალაგებს და ცდილობს გამოიცნოს შეტევაზე გადასული პოლკისთვის სად სჯობს მეთაურის ყოფნა – წინ, ზურგში თუ ფლანგებზე.

ჭადრაკში, მაგალითად, მეთაური (მეფე) მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად ლაშქარს – ქვეითებს და ნაზირ-ვეზირებს აგზავნის, მაგრამ თუ საქმე ჭადრაკულად შეექმნა, თავის „ბუნკერს“ ტოვებს და ბრძოლის ველს მიაშურებს. არაერთხელ მომხდარა, რომ სწორედ ფიცხელ ომში მეფის გამოჩენას გადაუწონია გამარჯვების პინა. მაგრამ მეფის ბრძოლის ველად გაჭრას ყოველთვის როდი მოსდევს წარმატება.

ამის მაგალითად ედ. ლასკერისა და ჯ. თომასის პარტია (ლონდონი, 1911) გამოდგებოდა.

**ჩვენი დოსიე:** ედ. ლასკერი (1885-1981). ამერიკელი მოჭადრაკე, საერთაშორისო ოსტატი (1963), საერთაშორისო არბიტრი (1952), საჭადრაკო ლიტერატორი, ინჟინერი.

ჯ. თომასი (1881-1972). ინგლისელი მოჭადრაკე, საერთაშორისო ოსტატი (1950) საერთაშორისო არბიტრი (1952), ბევრ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ

## მიდიოდა მეფე ომში...

ჰოლანდიური დაცვა
ედ. ლასკერი – ჯ. თომასი

1. d4 f5 2. მf3 e6 3. მc3 მf6 4. კg5 კe7

შავები აინუნშიც არ აგდებენ თეთრების განზრახვას: მათ ცენტრის დაპყრობა სურთ. მართებული იქნებოდა 4... d5

5. კ:f6 კ:f6 6. e4 fe 7. მ:e4 b6 8. კd3 კb7 9. მe5

თეთრების განზრახვის გამოცნობა ძნელი არ არის. ისინი მეფის ფრთაზე შეტევის დაწყებისთვის ემზადებიან.

9... 0-0

მუქარა 10. ლh5+ შავების შეშფოთებას იწვევდა, მაგრამ ახლა მათ როქი გააკეთეს და თვლიან, რომ საქმე დამშია მოყვანილი, თუმცა ქიშის გარეშეც კი ლაზიერის ამ ადგილებში გამოჩენა სახიფათოა.

10. ლh5 ლe7

შავები იგერიებენ მუქარას 11. მ:f6+ ახლა კი ამას მოჰყვებოდა 11...gf და პაიკი h7 დაცულია. მაგრამ ერთი

> არასოდეს, აშკარად მოსაგებ მდგომარეობაშიც კი არ შეიძლება მეტოქის და მისი შესაძლებლობების შეუფასებლობა.
>
> პაულ კერესი

საშიშროება რომ გააუვნებელყვეს, ვერ შეამჩნიეს მეორე, კიდევ უფრო ოსტატურად შენიღბული.



დაიჯერებთ, რომ შავი გვირგვინოსანი რამდენიმე სვლის შემდეგ g1 უჯრაზე აღმოჩნდება და იქ დაამათებენ? მაგრამ საჭადრაკო დაფაზე ხომ ყველაზე წარმოუდგენელი თავგადასავლები მომხდარა – აშკარა, დაუჯერებელი!

11. ლ:h7+!! მფ:h7 12. მ:f6++

საშინელი სიძლიერის ორმაგი ქიში, რომელსაც ვერ დაემალები – უნდა გაიქცე, მაგრამ საით? უკან დასახევი გზა მოჭრილია: 12... მფh8 ორი მხედრის ეფექტური შამათით გვირგვინდება – 13. მg6x. „მაშ, წინ უნდა წავიდე, – ფიქრობს მეფე. – სხვა გზას ვერ ვხედავ, იქნებ როგორმე სამშვიდობოს გავაღწიო“. როგორ ჰგავს შავი მეფის ბედი ინგლისის „თეთრი“ მეფის („წითელი და თეთრი ვარდების“ ომი გავიხსენოთ) რიჩარდ მესამის ბედს, მის ტრაგიკულ ამოძახილს: „ეს სიცოცხლე მე მთლად მივანდე ბედის კამათელს...“, მით უმეტეს, რომ ბედისწერა ორივეს ერთნაირ დასასრულს უმზადებს!

12... მფh6 13. მeg4+ მფg5 14. h4+

აქ ლამაზად მოგების სხვა ვარიანტიც იყო: 14. f4+მფ:f4 15. g3+მფ f3 (15... მფg5 16. h4x) 16. 0-0x! ან 14... მფh4 15. g3 მფh3 16. კf1+კg2 17. მf2x!

14... მფf4 15. g3+მფf3

მეფე ფეხით მივიდა თავისი სიკვდილის ადგილზე. ახლა თეთრების ნებაა, როგორ დაასრულონ პარტია. ყველაზე სწრაფი გზა – 16. მფf1 მოუგერიებელი საშამათო მუქარებით თეთრებმა უარყვეს. შავი გვირგვინოსნის სიკვდილი „ზარბაზნების ქუხილის თანხლებით“ უნდა მომხდეს!

16. კe2+მფg2 17. ეh2+მფg1 18. 0-0-0x!



ეჭვი ნუ შეგვეპარება იმაში, რომ ლაზიერის შეწირვის შემდეგ ყველა სვლა თეთრებს გათვლილი ჰქონდათ.

განსაცვიფრებელი პარტიაა!

* * *

ამ დღეებში გამოჩენილი ესტონელი მოჭადრაკის პაულ კერესის დაბადებიდან 90 წელი სრულდება. ჩვენი საჭადრაკო გამოშვება ამ თარიღს სპეციალურ წერილს მიუძღვნის. დღეს კი დიდოსტატის ორ მინიატურას შემოგთავაზებთ – პირობითად მათ „კატასტროფა სტარტზე“ დავარქვათ. ორივე შემთხვევაში პაულ კერესის პარტნიორები მკაცრად ისჯებიან დებიუტის ზერელედ გათამაშებისთვის.

კარო-კანის დაცვის ერთ-ერთ ვარიანტში მახეა, რომელშიც თუ ვინმემ თავი შეყო, როგორც იტყვიან, კარგ დროსაც გაატარებს. იგი იმდენად შენიღბულია, რომ ბევრი ოსტატისთვისაც „მოუტეხია მწარედ კისერი“. 1950 წელს შავნო-ზდრუეში საერთაშორისო ტურნირზე პაულ კერესი თეთრებით პოლონელ ოსტატს ედუარდ არლამოვსკის ეთამაშებოდა.

1. e4 c6 2. მc3 d5 3. მf3 de 4. მ:e4 მf6

აქ კერესმა გააკეთა სვლა. 5. ლe2 და მაგიდიდან წამოდგა, სცენაზე გაისეირნა და თავის დაფასთან რომ დაბრუნდა, დაინახა, რომ არლამოვსკის საპასუხო სვლა გაუკეთებია: 5... მbd7



ამბობენ, რომ ბოლო, საშამათო სვლა – 6. მd6x კერესმა, არც დამჯდარა, ისე გააკეთა არლამოვსკის ზურგს უკან მდგომმაო...

ეს დღემდე რჩება ერთ-ერთ მოკლე პარტიად ოფიციალურ შეჯიბრებებში.

აი, კიდევ ერთი კარო-კანი კვლავ პაულ კერესის „შესრულებით“:

პ. კერესი – ხ. პფლეგერი
ჰასტინგსი, 1965

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 მd7 5. კc4 მgf6? 6. მ:f6 მ:f6 7. c3 კf5 8. ლb3 e6 9. ლ:b7 შავები დანებდნენ.

**ითამაშეთ ჭადრაკი!**



© კაისას ღიმილი უძღვება

### სკეპტიკოსი

ინგლისელმა ჭადრაკის ისტორიკოსმა ფორბსმა ერთხელ ვინმე სკეპტიკოსისგან ასეთი შინაარსის წერილი მიიღო: „სერ, ჭადრაკის ისტორიის საკითხებზე თქვენს შენიშვნებში ამტკიცებთ, რომ 1215 წელს, მეფე იოანე უმიწაწყლოს, ე.წ. ბარონთა აჯანყების დაწყების შესახებ ჭადრაკის თამაშის დროს შეატყობინებსო. ამ ფაქტის სისწორეს მაშინ დავიჯერებდი, თუ მეფის მიერ ნათამაშებ პარტიის ჩანაწერს გამოაქვეყნებთ“.

ფორბსის პასუხმაც არ დაიგვიანა: „სერ, იმედი უნდა გაგიწბილოთ. მეფე, ვის შესახებაც თქვენ საუბრობთ, იყო არა მარტო უმიწაწყლო, არამედ წერა-კითხვის უცოდინარიც. ამიტომ, გულითაც რომ მოეწადინა, პარტიას მაინც ვერ ჩაიწერდა“.

### ვინ ვინ არის

ერთხელ, საბჭოთა დროს, უცხოეთში საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრების წინ, ბორის სპასკი, როგორც ეს მაშინ იყო მიღებული, პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტში გამოიძახეს (იმხანად სპასკი მოსკოვის ოლქში ცხოვრობდა). შეკითხვები დაუსვეს. ერთი ასეთი იყო: იცის თუ არა მან, ვინ ხელმძღვანელობს მოსკოვის საოლქო კომიტეტს.

დიდოსტატი არ დაიბნა:

— თქვენ თუ იცით, — უპასუხა კითხვაზე კითხვით, — ვინ გახდა წლეულს მოსკოვის ჩემპიონი ჭადრაკში?

კომისიის წევრებმა საჭირო დოკუმენტებს უხალისოდ მოაწერეს ხელი.

### სიყვარულო, მალსა შენსა

იყო დრო, როცა საბჭოთა ადამიანი უცხოელზე ვერ დაქორწინდებოდა. კანონი კრძალავდა. შემდგომში, თუმცა აკრძალვა გაუქმდა, იმდენი დამაბრკოლებელი ბარიერი აღმართეს, ვითარება უკეთესობისკენ კი არ შეიცვალა, კიდევ უფრო დამძიმდა.

70-იანი წლების შუა ხანებში ბორის სპასკიმ, რომლის სახელიც ქუხდა, გაიცნო საბჭოთა კავშირში საფრანგეთის სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელი გოგონა, მარინა; ახალგაზრდებს ერთმანეთი მოეწონათ და დაქორწინებაც გადაწყვიტეს, მაგრამ საბჭოთა ბიუროკრატებმა, პარტიულმა იდეოლოგებმა სიცოცხლე გაუმწარეს, ხელს უშლიდნენ სისრულეში მოეყვანათ თავიანთი განზრახვა. მაგრამ მარინა კერკეტი კაკალი აღმოჩნდა — სიძნელეებს არ ნებდებოდა.

ამასობაში მოსკოვში ვიზიტად საფრანგეთის პრეზიდენტი ჟორჟ პომპიდუ ჩამოვიდა. მარინამ მოსაწვევი ბარათები იშოვნა კრემლის დარბაზობაზე, სადაც ლეონიდ ბრეჟნევს საფრანგეთის პრეზიდენტის საპატივცემულოდ მიღება უნდა გაემართა და, აჰა, კრემლიც! დარბაზობაზე ჟორჟ პომპიდუს ბევრი შეკითხვა დაუსვეს და ისიც ხალისით პასუხობდა მათ.

პრეზიდენტს მარინამაც მიმართა:

— თქვენი აზრით რა არის სიყვარული?

მაღალ სტუმარს სახე გაუცისკროვნდა. მას, თხემით ტერფამდე ფრანგს, სიყვარულზე ეკითხებიან!

— არაფერია სიყვარულზე უფრო მშვენიერი და ლამაზი! სიყვარული აგვამაღლებს!

— თუ ეს ასეა, რატომ გვჩაგრავენ მე და ბორის სპასკის, რატომ გვეუბნებიან უარს შეუღლებაზე?

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. იქ დამსწრეებმა მზერა მასპინძელს — ლეონიდ ბრეჟნევს მიაპყრეს. საბჭოეთს პრეტენზია ჰქონდა — დემოკრატიული ქვეყანა ვართ და ეგ როგორ დაგვემართაო?! საბჭოთა ლიდერმა უხერხულობისგან აღარ იცოდა რა ექნა, ბოლოს, ერთი ამოილუღლუღა — აქ რაღაც გაუგებრობაა, ყველაფერი მოგვარდებაო.

მეორე დღეს ბორის სპასკი და მისი ფრანგი საცოლე მოსკოვის ერთ-ერთი რაიონის მმაჩის ბიუროში მიიწვიეს და რაც თვეების მანძილზე ჯვარს აცვეს, ოციოდ წუთიც არ დასჭირდა იმას, რომ ეს ბედნიერი წყვილი მეუღლეებად გამოეცხადებინათ.

### ოცნება აისრულა

ვილჰელმ სტეინეცი ერთი ხანობა ფულზე ქესატად გახლდათ და კაფე „გამბიტში“ ჭადრაკის თამაშით ირჩენდა თავს. ერთხელაც კარგ პარტნიორს გადაეყარა, რომელიც ყოველ წაგებულ პარტიაზე ფუნტ გირვანქა სტერლინგს ჩამოდიოდა. სტეინეცი მას წინასწარ მხედარს აძლევდა და, როგორც წესი, წარმატებით.

მსოფლიო ჩემპიონი მისმა მეგობარმა გააფრთხილა: შემოსავლის წყაროს აუცილებლად დაკარგავ, თუკი კლიენტს მუდმივად მოუგებ — ხანდახან უნდა წააგოო: სტეინეცი რჩევას დაჰყვა და ერთ პარტიაში მეტოქეს ლაზიერი დაუსვა და თავი დამარცხებულად ცნო. ფიგურები კვლავ დაალაგეს დაფაზე, მაგრამ ნურას უკაცრავად! პარტნიორი მაგიდიდან წამოხტა და კარში გავარდა. თან მთელ ქუჩაში ყვიროდა:

— ოცნება ავისრულე! მსოფლიო ჩემპიონს მოვუგე!

მას შემდეგ იგი კაფე „გამბიტში“ აღარ გამოჩენილა.

### მატარებელში

სტეინეცი ჩიკაგოს მიემგზავრებოდა და კუპეში ცხრა წლის გოგონასთან და მამამისთან ერთად აღმოჩნდა.

— რა საქმიანობას ეწევით? — ჰკითხა თანამგზავრმა, როცა საუბარს შეუყვნენ.

— არაფერს ისეთს, ჭადრაკს ვთამაშობ, — თქვა მსოფლიო ჩემპიონმა.

— ოი, რა საინტერესოა, — წამოიძახა გოგონამ, პატარა რომ ვიყავი, მეც ვთამაშობდი თოჯინებს.

ნანა კანდელაკი

# როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო...

**მას შემდეგ, რაც პაპუნა და ვარდენი, ერთი პრესტიჟული დაწესებულების საპატიო და ღვაწლმოსილი თანამშრომლები პენსიაში გაისტუმრეს, ისე რომ არავის გახსენებია მათი დამსახურება და მადლობაც არ უთქვიათ გაწეული მრავალწლიანი მუშაობისათვის, სხედან აივანზე, თუ კარგი ამინდია და წარსულის მოგონებებით გააქვთ ერთფეროვანი უიმედო დღეები.**

ერთ სახლში ცხოვრობენ ძველი მეგობრები, მაგრამ მხოლოდ დილაობით ხვდებიან ერთმანეთს, ნაგავი რომ გააქვთ...

— საჩოხე წელი გაგიხდა, პაპუნა ჩემო, კი... იქნება სუხიშვილებმა მიგიწვიონ, ადამიანო, ამ პატარა ხნის წინათაც ხომ გადასარევად ცეკვავდი „ქართულს" ზოგ-ზოგის იუბილეზე, — ქირქილებს ვარდენი.

— მააშ, სულ ჩემი დარდი აქვთ... იქაც შემცირებებია რეფორმების შედეგად.

— რას იზავ, ჩემო ვარდენ, დრომ მოიტანა, ადამიანებს ამოეწურათ სიფაქიზე, გაუფასურდა ნიჭიც, ცოდნაც, დამსახურებაც...

— კარგია მერე ეს?!

— ბარემ არ არის, კარგი მაგრამ ახლა ასეთი მოდაა მოდაში... აკი გაიძახიან, — ახლა ჩვენი დროა! და ასეც არის... მაგრადაც იყენებენ ამ დროს...

— ჩვენი ბრალია, ჩვენი! ვერ გავზარდეთ თაობა უფროსების პატივისმცემლები, თავაზიანები, მორიდებულები, ჰოდა, ისემც კარგი დაგემართოს, ჩვენ კარგი დაგვემართა... ზრდილობა გაუფასურდა, ნულზეა დაშვებული, კი, ეს შენც იცი...

— ადი ახლა შინ, პატარა შეიმოსე, პირი გაიპარსე და გავიდეთ მეზობელ ეზოში, ნარდით შევიქციოთ თავი.

მართლაც, სულ მალე საგარეოდ გამოწყობილნი ეზოს ჭიშკართან შეხვდნენ ერთმანეთს და მეზობელ ეზოსკენ რომ დააპირეს წასვლა, პაპუნამ შეაჩერა ვარდენი.

— რაღა დაგიმალო, მე ერთი თეთრიც არ მიჩხრიალებს ჯიბეში... შენ?

— კარგი რა, გული ნუ მომიკალი... — შეწუხდა ვარდენი, — როგორ, რომ ვუყუროთ, ამაშიც ფულია გადასახდელი?! წამო, წამო დრო გავიტანოთ...

გამოვიდნენ ქუჩაში და რომ უნდა გაეხვიათ მეზობელ ეზოსკენ, ძველი თანამშრომელი შემოხვდათ, მათსავით გამოსტუმრებული სამსახურიდან. მიესალმნენ, მოიკითხეს ერთმანეთი და უცბად პაპუნა ამბობს:

— როგორ დამრგვალებულხარ, იპოლიტე, უჭმელობამ გაგასუქა, ჭირიმე?

— მაშ, როგორ არა... სწორედ ახლა ვჭამ გემრიელსა და მოსაწონს, — თავი მოიწონა იპოლიტემ.

— ხუმრობ?! რანაირად, რა ფულით, იპოლიტე?

— ჭკუას თითი დავაჭირე... არ გაგიგია, ხერხი სჯობია ღონესაო... ჰოდა, მეც მივხვდი, რომ არსებობს გამოსავალი ნებისმიერ სიტუაციაში, სიკვდილმა თუ არ მოგიტანა უწყება საიქიოსკენ... — რიხიანად წარმოთქვა იპოლიტემ და მაჯის საათს დახედა, — წავედი ახლა მე... გასვენებაზე მეჩქარება.

— ვის გასვენებაზე? ვინ მოკვდა? — დაინტერესდა პაპუნა.

— ვის გასვენებაზე? — იპოლიტემ ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, გასვენებების სამგლოვიარო განცხადებებს დახედა და საქმიანი სახით განაცხადა: — ნაპოლეონის გასვენებაზე წავალ, აქვე ცხოვრობს, ახლოს და ტრანსპორტშიც არ დამეხარჯება ფული.

ერთი, ორი, აუ, ექვსი განცხადებაა, ჰო, წავედი, ჭირისუფალს ხომ უნდა მივუსამძიმრო. აბა, როგორ!

— ვინ ნაპოლეონზე ლაპარაკობ, იპოლიტე, ჩვენ არ ვიცნობდით? — იკითხა ვარდენმა.

— დამიჯერებ, არც მე ვიცნობ, კი, ნამდვილად, მაგრამ ეს კი ვიცი, ამდენი განცხადება რომ არის, ვილაცა მაგარია და ჭირის სუფრაც მაგარი იქნება, კი, ასეა!

— ე, ბიჭო, იპოლიტე, იმ შენ კაი დედ-მამის სულს გაფიცებ, ერთად მუშაობის ხათრით, რა დაშავდება იმ ქელეხში ჩვენც რომ წაგვიყვანო? პატარას, ეგება, ჩვენც გავკრათ კბილი დანატრებულ საჭმელს, ჰა?

— მაგ შენი ჭკუის ჭირიმე, სანთელს დაგინთებ, იპოლიტე ამაღამ, ნამდვილად, კი!

— სანთელი მე კი არა, იმ გარდაცვლილ ნაპოლეონს დაუნთე, ჩემო პაპუნა!

— ვაუ, შენ გაიხარე ერთხელ კიდევ, ჩემო იპოლიტე! ექსტრად, მეორედ ვენაცვალე შენს ნათელ ჭკუას, — გადაეხვია სახეგაბადრული პაპუნა იპოლიტეს და გადაკოცნა. — ასეა, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო...

## მოუძველებელი კარიკატურა

# ღიმილიანი და ცრემლიანი მხატვარი



**ცნობილი** მხატვრისა და კარიკატურისტის **იოსებ ქოქიაშვილის** შემოქმედებაში დიდი ადგილი ეკავა სოფელს, მის მხიარულ, გონებამახვილ, გამჭრიახ ადამიანებს. დასცინოდა ნამჯიღეჭიებს, ზარმაცებსა და მუქთახორებს. მთელი ორმოცდაათი წლის მანძილზე იგი სასურველი ავტორი იყო თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთისა, მოთხრობების, ნოველების ავტორები დაბეჯითებით მოითხოვდნენ, რომ მათი ნაკალმარი მხატვრულად სწორედ იოსებ ქოქიაშვილს გაეფორმებინა.

ნაფრონტალ-ნახიშტარი იოსებ ქოქიაშვილი 1980 წელს 76 წლისა გარდაიცვალა. შარშან მას 100 წელი შეუსრულდა.



იოსებ გრიშაშვილის ბენეფისი.



— ხედავ, რა მაგარი ზურგი აქვს ჩვენს დირექტორს!
— მაგარი ზურგი ქისამ იცის, ბიძია, ქისამ!

## ანეკდოტები

**— ძვირფასო, რა გაჩუქო საახალწლოდ?**

**— ოი, მართლაც ძვირფასო და საყვარელო, სიმართლე გითხრა, არ ვიცი...**

**— კარგი, მაშინ მოსაფიქრებლად კიდევ ერთ წელს გაძლევ.**

* * *

**პარლამენტის დეპუტატი რესტორანში სადილობს.**

**— როგორ მოგეწონათ ჩვენი საფირმო რაგუ? — ეკითხება შეფ-მზარეული.**

**— ძალიან მომეწონა! ცუდი მხოლოდ ის არის, რომ მასში კარტოფილი აბსოლუტური უმრავლესობაა, ხორცი კი — მხოლოდ საცოდავი ოპოზიცია.**

* * *

**შეყვარებული წყვილი რესტორანში შევიდა. მაგიდას მიუსხდნენ და თვალებით ჭამენ ერთმანეთს.**

**— ისეთი ტკბილი ხარ, ძვლებიანად შეგახრამუნებდი...**

**— მეც მთლიანად შეგჭამდი.**



**ოფიციანტი ჯერ მოთმინებით უსმენს, მერე კი გაბეზრებული ეკითხება:**

**— რაიმე დასალევს მაინც თუ მიატანთ?**

* * *

**— ახლა კი მიხო მოგვიყვება ისტორიას "შემთხვევა ტყეში", რომელიც თავად მოიგონა, — ეუბნება საბავშვო ბაღის მასწავლებელი ბავშვებს.**

**— არაფერიც არ მომიგონებია. ისინი მართლაც ტიტლიკანები იყვნენ.**

* * *

**— გილოცავ, შვილო, სამშობლოს დამცველის დღეს, — ეუბნება მამა მიხოს.**

**— კარგი რა, მამი, ნუ მთარსავ, იქნებ წელს ჩავირიცხო კიდეც უმაღლესში...**

## სიცილი ჯანმრთელობაა

# წვერებიანი ხუმრობები

**ერთ კაცს ტრამვაიმ ფეხი გადააჭრა, რისთვისაც ორასი მანეთი გადაუხადეს. ამ ორასი მანეთით ამ კაცმა ერთი ქალიშვილი გაათხოვა. მეორემ უთხრა: მამიკო როდის მოიტეხავ მეორე ფეხს?**

* * *

**კონსერვატორიის სტუდენტმა პედაგოგს თავისი ახალი ნაწარმოები ჩააბარა და სთხოვა, შენიშვნები ჯვრით აღენიშნა.**

**— დიდად მოხარული ვარ, რომ ერთი ჯვარიც არ დაგისვამთ, — უთხრა აღტაცებულმა სტუდენტმა მკაცრ აღმზრდელს, როცა თავის ნაწარმოებში შენიშვნა ვერ ნახა.**

**— რას იზამ, გეთაყვა, მე სასაფლაოს ხატვა არ ვიცი.**

* * *

**კონსტანტინოპოლი. სულთანის ჯანმრთელობის მდგომარეობა საეჭვოა. მოსახლეობა ღელავს, ვაითუ... გადარჩესო.**

* * *

**პეტერბურგი. მუშავდება ახალი კანონპროექტი, რომელიც აუქმებს... ბუნებრივ სიკვდილს.**

* * *

**— საინტერესოა, რით ცხოვრობს ეს ჯენტლმენი?**

**— ოოო, ეგ კარგ ადგილზე მუშაობს.**

**— სად?**

**— სასამართლოში.**

**— რად?**

**— ქრონიკულ მოწმედ.**

* * *

**მასწავლებელი: დედამიწის რომელი ნაწილია ყველაზე უფრო დასახლებული?**

**მოსწავლე: ციხე, მასწავლებელო.**

**გიზო ნიშნიანიძის**
**„სიცილის არქივიდან".**

## ნატურიდან

# ასდოლარიანი კოცნა

ჩემი კოლეგა გუბაზი დილას სამსახურში განერვიულებული მოვიდა.

— რა დაგემართა? — ვკითხე.

— ხათაბალას გადავეყარე.

— ისევ ძაღლმა გიკბინა?

— არა, შვილიშვილმა.

— ეტყობა, კოცნისას გწვდა, მაგრამ ლოყაზე რომ არაფერი გეტყობა?

— ლოყაზე არა, სულზე მიკბინა.

— ასეთი რა გითხრა, კაცო?

— უქნარა, მცონარა ბაბუა მყავსო.

— რატომაო?

— რა ვიცი, სკოლაში წასვლის წინ ლარიანს ვაძლევდი და დამიწუნა.

— აბა რამდენი უნდოდა?

— ასდოლარიანი მომთხოვა.

— ალბათ ბებიამ წააქეზა.

— არა, ტელევიზორმა გააგიჟა. დეპუტატ ბესო ჯუღელის შვილიშვილს უთქვამს — ბაბუაჩემი ყოველ კოცნაზე ასდოლარიანს მჩუქნისო, და ჩემგანაც იგივე მოითხოვა...

**ოტია ჩართოლანი**

## სხარტულა

### მიპატიჟება

მადლობა პრეზიდენტს,
მადლობა უფალსო:
სასადილოები იხსნება უფასო.
პრეზენტაციაზე ეწვიეთ სუფრასო,
იგემებთ ბორჩშს, ხარჩოს,
ბულიონს, სუფს, ფლავსო.
ნამდვილად ეს სჯობს და
ეს უკეთესია
ვიდრე ის **უფასო** ხელფასი,
პენსია...

* * *

სულ რომ სუფთა იყოს ტვინი —
შეიძულე ნიკოტინი!

### ვაი სერიალებისგან

ახლა ტელესერიალებს
აქვთ ეკრანი აკლებული.
...ვაფახულებ **ყუთთან** თვალებს
გამოსერიალებული...

**თამაზ ილმელი**

## ახალი ფოლკლორი

# ჭკიაფურჩხები

**თუ** ზარებს არ უპასუხებს,
არ არის ხალხის ძმობილი,
არ მესმის რაში სჭირდება
ლადო ჭიპაშვილს მობილი.

**გამორიცხული** არ არის,
(მიშა ისეთი კაცია)
ბენდუქიძესაც შეეხოს
დიდი პრივატიზაცია.

## საეკლესიო კალენდარი

# დიდმოწამე ბარბარე

**დღეს, 17 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც დიდმოწამე ბარბარეს იხსენიებს. წმინდა ბარბარე, სხვა რამდენიმე წმინდანთან ერთად, ერთ-ერთი გამორჩეულად საყვარელი წმინდანია ქართველი ხალხისა. ასეთი გამორჩეულობა შესაძლოა მის არა მარტო ღვთიურ, არამედ იმ ადამიანურ ხასიათსაც მიეწერება, რომელიც ახლოს არის ჩვენ ხასიათთან...**



წმინდა ბარბარე ქალაქ ილიოპოლში დაიბადა მდიდარი წარმართის, დიოსკორეს ოჯახში... ქალწული ღვთაებრივად მშვენიერი იყო და ადრე დაქვრივებულმა მამამ გადაწყვიტა, ერთადერთი შვილი გარეშე თვალთაგან ფარულად აღეზარდა... მიუვალ ადგილზე გამომწყვდეული გოგონა დაფიქრდა. სამყაროს შექმნის საიდუმლოებაზე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამყაროს უეჭველად ერთი შემოქმედი უნდა ჰყოლოდა... როდესაც გათხოვების დრო დაუდგა, უარი უთხრა უამრავ მთხოვნელს. მამამ იფიქრა, გოგონა ეულად აღზრდამ გულჩათხრობილი გახადაო და თავისუფლება მისცა. ამასობაში (ილიპოლში) ალექსანდრიელმა ხუცესმა გოგონა მონათლა...

როდესაც დიოსკორემ აბანო ააგო და მისთვის ორი სარკმლის გამოჭრა ბრძანა, ბარბარემ მესამე სარკმელიც დაამატებინა — სულიწმინდაც ანათებსო დედამიწას... ამის გამგონე მამამ ასულზე მახვილი აღმართა... ბარბარე სახლიდან გაიქცა და კლდეს შეაფარა თავი, მაგრამ მალე მწყემსებმა იპოვეს და დიოსკორეს ბრძანებით სიკვდილით დასასჯელად ქალაქის მმართველს მიჰგვარეს... ნაიარევით დაწყლულებული ბარბარე ღამით თავად მაცხოვარმა განკურნა წყლულებისგან... რა არ სცადეს წარმართებმა მის მოსაქცევად, მაგრამ ბარბარე უფრო დიდი წინააღმდეგობით პასუხობდა, უსჯულოებმა მისი დასჯა გადაწყვიტეს, როდესაც წმინდა ბარბარემ უკანასკნელი ლოცვა დაასრულა, ციდან ანგელოზთა ხმა გაისმა...

... როგორც კი დიოსკორემ საკუთარ შვილზე მახვილი აღმართა, იმავ წამს ჯალათ მამას საშინელი ელვა დაატყდა თავს და იქვე განგმირა...

დიდმოწამე ქალწულის წმინდა ნაწილები კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს, იქიდან XII საუკუნეში კიევის რუსეთში გადააბრძანეს.

**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ**

## ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს — მღვდლის ცოლი

# ჯემალ ჭკუასელი: ძალიან კარგია, რომ გაზეთი ახერხებს მწარე სიმართლის თქმას



**თქმა არ უნდა და ძალიან კარგია, რომ „საქართველოს რესპუბლიკა" ახერხებს მწარე სიმართლის ლაპარაკს. სამწუხაროდ, რეგულარულად ვერ ვყიდულობ გაზეთს, მაგრამ როცა ვიძენ, ამას ვამჩნევ. ახალი წლიდან, ალბათ, გამოვიწერ კიდეც...**

**მომწონს, რა გულისყურით ეკიდება გაზეთი ხელოვნების ამბების გაშუქებას, დიდი მადლობა უნდა გითხრათ, რომ მხარში უდგახართ ჩვენს ანსამბლს და ნაბიჯ-ნაბიჯ მოჰყვებით „ერისიონს", მისი შემოქმედებითი ცხოვრების არც ერთი მოვლენა არ გამოგრჩებათ, მაგრამ მაინც შემოგბედავთ, ეს, რასაკვირველია, უფრო სურვილია: იქნებ მეტი ყურადღება დაეთმოს გაზეთის ფურცლებზე საქართველოს მხარეებს, ანუ რა ხდება იქ ფოლკლორის თვალსაზრისით, მოგეხსენებათ, ქართულ ხალხურ სიმღერაზე უკეთესი ცოტა რამ შექმნილა, ამიტომ ჩვენ იმის საშუალება უნდა გვქონდეს, ვიცოდეთ, რა ხდება ამ მხრივ მთლიანად საქართველოში. ფოლკლორს ძალიან უჭირს და მისი პრობლემები უფრო მეტად უნდა გავაშუქოთ.**

**გაზეთს ვუსურვებ მკითხველთა მომრავლებას და არამც და არამც სვლას სიყვითლისკენ.**


## გამოიწერეთ

სანდო, მართალი და ტრადიციული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"

მიმართეთ „საქპრესას" (ტელ: 35.51.40), „მაცნეს" (37.40.49), „უწყებანს" (93.64.72), „პრეს-ექსპრესს" (96.23.11), „პლანეტა-ფორტეს" (93.38.73), „ინფოსერვისს" (34.09.35), „ელვა-სერვისს" (36.35.75) რაიონებსა და ქალაქებში — „საქპრესის" ადგილობრივ განყოფილებებს.



ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი — მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.

ამდენად, გაზეთის გამოწერა ეღირება: ერთი თვით — 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა" — მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.**


## ხელოვნება

# ზაურ ხაინდრავა



ქართულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა, მოულოდნელად გარდაიცვალა ჭეშმარიტი მამულიშვილი, ღირსეული ქართველი **ზაურ ხაინდრავა**.

ზაურ ხაინდრავა დაიბადა 1940 წელს მარტვილის რაიონში. 1957 წელს, მარტვილის საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. 1960 წელს მესამე კურსიდან სასწავლებლად გადადის რიგის საავიაციო ინსტიტუტის თვითმფრინავებისა და ძრავების ექსპლუატაციის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1963 წელს მუშაობას იწყებს სოხუმის გაერთიანებულ ავიარაზმში ავიატექნიკური ბაზის ინჟინრის თანამდებობაზე, 1975-78 წლებში ხელმძღვანელობს ამავე ბაზას. 1978-89 წლებში არის ავიარაზმის მეთაურის პირველი მოადგილე, 1989 წლიდან 1993 წლამდე სოხუმის გაერთიანებული ავიასაწარმოს მეთაური.

ზაურ ხაინდრავა იყო ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობას. წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა თბილისის პოლიტექნიკური და კიევის საავიაციო ინსტიტუტებში.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ ბატონი ზაური მხარში ედგა საქართველოს პირველ პრეზიდენტსა და დევნილ კანონიერ ხელისუფლებას. მაშინ, როდესაც ხუნტის ჯალათებმა იარაღის ძალით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება და საქართველოს პრეზიდენტი იძულებული იყო, დაეტოვებინა სამშობლო, საჭირო გახდა ექსტრემალურ სიტუაციაში, სომხეთიდან გროზნოში თვითმფრინავით ჩაეყვანათ პრეზიდენტი. ისეთ დროს, როცა ცეცხლის ალში იყო გახვეული საქართველოს დედაქალაქი და მთელს ქვეყანაში მხედრიონის ბანდები დათარეშობდნენ, ამის გაკეთება სიკვდილის ტოლფასი გახლდათ, მაგრამ არაფერს შეუშინდა ბატონი ზაური და სწორედ მან გამოყო თვითმფრინავი, რომელიც ჩაფრინდა გროზნოში, გროზნოდან — სომხეთში და იქიდან გადმოაფრინა პრეზიდენტი იჩქერიის დედაქალაქში.

მსგავსი ვაჟკაცური, გმირობის ტოლფასი საქმეები მრავალგზის ჩაუდენია ბატონ ზაურს, მან, როგორც პროფესიონალმა და პატრიოტმა მამულიშვილმა, აფხაზეთის ომის პერიოდში შეძლო სოხუმის სამოქალაქო ავიაციის სამსახურებისა და ეკიპაჟების მაქსიმალური მობილიზება, ექსტრემალურ სიტუაციებში დიდი რისკის წყალობით მათი ქმედითი და ეფექტიანი ფუნქციონირება.

მას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ვიდრე საოპერაციოდ დაწვებოდა, არ შეუწყვეტია ზრუნვა, ავიაკომპანია „აბავია" თავის უფლებებში აღედგინა, შეენარჩუნებინა აფხაზეთიდან დევნილი ავიასპეციალისტები — აფხაზეთში რომ დავბრუნდებით, ავიაეკიპაჟების დეფიციტს არ უნდა ვგრძნობდეთო, ამბობდა იგი და სამართლიანადაც.

ზაურ ხაინდრავა მრავალ სიკეთესთან ერთად, ფლობდა მეგობრობის საოცარ ნიჭს, გახლდათ უბადლო მეუღლე, მამა და ბაბუა. მისი მარადიული ფიქრი — სამშობლოს ხვალინდელი დღე და სიყვარული იყო.

ბატონო ზაურ, ნათელი დაგადგეთ, მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის ქართული მიწა.

მეგობრების სახელით: **ნემო ბურჭულაძე, გურამ აბსანძე, ზაურ კვარაცხელია, სოსო ლაგვილავა, რობერტ პეტრიაშვილი, გია მამფორია, ვალტერ შურღაია, მანგულ ხუბუა, შალვა კერესელიძე, ვალერი გაბელია, სოსო ჯომიდავა, დავით ზაქარაია, გიორგი სიჭინავა, ლაშა გვასალია.**

## გახსენება



# დიმა ხერკელაძე

რისთვის აღარ გვიმეტებს წუთისოფელი, ამ სტრიქონებს უნდა ვწერდეთ?!

გასრულდა ერთი წელი, რომელიც არც ერთ წინა წელს არ ჰგავს, რადგან მან თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას დიდი და ძვირფასი ნაწილი მოსტაცა...

რა სიძულვილით აღსავსენი უნდა ყოფილიყვნენ ის ჯგუფურად მოსიარულე არაკაცები — რუსი ნეოფაშისტები, შენსავე უბანში, საყვარელი გოგონას მომლოდინეს, სრულიად უმიზეზოდ სიცოცხლე რომ მოგისწრაფეს. და რისთვის, მხოლოდ ქართველობისთვის. ამ ამბავმა შეძრა შენი რუსი მეგობრებიც და მეზობლებიც. მათ ხომ შენი სიყვარულით ქართული სიტყვები და სიმღერები ისწავლეს. ადამიანებთან ურთიერთობის მაინც როგორი ღვთითბოძებული ნიჭი და ხიბლი გქონდა, ასაკის მიუხედავად, აქაც და იქაც ყველას უყვარდი.

შენი მკვლელები ახლაც დაუსჯელად დადიან და საქართველოს შვილებს კვლავაც უსულგულოდ ხოცავენ. მათ ინტერნეტში საიტიც კი ჰქონიათ და სამართალდამცავები საქმეს მაინც „ვერ ხსნიან..."

23 სექტემბერს, შენი დაბადების დღესაც, ნათესავ-მეგობრებმა საფლავზე მოგაკითხეთ, იმ დღეს 24-ის შესრულდებოდი...

ამ სტრიქონებს გახსენება არ ეთქმის, ვინაიდან არავის დაგვიწყებიხარ.

ძალიან გვიჭირს შენი მშობლების ყურება. ისინი ახლა შენი სურათების გარემოცვაში ცხოვრობენ. დედაშენს ცრემლი გაუშრა.

ჩვენო დიმა, გაზაფხულის ერთ დილას, საფლავზე მისულ დედაშენს ია-იების პაწია გვირგვინებით ლამაზად მოხატული შენი სახელი დახვედრია...

ბევრნაირად ცდილობენ შენდამი სითბოს, სიყვარულისა და მონატრების გამოხატვას ადამიანები, ჩვენო ლამაზო და კეთილო ბიჭო.

როგორ ოცნებააუხდენელი წახვედი და შენს ნათელ მომავალთან დაკავშირებული ჩვენი იმედებიც გაიყოლე.

დაე, თითოეული ჩვენგანის მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში ჩვენო მარად საყვარელო დიმა.

**დეიდები ბელა, რუსუდან, ნანა და ბიძა ზვიად დურგლიშვილები.**



ქ. თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საავადმყოფოს მედდა

ვენერა მიხეილის ასული ახობაძე

ქალბატონი ვენერა საავადმყოფოში მუშაობდა 1956 წლიდან, გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით და კეთილსინდისიერებით

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს გეოლოგიის და სამთო საქმის ეროვნული კომპანია" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი გეოფიზიკოსი

ვიქტორ საჯაია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**ეს გაერთიანებული ნომერი 24-გვერდიანია.**

**მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 20 დეკემბერს.**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.
ქიზიყის ქ. №12,
ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ზონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.